ბარე მოვაჭრეებს ამჟერად პარლამენტიდან უტევენ A3

ევროისტორია B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 2002 წელი. №130

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ნოემბერში კვლავ არჩევნებია

სამტრედიის ყოფილი პრეფექტი ზვიად ძიძიგური, ამჟერად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად წარდგება მშობლიურ რაიონში.

A3

## ეკონომიკა

### თბილისში გაზის გათიშვა დაიწყო

დაუდგენელმა პირებმა გადაჭრეს გაზის გამანაწილებელი სადგურის ჩამკეტი არმატურა, რამაც გაზის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვია მთაწმინდის, ბაგებისა და საბურთალოს 25 000 მომხმარებლისთვის.

A4

## უცხოეთი

### ახალი წესრიგი ჩეჩნეთში - სამოქალაქოები სამხედროებს ვეღარ აკონტროლებენ

"სამხედრო კომენდანტები იქნებიან, როგორც რაიკომის მდივნები, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები - როგორც აღმასკომის თავმჯდომარეები" – ასე განუმარტა ჩეჩნებს ახალი წესრიგის არსი რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა.

A5

## საზოგადოება

### საწამლავი - ღია ცის ქვეშ

საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელი, როგორც პრობლემა, ადვილად დასავიწყებელი სულაც არ არის. თუნდაც, იმის გამო, რომ დღეს იქ სამედიცინო ნარჩენებიც იყრება.

A6

## თვალსაზრისი

### ანდრანიკ მიგრანიანი: "ჯავახეთის ფორმალური ავტონომია საქართველოს სეპარატიზმისაგან იხსნიდა"

სომხური წარმოშობის რუსი პოლიტოლოგი ანდრანიკ მიგრანიანი, თავის ინტერვიუში ცდილობს, გაამართლოს ჯავახეთისთვის ავტონომიის მინიჭება. ამას სიტყვა "ფორმალურით" გვაპარებს. თუმცა, შესაძლოა უნებლიეთ, აღიარებს საქართველოს სამხრეთში სეპარატიზმის საფრთხეს.

A8

## განცხადება

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

პარასკევს, 11 ოქტომბერს, 15 საათზე, გაზეთ "24 საათის" რედაქციაში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი.

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 23 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 23 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.1104 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3673 |
| რუბლი | 0.0679 |

# თბილისი აღარ ჩაბნელდება

ამას ხავსჩაჭიდებული ხელისუფლება ვერ დაუშვებს





გოჩიტა ბუხაიძის ფოტოები

ალბერტო სოლისს და იგნასიო ირიბარენს შეთანხმების მისაღწევად დიდი დრო დასჭირდათ.

მაია ურუშაძე

*გუშინ, 9 ოქტომბერს საბითუმო ბაზრის მიერ "ეი-ი-ეს თელასისათვის" დათქმული ულტიმატუმის ვადა ამოიწურა. მთელი დღის განმავლობაში, ოთხ საათამდე, "ეი-ი-ესისა" და საბითუმო ბაზრის წარმომადგენლები საკუთარ ოფისებში მოსალაპარაკებლად ერთმანეთს დიდხანს და უშედეგოდ ელოდნენ. ამასობაში თბილისის, კერძოდ კი, გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, სამგორისა და ორთაჭალის მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. საბოლოოდ, "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს იგნასიო ირიბარენსა და საბითუმო ბაზრის გენერალურ დირექტორს ალბერტო სოლისს შორის საუბარი მაინც შედგა, მაგრამ შეთანხმებას მათ მხოლოდ შუაღამისას, პირისპირ საუბრის შემდეგ მიაღწიეს.*

საბითუმო ბაზარი "ეი-ი-ეს თელასს" დილიდან კვლავ ერთმანეთის ვალების შედარების აქტის ხელმოწერასა და 26 მილიონ ლარს სთხოვდა. "ეი-ი-ეს თელასი" ურთიერთჩათვლებს თავს კვლავ არიდებდა და საბითუმო ბაზარს შეთანხმების ახალ და ახალ ვარიანტებს სთავაზობდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# პრეზიდენტი კმაყოფილია, ქვეყანა კი დენთის კასრზე ზის

ეკა კვესიტაძე

*რუსეთთან ურთიერთობის ერთი რაუნდი დამთავრდა. ერთი შეხედვით, მშვიდობიანად. შევარდნაძე კიშინიოვის სამიტიდან კმაყოფილი დაბრუნდა, თუმცა, ბოლომდე არ არის გარკვეული ის მიზეზები, რომელიც პრეზიდენტს თვითკმაყოფილების საშუალებას უნდა აძლევდეს.*

პუტინის განცხადების პირობითობა, რომ ის არ აასრულებს 11 სექტემბრის მუქარას, თუ პრეზიდენტი შევარდნაძე შეხვედრის დროს მიცემულ დანაპირებებს შეასრულებს, სრულიად ბუნდოვანს ხდის საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობებს. ორი პრეზიდენტის ძირითადი შეთანხმება საზღვარზე ერთობლივი პატრულირების შესახებ, ისეთი ორაზროვანი აღმოჩნდა, რომ ორივემ მხარემ მაშინვე ამ შეთანხმების აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტირება მოახდინა.

ბუნებრივია, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრის შემდეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთოებში რაიმე არსებითი ცვლილება მოხდება. რუსეთს მისთვის საჭირო მომენტში ისეთივე წარმატებით

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩეჩენმა ლტოლვილებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს

*პანკისის ხეობაში მიმდინარე საპროტესტო აქცია, რომელიც ჩეჩენმა ლტოლვილებმა თანამემამულე ტუსაღების საქართველოში დატოვების მოთხოვნით რამდენიმე დღის წინ დაიწყეს, გუშინ, საღამოს შეწყდა. აქციის შეწყვეტა ლტოლვილებმა პარლამენტარ ელენე თევდორაძესთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტეს.*

**"მოშიმშილეები დავარწმუნე, რომ ახლა ასეთი აქციის ჩატარება უაზრობაა, რადგან არეული სიტუაცია, შესაძლოა, გარკვეულმა ძალებმა გამოიყენონ როგორც ქართველების, ასევე ჩეჩნების წინააღმდეგ. მოშიმშილეები კარგად დაფიქრდნენ და შიმშილობის შეწყვეტის გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს",** - გვითხრა ელენე თევდორაძემ. მისივე განცხადებით, გუშინ გაურკვეველი პირების მხრიდან პროვოკაციის მოწყობის რამდენიმე შემთხვევა თავად აქციის მონაწილე ჩეჩნებსაც შეუმჩნევიათ.

როგორც გაირკვა, საეჭვო პიროვნებები აქციის მონაწილე ჩეჩნებს არწმუნებდნენ, რომ მეხუთე საპყრობილეში დარჩენილ რვა ჩეჩენ მებრძოლს აწამებდნენ, აშიმშილებდნენ და სამედიცინო დახმარებაზე თხოვნას არ უკმაყოფილებდნენ. «არადა, ექსტრადიციის მოლოდინში მყოფი რვა ჩეჩენი რამდენიმე დღის წინ მოვინახულე. თუ აქამდე ისინი ერთ საკანში იყვნენ, ახლა უკვე ცალ-ცალკე არიან და არანაირ ზეწოლას არ განიცდიან. მე რვავე პატიმარს ვესაუბრე და მათ ჩემთან არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. "წითელი ჯვრის" წარმომადგენლები მათ მოსანახულებლად ციხის ადმინისტრაციამ უკვე ორჯერ შეუშვა კიდეც. ერთი სიტყვით, აქციის მონაწილე ჩეჩნები დარწმუნდნენ, რომ ცრუ ინფორმაციებს ფლობდნენ და დაიშალნენ", - განაცხადა ელენე თევდორაძემ.

პანკისის ხეობაში აქცია შეწყდა, ოღონდ, როგორც ჩეჩენი ლტოლვილები აცხადებენ, თუ დაკავებულ ჩეჩნებს ექსტრადიციის საფრთხე დაემუქრებათ, აქცია კვლავ განახლდება.

## სერგეი იასტრჟემბსკი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გარდატეხა არ მომხდარა

*გუშინ რუსულმა ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტამ" გამოაქვეყნა ელექტრონული ინტერვიუ ჩეჩნეთის ანტიტერორისტული ოპერაციის საინფორმაციო-ანალიტიკურ საქმეებში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწესთან სერგეი იასტრჟემბსკისთან. მას შეკითხვებს რუსეთისა და დსთ-ს რიგითი მოქალაქეები უსვამდნენ. უპირველეს ყოვლისა, მათი ინტერესი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისა და ჩეჩნეთის კონფლიქტისაკენ იყო მიმართული. სერგეი იასტრჟემბსკის ხშირად ასახელებენ, როგორც ყველაზე სანდო წყაროს კრემლის ჭეშმარიტი განზრახვების გასაგებად. მცირედი შემოკლებით გთავაზობთ "გაზეტაში" გამოქვეყნებული ინტერვიუს იმ ნაწილს, რომელიც საქართველოსა და ჩეჩნეთს ეხება.*

**- მოხდა თუ არა გარდატეხა საქართველოსთან ურთიერთობებში პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრაზე? და თუ მოხდა, რატომ არ გადმოგვცეს ქართველებმა დარჩენილი ბოევიკები და ისიც კი განაცხადეს, რომ საერთოდ არ გადმოგვცემენ მათ? რატომ არ შეასრულა პირობა ივანოვმა და არ მიაყენა დარტყმა პანკისს, როდესაც ინგუშეთში გელაევის რამდენიმე ბანდა ერთდროულად შემოიჭრა და კიდევ სხვა რამდენიმე ბანდა საზღვრის გასწვრივ მოძრაობს?**

- არ ვიტყოდი, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში კიშინიოვის შეხვედრის შემდეგ გარდატეხა მოხდა. გარდატეხა მეტისმეტად ძლიერად ნათქვამი სიტყვაა. იგი უნდა ასახავდეს ურთიერთობების თვისობრივ ცვლილებას. ჩვენ ამგვარი ურთიერთობის მომხრენი ვართ, მაგრამ გვინდა, იმაშიც დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობამ სერიოზულად აღიქვა რუსეთის შეშფოთება და, კონკრეტული დაპირების შემდეგ,

გაგრძელება A5 გვერდზე

## ქართველი ფეხბურთელებისა და რაგბისტების პარალელურად, "მოთელვას" პოლიციელებიც გადიან

*მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდება შაბათ-კვირას რუს ფეხბურთელებთან და რაგბისტებთან ჩვენი სპორტსმენების გაჯიბრებას. ამ შეხვედრებისადმი ინტერესი დიდია რუსეთშიც: გულშემატკივართა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად, თბილისში ჩამოდის 56-კაციანი დელეგაცია, რომელშიც შედიან ცნობილი პოლიტიკოსები, კულტურის მუშაკები და სპორტსმენები. საქართველოსა და რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებების მატჩს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერი გენადი სელეზნიოვიც დაესწრება.*

გიორგი ასანიშვილი

ვინაიდან ეს ორი მატჩი გასცდა სპორტული ასპარეზობის ჩარჩოებს და პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გადაწყვიტა, შეჯიბრებაში სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებიც

გაგრძელება A3 გვერდზე

## ფეხბურთი და დიპლომატია

ფედერაციას რუსეთის ელჩი ეწვია

B7



ბესო გულაშვილის ფოტო

მერაბ ჟორდანია და ვლადიმირ გუდევი.

## ევროკავშირის დახმარება შეჩერებულია

*"ევროკავშირის ფინანსური დახმარება საქართველოსადმი შეწყვეტილი არ არის, იგი მხოლოდ შეჩერებულია..." - ამშვიდებდნენ გუშინ საქართველოში ჩამოსული ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ევროკავშირის დახმარების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციამ სერიოზულად შეაშფოთა.*

თამარ ხორბალაძე

ფაქტია, რომ დღეს საქართველოში ისევ არ შემოსულა ჯერ კიდევ ზაფხულში მისაღები, ევროკავშირის ორი ტრანში - 12 და 11,5 მილიონი ევროს ოდენობით, რამაც საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი მნიშვნელოვნად გაარღვია.

სულ ერთი კვირაა მას შემდეგ, რაც ევროკავშირში მყოფ საქართველოს დელეგაციას, ირაკლი მენაღარიშვილის მეთაურობით, მეტად მძიმე პრეტენზიების მოსმენა მოუხდა. მაშინ ევროკავშირში მთავარ აქცენტს პიტერ შოუს გატაცების ფაქტზე აკეთებდნენ და ამ საკითხს საქართველოში უშიშროებისა და სტაბილურობის გარანტიების არარსებობას უკავშირებდნენ.

ბიუჯეტში შექმნილი სერიოზული პრობლემების გამო, გუშინ საქართველოს მთავრობამ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, ევროკავშირში სპეციალური წერილის გაგზავნის შესახებ. წერილში იქნება ინფორმაცია პიტერ შოუს გასათავისუფლებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირს ექსპერტის გათავისუფლებას აღუთქვამს და შეპირებული ტრანშების გამოყოფას სთხოვს.

პიტერ შოუს თემა აქტუალური იყო გუშინ, საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთა და ევროკავშირის წარმომადგენელთა შეხვედრების დროსაც, სადაც კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ **"გატაცებულ**

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# პრეზიდენტი კმაყოფილია, ქვეყანა კი დენთის კასრზე ზის

პირველი გვერდიდან

შეუძლია დაადანაშაულოს საქართველო დადებული პირობის დარღვევაში, როგორც ის ამას აქამდე აკეთებდა.

ის რაც კიშინიოვში მოხდა, თავისთავად შედიოდა საქართველოს პრეზიდენტის ინტერესებში. მას სჭირდებოდა, წელგამართული დაბრუნებულიყო სამიტიდან და ეთქვა, რომ რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების მოგვარება მან, როგორც გამოცდილმა დიპლომატმა, ახლაც მოახერხა. მაგრამ, ბუნებრივია, პუტინის დროებითი კეთილგანწყობა, შევარდნაძის დიპლომატიური ჯადოქრობის შედეგი არ ყოფილა. ამ მომენტში რუსეთის პრეზიდენტსაც სჭირდებოდა, ფორმალურ დონეზე მაინც, საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზება.

დსთ-ს სამიტზე ორ პრეზიდენტს შორის ურთიერთობების საკმაოდ მოულოდნელ გარდატეხაზე ამერიკის გავლენა აშკარად იგრძნობა. თეთრმა სახლმა თითქმის ყველა დიპლომატიური არხი გამოიყენა საიმისოდ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობა შენელებულიყო. ადმინისტრაციამ სპეციალურად დაურეკა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევს, რომ სამიტამდე პუტინი საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარების აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

და რაც მთავარია, თავად პუტინმა ყველაზე კარგად უწყის, რომ რუსეთის ფიზიკურად და მორალურად დასუსტებულ არმიას, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინტერვენციის განხორციელების თავი არ აქვს. ამიტომ მუქარა, რომელიც, გარკვეულწილად, რუსი გენერალიტეტის გაბოროტებული კორპუსის გულის მოგებაზე იყო გათვლილი, რეალურად თავიდანვე განწირული იყო. ხოლო იმისათვის, რომ ამ მუქარის შესრულების ვალდებულება ოსტატურად აეცილებინა თავიდან, პუტინს შევარდნაძეზე არანაკლებ ჭირდებოდა კიშინიოვის გულთბილი შეხვედრა.

სამაგიეროდ, ამ ფორმალური გულთბილობის უკან ისევ დარჩა ის პრობლემები, რომლებიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში მთავარ როლს თამაშობს და რომლებიც ახლო მომავალში ძალიან ძნელად მოგვარებადი ჩანს.

რუსეთისათვის ეს პრობლემა ჩეჩნეთის დაუსრულებელი ომია. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად კი, პუტინს სულ უფრო მეტად გაუჭირდება, აუხსნას საკუთარ მოსახლეობას ამ აბსურდულობამდე მისული ომის გაჭიანურების მიზეზი. ამ პრობლემის ყველაზე მარტივ ახსნას ოფიციალური რუსეთი, ბუნებრივია, ისევ პანკისის ხეობაში ან სხვა რომელიმე ქართულ რაიონში ტერორისტების არსებობით შეეცდება.

გარანტიები, რომ ჩეჩენი ბოევიკები საქართველოში ისევ არ აღმოჩნდებიან, ნამდვილად არ არსებობს. პანკისის სპეცოპერაციის შემდეგ, დღემდე პასუხგაუცემელია კითხვები: სად წავიდა ბოევიკთა 500-კაციანი ჯგუფი და რა გააკეთა ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ისინი პანკისის ხეობაში ისევ არ დაბრუნდნენ, ან საქართველოს სხვა რომელიმე მთიან რაიონში ახალი პანკისი არ მივიღოთ?

მოკლედ, რეალურად, სიტუაცია ისევ ძალიან დაძაბულია და რუსეთის მხრიდან საჰაერო დაბომბვების გამეორება და აგრესიული პოლიტიკური განცხადებების მორიგი ნაკადის დაწყება, უახლოეს მომავალში გამორიცხული არ არის.

კიდევ უფრო იძაბება ვითარება ქვეყნის შიგნით. ოპოზიცია, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის კრიტიკულ დღეებში პრეზიდენტის მიმართ შედარებით ლოიალური გახდა და მის საგარეო პოლიტიკას მხარდაჭერა აღუთქვა, თანდათან აგრესიულ შეტევაზე გადადის.

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის წინ გაერთიანებული დემოკრატების ლიდერმა ხელისუფლების მიმართ კონსტრუქციული ტონი შესამჩნევად შეცვალა. ჟურაბ ჟვანია უკვე პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს.

შევარდნაძე, როგორც ჩანს, კიშინიოვის სამიტის შემდეგ პარლამენტში მისვლას ტრიუმფით გეგმავს. მოსალოდნელია, რომ არც თავისი მოხსენების თემას შეცვლის და პარლამენტს ბოლო ათწლეულის მიმოხილვას წარუდგენს. მაგრამ პრეზიდენტის განზრახვა, რომ დეპუტატები რამდენიმესაათიანი უსაგნო და ბანალური ფრაზებით დახუნძლული მოხსენებით დაქანცოს და ნაკლები დრო დატოვოს ხელისუფლების კრიტიკისათვის, ძნელად განსახორციელებელი ჩანს. ოპოზიცია შევარდნაძეს საკმაოდ რთულ საპარლამენტო დღეს უწინასწარმეტყველებს.

მართალია, შევარდნაძემ რუსეთთან დაწყებული პრობლემების ფონზე შიდა პოლიტიკაში პოზიციები უფრო გაიმაგრა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია დიდხანს არ გაგრძელდება. არ არის გამორიცხული, საქართველოშიც დაიწყოს უკრაინის მსგავსი პროცესები, სადაც ოპოზიციამ პრეზიდენტ კუჩმას ხელისუფლება საფუძვლიანად შეარყია.

შევარდნაძე თანდათან უფრო არაპოპულარული ხდება ამერიკის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში. კლინტონის ადმინისტრაციის დროს პრეზიდენტის სპეციალური მრჩევლის, სტივენ სესტანოვიჩის განცხადება, რომ ამერიკელ დიპლომატთა უმრავლესობა თბილისის რეჟიმს კორუმპირებულად და არაეფექტურად მიიჩნევს და აღარანაირი ილუზია არ აქვთ, რომ შევარდნაძე რეალურად მოახერხებს რაიმეს გაკეთებას– უკვე აშკარად მიანიშნებს იმ ტენდენციაზე, რომელიც, თავის დროზე შევარდნაძით აღფრთოვანებულ, ამერიკის გავლენიან წრეებში იკვეთება. ასეთივე მოსაზრება აქვთ სხვა ცნობილ ამერიკელ პოლიტოლოგებს და ანალიტიკოსებს. კლინტონის ადმინისტრაციის დროს სახელმწიფო მდივნის მოადგილე, გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის - ბრუკინგსის ინსტიტუტის დირექტორი სტროუტ ტელბოტი პირად საუბრებში უკვე ღიად საუბრობს იმაზე, რომ შევარდნაძის არაეფექტური მმართველობა ქვეყანას ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, თუ გამოსავალი დროზე არ იქნა მონახული.

ასე რომ, თუ საქართველოში ოპოზიციამ გამონახა იმის ძალა და საშუალება, რომ კონსტიტუციური გზებით მოახერხა ხელისუფლების შეცვლა, ამას, სავარაუდოა, დასავლეთის მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყვება.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართულმა ოპოზიციამ ამისათვის საჭირო ერთსულოვნება გამოამჟღავნოს და ბეწვის ხიდი ფრთხილად და უშეცდომოდ გაიაროს.

სავარაუდოდ, ხელისუფლებაც ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ დაქსაქსული და დაპირისპირებული ოპოზიციური სპექტრი ბოლომდე შეინარჩუნოს და გაერთიანება არ დაუშვას.

საინტერესოა, როგორ განვითარდება ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობები ზამთარში. ეი-ი-ეს-სა და საბითუმო ბაზარს შორის დაწყებული ბრძოლა არასახარბიელო ზამთარს გვპირდება. სრულიად ბუნდოვანია თბილისის გაზით მომარაგების პერსპექტივაც, განსაკუთრებით, რუსეთთან არსებულ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ. ადვილი მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებამ ზამთარში გაზის შეწყვეტა ოპოზიციის წინააღმდეგ გამოიყენოს და, "იტერასთან" მოლაპარაკების ჩაშლის გამო, გაზის შეწყვეტა მას დააბრალოს; შესაბამისად, დესტაბილიზაციის მოწყობის სურვილიც ისევ ოპოზიციას მიეწერება.

"იტერასთან" ხელშეკრულების დადებას თავიდანვე აპროტესტებდა ოპოზიცია და მასმედია, თუმცა ცალსახაა, რომ ეს პროტესტი ხელისუფლებას არ შეაჩერებდა, ამერიკის ადმინისტრაციას რომ არ ეაქტიურა და არ აეძულებინა საქართველოს მთავრობა, ამ კაბალურ გარიგებაზე უარი ეთქვა. ისიც ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსული კომპანია საქართველოს გაზგამანაწილებელ სისტემას ჩაიგდებდა ხელში, არანაირი გარანტიები არ არსებობდა, რომ თბილისს, გადაუხდელობის მიზეზით, გაზის მოწოდება არ შეუწყდებოდა.

სხვათა შორის, ძალიან საინტერსოა ის დეტალი, რომ "თბილგაზი", თბილისის მერიის კურატორობიდან, ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის, ანუ ხელისუფლება საჭირო ზომებს წინასწარ იღებს, რომ ოპოზიციურმა საკრებულომ "თბილგაზზე" ყველანაირი გავლენა დაკარგოს.

ასე რომ, წინ ნამდვილად არ გველოდება უსაფრთხო, მშვიდი და თბილი ზამთარი. არავინ იცის, როდის აფეთქდება დენთის კასრი, რომელზე ცხოვრებასაც, ჩვენი ხელისუფლების წყალობით, უკვე კარგა ხანია, მივეჩვიეთ.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში გაიმართა აშშ-ს, თურქეთისა და საქართველოს სამხედრო უწყებების წარმომადგენელთა სამმხრივი შეხვედრა. მისი მონაწილეები გადაწყვეტენ საქართველოს შეიარაღებული ძალების დახმარების საკითხს.

საქართველოს დახმარების პროგრამაში შეუძლიათ ჩაერთონ ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნებიც. თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ ქოქსალ ქარაბაის განცხადებით, სამმხრივი შეხვედრის მთავარი მიზანია, განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რა დახმარების გაწევა შეუძლიათ აშშ-სა და თურქეთს ქართული არმიისათვის. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთში რეგისტრირებული 15,5 ათასი დევნილიდან 90 პროცენტი საქართველოდანაა - განაცხადა გაერო-ს დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ჯოზეფ გიორკემ. მისი თქმით, სულ რუსეთში დევნილის სტატუსი ოფიციალურად მინიჭებული აქვს 15 523 ადამიანს, საიდანაც 12 921 ადამიანი საქართველოს მკვიდრია, რომლებიც ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობენ. არაოფიციალური მონაცემებით, რუსეთში იმყოფება, დაახლოებით, 80 ათასი აფხაზეთიდან დევნილი, რომელთაგან 60 ათასი ქართველია, დანარჩენები კი აფხაზები, რუსები და სომხები არიან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსასამართლოს მიერ საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილმა რეკომენდაციამ საქართველოში დაკავებული ჩეჩენი მოქალაქეების ექტრადიციის შეჩერების თაობაზე მოსკოვის "გულახდილი გაკვირვება" გამოიწვია. რუსეთის საგარეო უწყებამ გავრცელებულ განცხადებაში ევროსასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთში ექსტრადირებულ პირთა მიმართ შესაძლო არაჰუმანური ქცევის "გამოგონილი მოტივით მიღებულად" და "საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო განხილვაში უხეშ ჩარევად" შეაფასა. "ამგვარი გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე აძლიერებს ეჭვს, რომ ევროსასამართლოს ჩინოვნიკები რეკომენდაციის მიღებისას არა ადამიანის უფლებების დაცვაზე ზრუნვით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ," - აცახდებს რუსეთის საგარეო უწყება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**ცხინვალი.** ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე სამხრეთ ოსეთის მიერ არაკონტროლირებად ქართულ სოფლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების შეყვანას "პირდაპირ აგრესიად" ჩათვლის, - განაცხადა ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ, ცხინვალის მთავრობის საგანგებო დავალებათა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა. "ასეთ შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტი დაუყოვნებლივ განახლდება, ამდენად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა თავისი რესურსების მობილიზაციას ეწევა", - განაცხადა ბორის ჩოჩიევმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გასაყვანად საჭიროა 15 წელი. ამგვარი მოსაზრება გამოთქვა სომხეთში რუსეთის ელჩმა ანატოლი დრიუკოვმა. "არ გავიმეორებთ იმ შეცდომებს, როცა აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარები ტრიალ მინდორზე გაიყვანეს და ხალხი იქ გაიყინა," - აღნიშნა ელჩმა. სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით დრიუკოვმა აღნიშნა, რომ "თუ ამ რაიონიდან რუსეთის ჯარების გაყვანა დროში გაიწელება, გაჩნდება სამუშაო ადგილების შექმნის და სოციალური პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა," - განაცხადა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის სეპარატისტულ მთავრობას საფუძველი აღარ აქვს, ქართული მხარე კოდორის ხეობის ზედა ნაწილში ჭარბი რაოდენობით იარაღის განთავსებაში დაადანაშაულოს. როგორც თავდაცვის სამინისტროს კოდორის განსაკუთრებული მიმართულების სარდლის მოადგილემ გიორგი გვარმიანმა განაცხადა, კოდორიდან აფხაზეთის ომის დროს დარჩენილი საბრძოლო იარაღის ბოლო პარტია, მათ შორის ჭურვები, 4 სატვირთო მანქანით ჩაიტანეს ქუთაისში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თელავი.** სიცოცხლის გარანტიების არარსებობის მიუხედავად, პანკისი ხეობაში მცხოვრები 3000-მდე ლტოლვილი მასობრივად დაიწყებს დაბრუნებას ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. "კავკასიური სახლის" წარმომადგენლის ბექა ხანგოშვილის განცხადებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დაკავებულ 8 ჩეჩენს რუსეთს გადასცემენ და ჩეჩენი ლტოლვილებისთვის მესამე ქვეყანა არ მოიძებნება. აღნიშნული მოთხოვნებით სოფელ დუისში ჩეჩენი ლტოლვილები, მეოთხე დღეა, შიმშილობენ. აქცია 14-მა ადამიანმა დაიწყო, 2 მოშიმშილე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ბინაზეა გადაყვანილი. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზი ეროვნების 7 ათასამდე პიროვნებას აღებული აქვს ქართული ეროვნული პასპორტი, მათ შორის თვით არძინბას და ჯერგენიას. აქვე აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭო კატეგორიულად უარყოფს სეპარატისტული ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ცნობებს, რომელთა მიხედვით, მარტო ერთ თვეში რუსეთის მოქალაქეობა მიიღო 120 ათასმა ადამიანმა. მათი თქმით, არც ის მონაცემია სწორი, რომ თითქოს აფხაზეთში ცხოვრობს 300 ათასამდე კაცი. მინისტრთა საბჭოს მონაცემებტით, დღეისთვის აფხაზეთში 160 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან 73 ათასი ქართველია (მხოლოდ გალის რაიონშია გადასული 55 ათასი ადამიანი), 32-33 ათასი აფხაზი, 18 ათასი რუსი, 22 ათასი სომეხი და 14 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ინგუშეთი.** სუნჟენის რაიონში დასრულდა 58-ე არმიის ქვედანაყოფის სპეცოპერაცია, რომელიც ითვალისწინებდა ერთი თვის წინ საქართველოს ტერიტორიიდან სოფელ გალაშკის რაიონში შეჭრილ ჩეჩენ ბოევიკთა რაზმის განადგურებას. "ამჟამად ყველა ოპერაცია ინგუშეთის ტერიტორიაზე შეწყვეტილია, ბანდა მთლიანად განადგურებულია", - განუცხადა "ინტერფაქსს" 58-ე არმიის შტაბის უფროსმა ვლადიმირ ჩირკინმა. მან დაადასტურა, რომ სამხედროები არ ფლობენ ოფიციალურ ინფორმაციას ინგუშეთის ტერიტორიაზე ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ყოფნის შესახებ. "ცნობები გელაევის დაჭრის შესახებ ოფიციალურად არ დასტურდება", - განაცხადა ჩირკინმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი თენგიზ კიტოვანი, ქართველ მესაზღვრეთა მიერ აგვისტოში დაკავებულ 13 ჩეჩენიდან ხუთის რუსეთში ექსტრადიციას ნახევარზომას უწოდებს. მან თქვა, რომ ექსტრადიციის ფაქტით საქართველო ცდილობს რუსეთს აჩვენოს, რომ მის წინაშე თავის ვალდებულებას ასრულებს, თუმცა რეალურად მას "სანახევროდ და შერჩევით" უზრუნველყოფს. "თავის დროზე, საქართველოს ხელისუფლება არ ცდილობდა რუსეთისთვის საველე მეთაურის რუსლან გელაევის და მთლიანად მისი ბანდის გადაცემას, ხოლო ახლა არაკაცურად იქცევა, როდესაც ნებაყოფლობით ჩაბარებულთა ექსტრადიციით რუსეთის ნდობის აღდგენა სურს", - თქვა თენგიზ კიტოვანმა. მისი განცხადებით, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალი რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების აღდგენაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**კისლოვოდსკი.** რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს პანკისის ხეობაში თავმოყრილია 500-მდე ბოევიკი, - განაცხადა მსოფლიო ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ფორუმის თავმჯდომარემ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ტრანსნაციონალურ დანაშაულსა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში კანონმდებლობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი კულიკოვმა.

ამასთან, მან არ გამორიცხა, რომ ბოევიკებმა შესაძლოა საქართველო-რუსეთის საზღვარზე სცადონ გარღვევა . **კავკას-პრესი.**




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# სომხეთის საპარლამენტო დელეგაცია თბილისში

*საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სომხეთის პარლამენტის -ეროვნული კრების დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის არმენ ხაჩატრიანის ხელმძღვანელობით. ეს არის სომეხ კანონმდებელთა საპასუხო სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში: გასული წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს, თანმხლებ დეპუტატებთან ერთად, ერევანში უმასპინძლეს.*

გიორგი ასანიშვილი



*ნინო ბურჯანაძე და არმენ ხაჩატრიანი.*

სამხრეთ კავკასიის ორი ქრისტიანული ქვეყნის ურთიერთობები დღეს შორს დგას იდეალურისგან, რასაც თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ რატიფიცირებული არ არის სომხეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ "ჩარჩო-ხელშეკრულება", რომელზეც პრეზიდენტებს - შევარდნაძესა და კოჩარიანს ხელი მოწერილი აქვთ. არც ის გახლავთ საიდუმლო, რომ ოფიციალურ თბილისსა და ერევანს განსხვავებული მიდგომები აქვთ ჯავახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, რიგ პოლიტიკურ და ეთნიკურ საკითხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტში მიბრძანებულ სომეხ პარლამენტართა დელეგაციას ქართველი კოლეგები გამორჩეული პატივისცემით - ფეხზე ადგომითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

თავის მხრივ, თბილი დამოკიდებულებით და ქართველი ხალხისადმი ხაზგასმული პატივისცემით იყო გამორჩეული არმენ ხაჩატრიანის გამოსვლაც. ეროვნული კრების თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ისტორიულად არსებობდა მეგობრული კავშირები და ამ ტრადიციას ქართველი და სომეხი პარლამენტარები ღირსეულად აგრძელებენ. საკმაოდ ზოგად მიმართვაში ეროვნული კრების თავმჯდომარემ ორმხრივი და რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობაზეც ისაუბრა.

პარლამენტის გარდა, სომეხ პარლამენტართა დელეგაცია გუშინ საპატრიარქოსაც ეწვია, სადაც ის საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო, დღეს კი სტუმრებს კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უმასპინძლებენ.

# ევროკავშირის დახმარება შეჩერებულია

პირველი გვერდიდან

**ინგლისელ ბიზნესმენთან დაკავშირებული პრობლემები ართულებს ევროკავშირიდან სპეციალისტებისა და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენელთა გამოგზავნას საქართველოში..."**

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის დროს, ევროკავშირის წარმომადგენლებმა, პიტერ შოუს ფაქტის გარდა, საქართველოს ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და რელიგიური შემწყნარებლობის მხრივ არსებული პრობლემების გამოც უსაყვედურეს.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი ტონი შედარებით შერბილებული იყო და ამის მიზეზი, ძირითადად, პანკისში **"შედეგიანად და წარმატებულად"** ჩატარებული ოპერაცია გახლდათ.

გარდა ამ საკითხებისა, სტუმრებმა ქართულ მხარესთან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, სამაჩაბლოს კონფლიქტში ევროკავშირის როლის გაზრდასა და აფხაზეთის თემაზეც ისაუბრეს.

# გარე მოვაჭრეებს ამჯერად პარლამენტიდან უტევენ

*სხვადასხვა სტრუქტურების მხრიდან გარე ვაჭრობის სფეროში წესრიგის დამყარების მცდელობა აქამდე ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. გუშინ ეს მისია პარლამენტმა ითავა: გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის კონტროლის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ჯამბულ ბაკურაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი, რომლის მიზანია, მიმართულება შეუცვალოს ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეებში უკანონოდ მიმავალ ფულს და იგი სახელმწიფო ხაზინისკენ მიმართოს. ბანალური მიზეზის - კვორუმის არარსებობის გამო, დოკუმენტისთვის კენჭი არ უყრიათ. თუმცა, ისიც საკითხავია, რომ მიიღოს კიდეც პარლამენტმა ზემოთ აღნიშნული დადგენილება, რამდენად მოაწესრიგებს ის გარე ვაჭრობის სფეროში დღეს არსებულ ქაოსსა და განუკითხაობას.*

გიგა თავაძე

**"გარე მოვაჭრეთაგან ყოველდღიურად 30 ათასი ლარი იკრიბება და ამ თანხას სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნები იჯიბავენ. მათ ინტერესებში შედის, რომ ამ სფეროში ყველაფერი უცვლელად დარჩეს, ისინი ყველანაირად ეწინააღმდეგებიან ვაჭრობის ცივილურ ფორმებზე გადასვლას. ბაზრობები იქცა შავ ხვრელად, რომელშიც კონტრაბანდული გზით ქვეყანაში შემოტანილი საქონელი მიედინება",** - აცხადებს დეპუტატი გიორგი ბარამიძე, რომელიც სახელმწიფო მინისტრს პარლამენტში იმის გასარკვევად "იბარებს", თუ რა გზით აპირებს აღმასრულებელი ხელისუფლება დედაქალაქისთვის უმწვავესი პრობლემის მოგვარებას.

ჯამბულ ბაკურაძეს კი, იმის საილუსტრაციოდ, რომ საკითხის გადაწყვეტით სახელმწიფო ხაზინა საკმაოდ შეივსება, ასეთი არგუმენტი მოაქვს: **"თითოეული გარე მოვაჭრისგან ბიუჯეტში 50 თეთრიც რომ შევიდეს, ხაზინას ყოველ წელს 30 მილიონი ლარი შეემატება".**

დადგენილების პროექტის მიხედვით, გარე მოვაჭრეთათვის თბილისში დაწესებული გადასახადი 0,5-2 ლარის ფარგლებში იქნება. ამასთან დაკავშირებით, გიორგი ბარამიძე განმარტავს, რომ ამ ოდენობის თანხას გარე მოვაჭრეები ისედაც იხდიან, ოღონდ იგი, ბიუჯეტის ნაცვლად, სამართალდამცავთა ქისებში გროვდება.

საერთო აზრით, პრობლემის მოგვარებას ძალიან უშლის ხელს მოვაჭრეთა რეგისტრაციის ფაქტობრივი არარსებობა. უფრო სწორედ, სათანადო სტატისტიკა კი არსებობს, მაგრამ ის ძალიან შორს დგას რეალობისგან. მაგალითად, დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, თბილისში სულ 6.311 მოვაჭრეა ("ნეტავ, ის მეთერთმეტე კაცი სად დათვალეს?" - აინტერესებს ბაკურაძეს), რაც ნამდვილად არსებული "კონტინგენტის" მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია.

"მოქალაქე" ვიტალი ხაზარაძე გარე მოვაჭრეთა პრობლემასთან გამკლავების სირთულეებს თბილისში ლტოლვილთა კონცენტრაციით ხსნის, თუმცა, ჯამბულ ბაკურაძე ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება და დარწმუნებით აცხადებს, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილები გარე მოვაჭრეთა მხოლოდ 3-5 პროცენტს შეადგენენ, დანარჩენები კი იმერეთის რაიონებიდან საარსებო ლუკმაპურის საშოვნელად ჩამოსული ხალხია.

პარლამენტარები სულაც არ იკვებებიან ილუზიით, რომ აღნიშნული საკითხი ერთი დადგენილების მიღებით გადაწყდება. მათ ისიც აშინებთ, რომ დოკუმენტის მიღებისა და მისი აღსრულების დროს, შესაძლოა, ისეთივე ექსცესები მოხდეს, როგორსაც ქუთაისში უკვე ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად ამისა, კანონმდებლები უკანდახევას არ აპირებენ. მეტიც: როგორც გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე აცხადებს, მალე ის კოლეგებს შესთავაზებს წინადადებებს, რომლებიც კაზინოების, ტოტალიზატორებისა და სამარშრუტო ტაქსების "დარგში" წესრიგის დამყარებას ისახავს მიზნად.

# ნოემბერში კვლავ არჩევნებია

*"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური და ანტიკორუფციული საბჭოს ყველაზე ხმაურიანი წევრი გივი თარგამაძე დეპუტატის მანდატისთვის იბრძოლებენ.*
*გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად "ნაციონალური მოძრაობა" სამტრედიისა და თბილისის საბურთალოს რაიონებში 24 ნოემბერს დანიშნულ მაჟორიტარულ არჩევნებში საკუთარ კანდიდატებად სწორედ მათ დაასახელებს. "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის თქმით, პარტიას "ჯერ არ განუხილავს რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საკითხი".*

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ: 24 ნოემბერს საქართველოს რამდენიმე რაიონში პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნები გაიმართება. აბაშის, სამტრედიის, რუსთავისა და თბილისის საბურთალოს რაიონების მოსახლეობამ საკუთარი დეპუტატები უნდა აირჩიოს.

*ამ რაიონებში მაჟორიტარული არჩევნების გამართვის აუცილებლობა სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. აბაშის ყოფილი მაჟორიტარი სოსო ჭანტურია პრეზიდენტმა შევარდნაძემ ამავე რაიონის გამგებლად დანიშნა, რუსთაველთა ყოფილი რჩეული მერაბ ტყეშელაშვილი დღეს ქალაქის მერია, საბურთალოს რაიონის ყოფილი მაჟორიტარი რევაზ ადამია ზაფხულში გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნა, ხოლო სამტრედიელი თამაზ გამრეკლიძე რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.*

პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებიათ საკუთარი კანდიდატურები. მათი ვინაობა 15 ოქტომბრის შემდეგ გაირკვევა, რადგან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალური განცხადების მიღების ვადად სწორედ 15-დან 25 ოქტომბრამდე პერიოდი დაასახელა. 24 ნოემბრის არჩევნებს ორგანიზებას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები გაუწევენ, ხოლო საბურთალოს რაიონში კენჭისყრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პატრონაჟით გაიმართება.

ჯერჯერობით, პოლიტიკური ორგანიზაციები მომავალი არჩევნებით არ ინტერესდებიან. რამდენიმე პარტიას, მათ შორის, სოციალისტებსა და "მოქალაქეთა კავშირს" ჯერ არც კი უმსჯელიათ ამ თემაზე. საკუთარი პოზიცია არ ჩამოუყალიბებია არც "აღორძინების კავშირს". როგორც ამ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარემ ჯემალ გოგიტიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, მათ, ალბათ, საკუთარი კანდიდატები არ ეყოლებათ. გოგიტიძის თქმით, **"აღორძინება" არც სხვა პარტიების კანდიდატებს დაუჭერს მხარს",** განსხვავებით იმავე სოციალისტებისაგან, რომლებმაც, შესაძლოა, რომელიმე პარტიის კანდიდატებს მაინც უგულშემატკივრონ. პარტიის გენერალური მდივნის ირაკლი მინდელის თქმით, თუკი "გაქრისტიანდემოკრატებული" **"გიორგი კობახიძე მართლაც გადაწყვეტს, კენჭი იყაროს საბურთალოს რაიონში, სოციალისტები მას გვერდით დაუდგებიან"** (ხმები არჩევნებში კობახიძის მონაწილეობის თაობაზე თბილისში რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა).

ამ არჩევნებში მონაწილეობას პრინციპულად არ მიიღებენ ლეიბორისტები. **"1999 წელს საქართველოს ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ პარლამენტში საკმაოდ ხალხმრავალი ფრაქცია შეიყვანა, მაგრამ კრიმინალებმა მოახდინეს არჩევნების შედეგების უზურპაცია. ამიტომ პარტია ბოიკოტს უცხადებს ამ პარლამენტს. თვითონ იგია "გამოსაკლები" საქართველოს ცხოვრებიდან",** – აცხადებს პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი.

არჩევნებში არც "ახალი მემარჯვენეების" კანდიდატები მიიღებენ მონაწილეობას, რადგან მიაჩნიათ, რომ **"ამ მოწვევის პარლამენტს სამოქმედოდ საკმაოდ მცირე დრო რჩება და, აქედან გამომდინარე, იქ შესვლას აზრი არ აქვს".**

# "ფესვები" ნიადაგის მოსინჯვას იწყებს...

*გორი გუშინ საზოგადოებრივ მოძრაობა "ფესვებს" მასპინძლობდა. მოძრაობა, რომელიც ოფიციალურად აგვისტოში დაფუძნდა, ახლა იწყებს აქტიურობას, რაც დღეს რეგიონალური ორგანიზაციების დაფუძნებაში გამოიხატება, მომავალში კი, შესაძლოა, ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებაში გადაიზარდოს.*
***"აწმყო უწარსულოდ უფესვო ნერგია"*** *- ილია ჭავჭავაძის ეს გამონათქვამი ერთ-ერთი ლოზუნგია მოძრაობისა, რომლის მთავარი საქმიანობა, როგორც მოძრაობის მესვეურნი ამბობენ, საერთო-სახალხო დიალოგის გამართვას გულისხმობს. ამ დიალოგის შედეგი კი, მათივე სიტყვებით, ან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ხელისუფლებამდე მიტანა იქნება, ან ახალი პარტიის შექმნა.*

თამარ ხორბალაძე

პარტიები საქართველოში ისედაც მრავლადაა, წინასაარჩევნო პერიოდში ახალი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა, ამ მოძრაობას აქვს რამდენიმე მახასიათებელი ნიშანი.

მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სახე გახლავთ კახა შარტავა, ჟიული შარტავას ვაჟიშვილი, რაც ამ მოძრაობას გარკვეულ რომანტიკულ-პატრიოტულ ხიბლს ანიჭებს.

არსებობს სიახლის გარკვეული ეფექტიც, რაც დღემდე პოლიტიკაში ნაკლებად ცნობილი, შესაბამისად, ნაკლებად "გასვრილი" სახეების გამოჩენას ითვალისწინებს.

თავის მხრივ, ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ პირველად ინფორმაცია მოძრაობის შექმნის შესახებ ნიკო ლეკიშვილის მიერ გამჟღავნდა, როცა მან, "მოქალაქეთა კავშირის" სარეანიმაციო ყრილობის წინ, მომავალ "პოლიტიკურ დასაყრდენებზე" საუბრისას, ახალი მოძრაობის დაფუძნების პერსპექტივაც ახსენა. მაშინ მან განაცხადა, რომ მომავალში ეს მოძრაობა, თუ დამკვიდრებულ ტრადიციას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, პოლიტიკურ პარტიაშიც გადაიზარდოსო. მაშინ ნიკო ლეკიშვილმა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მაგალითიც გაიხსენა და, განსაკუთრებით - "ახლების" შემთხვევაც, რომლებიც თითქმის იმავე წიაღში ჩამოყალიბდნენ. ნიკო ლეკიშვილის სახელი ახალ მოძრაობას გარკვეულ ფინანსურ წონასაც ანიჭებს და ეს პოლიტიკურ სარბიელზე უმნიშვნელო ფაქტი არ გახლავთ.

თუმცა, დღეს საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერები აშკარად არ არიან მზად კონკრეტულ პერსპექტივაზე სასაუბროდ. გორში ჩატარებულმა გუშინდელმა გასვლითმა ღონისძიებამაც ცხადყო, რომ, ჯერჯერობით, მოძრაობა საქართველოს საზოგადოებაში "ნიადაგის მოსინჯვითა" და საკუთარი ადგილის ძიებითაა დაკავებული. ამაზე მეტყველებს კახა შარტავას პასუხებიც "24 საათის" კითხვებზე:

**- თუ რაიმეს შეცვლის პრეტენზია გაქვთ, მოგიწევთ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობა. თუ ხედავთ იმ ძალებს, ვისთანაც შესაძლებლად მიგაჩნიათ მომავალში თანამშრომლობა?**

- მინდა, ყველას შევხვდე, ვინც არის დღეს პოლიტიკაში და პირისპირ შეხვედრისას გავარკვიო ჩემთვის საინტერესო საკითხები; გავარკვიო, ვინ რას წარმოადგენს. მეორე ოცნება მაქვს, რომ ყველა ერთად შევკრიბო და ვისაუბროთ იმაზე, თუ ვისი საქართველო რას გულისხმობს... იქნებ, ასე მაინც მოვძებნოთ რაღაც საერთო.

**- ანუ პარტნიორებს ეძებთ?**

- მე პარტნიორებსაც ვეძებ და მეგობრებსაც, თანამოაზრეებსაც, ოღონდ, ვერ ვითანამშრომლებ ვერავისთან, ვისი ადამიანური და პოლიტიკური მრწამსი - კრედო არ მეცოდინება; ვისთანაც საერთო ხედვა და საერთო მიზანი არ მექნება.

**- საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი. ფიქრობთ, რომ ამ პერიოდამდე ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოყალიბდებით?**

- ეს იმ ადამიანებზეა დამოკიდებული, ვინც დაინტერესდება ან არ დაინტერესდება ამ მოძრაობით...

**- შეიძლება თუ არა, თქვენი მოძრაობა ნიკო ლეკიშვილის დასაყრდენად მოვიაზროთ?**

- რა გითხრათ... მე ვერ ვიქნები ვერავის დასაყრდენი, თუ არ მეცოდინება რატომ მეყრდნობა, რისი გაკეთება უნდა... იმედი მაქვს, ნიკო ლეკიშვილს რეალურად გააჩნია შინაგანი მუხტი, რომ ბევრი რამ სასიკეთო აკეთოს. ამაში მივეხმარებით, ისევე, როგორც თავად მოგვეხმარება... თუმცა, დასაყრდენს ამას ვერ დავარქმევ...

და ბოლოს: კახა შარტავა აცხადებს, რომ, ჯერჯერობით, მოძრაობას, ხალხთან დიალოგის საწარმოებლად, სერიოზული ფინანსები არ სჭირდება. ამასთანავე იმედოვნებს, რომ, თუ ფინანსების მოზიდვის აუცილებლობა წარმოიქმნება, გამოჩნდებიან ისეთი ადმიანები, ვისი ფულის აღებისაც მას და მის თანამოაზრეებს არ შერცხვებათ.

# WTO - სიკეთე, რომელიც, შეიძლება, ბოროტებად შემოგვიბრუნდეს

*2000 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა დოკუმენტს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების შესახებ. ამ ფაქტს პოლიტიკურ წრეებში მაშინ დიდი გამოხმაურება და განსაკუთრებული ვნებათა ღელვა არ მოჰყოლია. ყველამ მიიჩნია, რომ ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს თანასწორუფლებიანი წევრობის კიდევ ერთი დადასტურება და WTO-ში შესვლა ისეთივე სიმბოლურ ნაბიჯად შეფასდა, როგორც გაერო-ში, ეუთო-ში და სხვა ორგანიზაციებში საქართველოს მიღება. ამ ამბიდან ორწლინახევრის შემდეგ კი ირკვევა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მთლად "უწყინარი დაწესებულება" არ ყოფილა და მის ჭერქვეშ ყოფნა საკმაოდ დიდ საშიშროებასთან არის დაკავშირებული.*

გიორგი გიორგაძე

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას თამაშის თავისი წესები აქვს და თუ მისი მიღების დროს ბედოვლათი ხელისუფლება გყავს, ადვილი შესაძლებელია, ეკონომიკურ ყულფში გაყო თავი. საქართველოს შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე სწორედ ამისკენ მიდის: თუ რაიმე განსაკუთრებული ზომები არ იქნება მიღებული, იაფი და მაღალხარისხიანი უცხოური პროდუქცია ჩვენს ბაზარს წალეკავს და ადგილობრივ წარმოებას მთლიანად გაანადგურებს. თავად განსაჯეთ: როდესაც დაბეგვრის თითქმის ერთნაირ რეჟიმში აღმოჩნდება საზღვარგარეთიდან შემოტანილი და ადგილზე წარმოებული ზეთი, შაქარი, კვერცხი, მატყლი და სხვა, რა დაემართება ეკონომიკის ეროვნულ სექტორს და, აქედან გამომდინარე, მთლიანად ეკონომიკას.

ცხადია, ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ უკვე თავისთავად WTO-ში ყოფნა წამგებიანია და თავის დროზე მასში შესვლა არასწორი იყო. პირიქით: საკითხისადმი მართებულად მიდგომისა და სწორი ფინანსურ-ეკონომიკური გათვლების შემთხვევაში, WTO-ს წევრობა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციასა და მასში ღირსეული ადგილის დაკავებას შეუწყობდა ხელს. მით უმეტეს, რომ გაწევრიანებისას WTO-მ საქართველოს ხუთწლიანი ვადა მისცა თავისი სატარიფო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და ამ გზით უცხოური ექსპანსიისგან საკუთარი ბაზრის დასაცავად. ახლა კი ირკვევა, რომ განვლილი დრო სულ ტყუილად გაიფლანგა და ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა.

არსებული მდგომარეობისა და მოახლოებულ საფრთხესთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს პარლამენტში განგაში ატყდა. გიორგი ბარამიძის თქმით, მთავრობაში უნდა შეიქმნას ჯგუფი, რომელიც WTO-სთან გაფორმებული შეთანხმების გადასინჯვას შეეცდება. დაახლოებით ამავეს ითხოვს ვალერი გელბახიანიც, რომელიც აცხადებს, რომ WTO-ს უნდა "ვევაჭროთ", რათა აგრარულ სექტორში მაინც ხელახლა დაიწყოს შეღავათიანი ხუთწლიანი პერიოდის ათვლა. დეპუტატების გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფი პარლამენტშიც შეიქმნება, რომელიც, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, შეეცდება გამოსავლის პოვნას.

ძნელი სათქმელია, რითი დასრულდება კანონმდებელ-აღმასრულებელთა დაგვიანებული გამოფხიზლება და წავა თუ არა WTO რაიმე შეღავათებზე. თუ ასე არ მოხდება, ქართული ბაზარი, ალბათ, მსოფლიოში ყველაზე ტოლერანტული იქნება – ერთ-ერთი დეპუტატის თქმისა არ იყოს, ლაგოდეხური კიტრი და კოტდიუარული კაკაო ერთნაირად დაიბეგრება.

სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ სულ მალე რუსეთი, შეიძლება, WTO-ში გაწევრიანდეს. იმაზე ფიქრიც კი შემზარავია, თუ რა მოხდება, როდესაც გიგანტი მეზობლის გიგანტური ბაზარი, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, "აითვისებს" საქართველოს დაუცველ ეკონომიკურ სივრცეს.

# ქართველი ფეხბურთელებისა და რაგბისტების პარალელურად, "მოთელვას" პოლიციელებიც გადიან

პირველი გვერდიდან

"ჩაერთო". რამდენიმე დღეა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები "მთელი დატვირთვით ვარჯიშობენ", რათა ორივე სპორტული შეხვედრა ნორმალურ ვითარებაში ჩატარდეს და ყოველგვარი ექსცესები და უსიამოვნო სიურპრიზები თავიდან იქნას აცილებული.

სახელმწიფო კანცელარიაში ავთანდილ ჯორბენაძესთან გუშინ გამართულ ერთ-ერთ ბოლო "მოთელვაზე", სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად, ფეხბურთის ეროვნული ფედერაციისა და რაგბის კავშირის თავკაცები - მერაბ ჟორდანია და ბიძინა გეგიძეც გამოცხადდნენ. ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ფიგურას ყველა მათგანმა უპატაკა, რომ სამზადისი (როგორც სპორტული, ისე პროფილაქტიკური თვალსაზრისით) ნორმალურად მიმდინარეობს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მიხეილ სალაძის თქმით, წესრიგის დასაცავად 2800 პოლიციელია მობილიზებული. მატჩების დაწყებამდე და მათი დამთავრების შემდეგ, ინციდენტების თავიდან აცილების გარდა, ისინი სტუმრების განთავსების ადგილების დაცვაზეც იზრუნებენ. ამასთან, ეროვნული და "ლოკომოტივის" სტადიონების ადმინისტრაციათა გადაწყვეტილებით, იკრძალება მსხვრევად და პოლიეთილენის ბოთლებში მოთავსებული გამაგრილებელი სასმელების სპორტულ არენებზე შეტანა. მატჩების დღეს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არ გაიყიდება შეხვედრებზე დასასწრები ბილეთები, მატჩების დაწყებამდე სამი საათით ადრე კი სტადიონებთან მისასვლელი გზები გადაიკეტება.

"დაგვიფასდეს მაინც ამდენი წვალება და გვასახელონ ჩვენმა ფეხბურთელებმა და რაგბისტებმა", - მხოლოდ ამას ნატრობდნენ ჯორბენაძესთან შეხვედრიდან გამოსული პოლიციის მუშაკები.

მათი სურვილის ახდენაზე არავინ იტყვის უარს.

# ეროვნული ბანკი უფლებამოსილებას იფართოვებს

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოამზადა და იუსტიციის სამინისტროს განსახილველად გადასცა "არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის", "ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის წესის" პროექტები.

ეროვნული ბანკის სადეპოზიტო დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილის ნიკა ჩლაიძის განცხადებით, ახალი წესის მიხედვით, **"საკრედიტო კავშირების ხელთ არსებული ფინანსები ეროვნული ბანკის კონტროლის ქვეშ მოექცევა."** მისი თქმით, საქართველოში 200-ზე მეტი საკრედიტო კავშირია, რომლებიც, ძირითადად, რაიონებში ფუნქციონირებენ და ადგილზე ემსახურებიან მეანაბრეებსა და სხვა კრედიტორებს. ხსენებული პროექტის ამოქმედება, ჩლაიძის შეფასებით, ხელს შეუწყობს აქტივების გაფლანგვა-განიავების აღკვეთას, არაკანონიერი ქმედებების დადგენას და კრედიტორთა ინტერესების მაქსიმალურ დაცვას.

რაც შეეხება ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებას და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ეროვნულმა ბანკმა საჭიროდ მიიჩნია ინსტრუქციის გადამუშავება. კერძოდ, არსებითი ცვლილებები განიცადა ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხამ. ლიცენზირების ნაწილს დაემატა მუხლები, რომლებიც არეგულირებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის ლიცენზიის გაცემის, მისი მოქმედების შეჩერების, განახლებისა და გაუქმების საკითხებს.

ახალი წესის თანახმად, განისაზღვრა პუნქტის საქმიანობა, უფლებები, აკრძალვები და პასუხისმგებლობა, გაიზარდა მათზე ეროვნული ბანკის ზედამხედველობა, გაჩნდა ახალი მოთხოვნაც – ვალუტის გადამცვლელმა ყველა პუნქტმა ერთი წლის ვადაში უნდა შეიძინოს კომპიუტერი (რა თქმა უნდა, საკუთარი სახსრებით).

ეროვნული ბანკის ინიციატივას დიდი მოწონებით არ შეხვედრიან ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებში. თავისუფლების მოედანზე მოქმედი პუნქტების მეპატრონეებმა, რომლებმაც ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავეს, "24 საათის" კორესპონდენტს განუცხადეს: **"შეუძლებელია ყოველ კვირას ახალი წესების შემოღება. მოგვეცით ამოსუნთქვის საშუალება. შესაბამისი კურსებიც დავამთავრე და ლიცენზიაც მაქვს. რა უნდათ კიდევ? ფულის გასასინჯი აპარატი ხომ მაყიდინეს, ახლა კიდევ კომპიუტერი. რაში მჭირდება? ალბათ, ამერიკაშია ასე. ახლა ხომ ყველაფერში ამერიკას ვბაძავთ."**

ამერიკის და ამერიკელების რა მოგახსენოთ, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, მოახერხებენ თუ არა კომპიუტერთან "ურთიერთობას" ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მუშაკები.

და ბოლოს, ინფორმაციისათვის, ეროვნული ბანკის პირველი სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელი 312 ლიცენზირებული პუნქტი მოქმედებს. აქედან 69 პროცენტი (214 პუნქტი) ფიზიკურ პირებს ეკუთვნის, ხოლო 31 პროცენტი (98 პუნქტი) – იურიდიულ პირებს.

# ფოთის ნავთობგადამტვირთავი ტერმინალი ბიუჯეტს ათობით მილიონს მოუტანს

*გუშინ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორსაათიანი ვიზიტი ფოთში ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი ტერმინალის პრეზენტაციაზე დასწრებით დაასრულა.*

სოფიკო ოხანაშვილი

**"ფოთის ტერმინალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. როცა 20 მილიონის სიმძლავრეზე გავლენ, თანხები გაორმაგდება, ყველაფერი ეს ბიუჯეტის შემოსავლებს გაზრდის, თანაც, ხალხიც დასაქმდება",** - ასეთი შეფასება მისცა პრეზიდენტმა ფოთის ტერმინალის მნიშვნელობას.

ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი ტერმინალის პროექტი ორ ფაზად იყოფა. გუშინ პირველი ფაზის დასრულება საზეიმოდ აღნიშნეს. ეს ტერმინალი "თეთრი" ნავთობპროდუქტების გადატვირთვას აწარმოებს. გუშინვე დაიწყო მეორე ფაზის განხორციელება, რაც მეორე ტერმინალის საძირკვლის მშენებლობით დაიწყეს (იგი მაზუთისა და ნედლი ნავთობის გადატვირთვებს განახორციელებს). მშენებარე ობიექტის საძირკველში კაფსულაში მოთავსებული პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი "მომავლის წერილი" ჩამარხეს. ამ პროექტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აფინანსებს. ფოთის პორტს პარტნიორობას უწევს თურქეთისა და ირლანდიის ერთობლივი კომპანია "ჩენელ ენერჯი ლიმითიდ საქართველო". პროექტის ორივე ეტაპის განხორციელებისთვის გამოყოფილია 34 მილიონი დოლარის კრედიტი.



საქინფორმის ფოტო

*ედუარდ შევარდნაძე ფოთის პორტში ტერმინალის გახსნაზე.*

პირველი ფაზის მშენებლობას 12 მილიონი დოლარი დასჭირდა.

თეთრი ნავთობპროდუქტების ტერმინალის მოცულობა 36 ათას 800 კუბურ მეტრს შეადგენს, შავი ნავთობპროდუქტების - მაზუთისა და ნედლი ნავთობის ტერმინალის მოცულობა კი - 77 ათას კუბურ მეტრს. ამ ეტაპზე ყოველწლიურად, დაახლოებით, ორი მილიონი ტონა თეთრი ნავთობის გადამუშავებაა შესაძლებელი. პროექტის მეორე ფაზის მშენებლობის დამთავრების მომენტისათვის, რომელიც, რეკონსტრუქცია-განვითარების დარგში ფოთის ნავსადგურის უფროსის მოადგილის დევი გვალიას ინფორმაციით, მომავალ წელს, ამ დროისთვის დასრულდება, პორტის ხელმძღვანელობა ტერმინალის სიმძლავრის ორჯერ გაზრდას ვარაუდობს. თეთრი ნავთობის პირველი პარტია იტალიასა და ჰოლანდიაში გაიგზავნება. ფოთის პორტში, ძირითადად, აზერბაიჯანული, თურქმენული და ყაზახური ნავთობი შევა.

დღემდე ფოთში ტერმინალის ფუნქციას გემი "ფოთი სტარი" ასრულებდა. ახლა გემების დატვირთვა პირდაპირ საცავიდან მილსადენების მეშვეობით განხორციელდება. ფოთის პორტის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ნავთობპროდუქტების გადამტვირთავ ტერმინალზე, რომელსაც, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიიჩნევენ.

ნავთობის ტერმინალის გარდა, ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ორი ახალი ობიექტი - ფოთის საქალაქო სასამართლო და სპორტული კომპლექსი მოინახულა. პრეზიდენტის ფოთში ვიზიტი სასამართლოს შენობის პრეზენტაციით დაიწყო. ეუთო-ს სტანდარტების შესაბამისი სამსართულიანი შენობა, რომელიც ოთხ მოსამართლეზეა გათვლილი და სამი დარბაზისგან შედგება, 870 ათასი ლარი დაჯდა. **"ფოთი ერთადერთი ქალაქია, სადაც, მსოფლიო ბანკის კრედიტით, სასამართლოსთვის განკუთვნილი შენობა თავიდან აშენდა",** - განაცხადა ფოთის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაურ გურგენიძემ.

რაც შეეხება სპორტულ კომპლექსს, მისი რეკონსტრუქციის ხარჯები მთლიანად ქალაქის მერიამ გაიღო.

პრეზიდენტთან და სახელმწიფო მინისტრთან ერთად, ფოთში ობიექტების საზეიმო გახსნას ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი, ქონების მართვის მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე, თბილისის მერი ვანო ზოდელავა, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე.

# თბილისში გაზის გათიშვა დაიწყო

სოფო კვინტრაძე

"თბილგაზის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მთაწმინდის, ბაგებისა და საბურთალოს რაიონის 25 ათას მომხმარებელს გაზის მიწოდება შეუწყდა დაუდგენელი პირების მიერ ჩამკეტი არმატურის გადაჭრის გამო. როგორც "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა აცხადებს, ჩვეულებრივი მოქალაქე ამას არ გააკეთებდა. თუმცა, ცაავა არც იმას ასახელებს, ვის ინტერესებში შედიოდა ისედაც უაღრესად დაზიანებული ქსელებისთვის მორიგი ზიანის მიყენება. ცაავა იმედოვნებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები დამნაშავის დადგენას შეძლებენ. დღეისათვის გაზი უკვე მიეწოდებათ მთაწმინდისა და ბაგების მოსახლეობას, ხოლო საბურთალოს რაიონი დღის ბოლომდე ჩაირთვება.

მანამდე კი "თბილგაზი" განაგრძობს ქსელების აღდგენით სამუშაოებს. როგორც ვახტანგ ცაავა აცხადებს, ქალაქის მერიამ ბოლო თვეში ასი ათას ლარზე მეტი გამოყო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. თუმცა, ეს თანხაც მიზერულია.

**"თბილისის ცალკეულ უბნებში ისეთი რთული მდგომარეობაა, რომ უფასოდაც რომ გვქონდეს გაზი, მაინც გაგვიჭირდება ამ უბნების სრულყოფილი გაზმომარაგება,"** – განაცხადა ვახტანგ ცაავამ და "განწირული" რაიონების დასახელებისაგან თავი შეიკავა - არ მინდა, ვინმეს წინასწარ გავუხეთქო გულიო.

თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელი რომ ტექნიკურად საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია, ეს მოსახლეობამაც კარგად იცის. "თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის თენგიზ არშილავას თქმით, ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე დიდი პრობლემა მიწისქვეშა მილსადენების კოროზიაა. "თბილგაზი" ამჟამად ახორციელებს მოსკოვის პროსპექტზე კოროზიისაგან დაზიანებული მილების აღდგენას, რათა ისნის რაიონისთვის შეძლონ ზამთარში გაზის მიწოდება. ამჟამად ქალაქში არ ფუნქციონირებს კოროზიისაგან დამცავი ობიექტები – ელექტროდრენაჟები და კათოდური სადგურები. ისინი მთელ მსოფლიოშია მიღებული მიწისქვეშა მილსადენებისა და კავშირგაბმულობის ქსელების კოროზიისაგან დასაცავად. როგორც არშილავა აცხადებს, აღნიშნული დამცავი ობიექტები "თბილგაზმა" რამდენიმე წლის წინ დააკონსერვა ელქტროენერგიის უქონლობის გამო. ასე რომ, თბილისის გაზგამანაწილებელ ქსელებს კოროზიისაგან არაფერი იცავს, "თბილგაზს" კი გამუდმებით უხდება მათი ხელახალი გარემონტება.

## მოკლედ

**თბილისი.** "თბილგაზში" თანამშრომლებს აღარ შეამცირებენ. როგორც "კავკასპრესს" "თბილგაზის" საკადრო საკითხების დირექტორმა ოთარ დობორჯგინიძემ განუცხადა, კადრების რესტრუქტურიზაციის შეჩერება, "იტერა-ჯორჯიის" ერთობლივი საწარმოს პროექტის ჩაშლამ განაპირობა.

"თბილგაზს" კადრები მინიმუმამდე ოქტომბრის მეორე ნახევრამდე უნდა შეემცირებინა. როგორც დობორჯგინიძემ განაცხადა, თბილგაზის თანამშრომლებს ხუთი თვეა, არ მიუღიათ ხელფასი. სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში კი მათთვის ეს დავალიანება და წინასწარ ორი თვის ხელფასი უნდა დაერიგებინათ. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მასა იზრდება. როგორც "კავკასპრესს" საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, 2002 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მიმოქცევაშია 382,1 მილიონი ლარი. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 32,2 მილიონი ლარით გაიზარდა.

ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფულის მასიდან კომერციული ბანკების საცავებში 19,5 მილიონი ლარი იყო. დანარჩენ ნაღდ ფულს, 362,6 მილიონ ლარს, არასაბანკო ეკონომიკური სუბიექტები განკარგავენ.

აგვისტოში არასამთავრობო სექტორზე გაცემული კრედიტები, წინა წლის აგვისტოსთან შედარებით, 12,8 პროცენტით გაიზარდა. ეს მოხდა სესხების უცხოურ ვალუტაში 91,0 მილიონი ლარით ზრდისა და ეროვნულ ვალუტაში 16,4 მილიონი ლარით შემცირების შედეგად. **"კავკას-პრესი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 4 - 10 ოქტომბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6391 | 0.6263 | 0.0051 |
| US$ | 1.5648 | | 0.9799 | 0.0081 |
| €uro | 1.5965 | 1.0205 | | 0.0082 |
| ¥en | 194.28 | 124.17 | 121.69 | |

### 2002 წლის 10 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1097 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3469 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4394 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1550 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3092 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1739 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0680 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4402 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2362 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.9182 ლარი |

# რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გარშემო აჟიოტაჟი არ ცხრება

*ხუთ ოქტომბერს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, შვიდწლიანი შესვენების შემდეგ, ამუშავდა. კომბინატის ამუშავება ცალსახად უკავშირდება იტალიური კომპანიის "არეს იმპორტ-ექსპორტის" სახელს. კომბინატის საზეიმო გახსნაზე მხარეთა შორის სამ დოკუმენტს მოეწერა ხელი. პირველი გახლავთ ქარხნის რეაბილიტაციისა და ფინანსური გაჯანსაღების გეგმა 2003-2017 წლებში; მეორე – მეტალურგიული კომბინატის 108-მილიონიანი კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკი და მესამე – ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა დანართი.*

სოფო კვინტრაძე

## ინვესტორი თუ სამეურნეო პარტნიორი?

როგორც "24 საათთან" საუბარში იტალიური კომპანიის წარმომადგენელი ანჟელა კორნა აცხადებს, ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერით მისი კომპანია რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ინვესტორი და მფლობელი გახდა. **"ჩვენ კომბინატში განვახორციელებთ 130 მილიონი დოლარის ინვესტიციას, გადავიხდით საწარმოს ვალს - 108 მილიონი დოლარის ოდენობით, ანუ, ფაქტობრივად, "არესი" მეტალურგიულ კომბინატს 240 მილიონ დოლარად ყიდულობს,"** – აცხადებს ანჟელა კორნა. მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაციის მოსაზრებები აბსოლუტურად ემთხვევა იტალიელებისას. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანიაც ადასტურებს, რომ "არესი" მეტალურგიული კომბინატში, როგორც ინვესტორი და მომავალი მფლობელი, ისე შემოდის. იტალიელების ასეთ სტატუსს არ ეთანხმებიან ქონების მართვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ქარხანასთან სამეურნეო საფუძველზე პარტნიორობა იტალიელებს ჯერ კიდევ არ აძლევს იმის იურიდიულ უფლებას, რომ საწარმოს მეპატრონედ ჩაითვალოს. თუმცა, ქონების მართვის სამინისტროს მიმდინარე პროცესებში ჩარევის თითქმის არანაირი უფლება არ დაუტოვეს. საქმე ის გახლავთ, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიმართ სასამართლოში აღძრული გაკოტრების საქმე რეაბილიტაციის რეჟიმით შეიცვალა, შესაბამისად, კომბინატის მართვა სასამართლოს ხელში გადავიდა, რომელმაც რეაბილიტაციის მმართველი დანიშნა. გარდა ამისა, კომბინატის მართვაში დიდ როლს თამაშობს ე.წ. კრედიტორთა საბჭო. როგორც ცნობილია, მეტალურგიულ კომბინატს 400-მდე კრედიტორი ჰყავს, ამათგან ექვსი - ყველაზე მსხვილი. არსებობს კულუარული ინფორმაცია, რომ იტალიური კომპანიის შემოსვლა, გარკვეულწილად, კრედიტორთა ლობირებით მოხდა. სამეთვალყურეო საბჭო მსხვილ კრედიტორთა ვინაობას არ ამხელს. თუმცა, ჩვენი წყაროებით ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორი არის თურქული კომპანია "ჩუქუროვა", რომელიც რამდენიმე ხნის წინ თავად ცდილობდა კომბინატში ინვესტორის სახით შემოსვლას.

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ ქონების მართვის სამინისტრო არ იზიარებს პოზიციას მეტალურგიული კომბინატის გაყიდვის თაობაზე. როგორც მინისტრის მოადგილე ზურაბ გარაყანიძე აცხადებს, "არეს ექპორტ-იმპორტი" მეტალურგიული კომბინატის მხოლოდ სამეურნეო პარტნიორია, რომელსაც კომბინატში შემოაქვს თავისი ნედლეული, ამზადებს უნაკერო მილებს და გააქვს გასაყიდად. ასე რომ, ჯერჯერობით, აქტივების გადაცემაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ზურაბ გარაყანიძე არ გამორიცხავს "არესის" შესაძლო ინვესტორობას მომავალში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ამჟამად გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს შეასრულებს. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, ქონების მართვის სამინიტროს იმ ხელშეკრულების გაკონტროლების უფლება მისცენ, რომლის არც ერთ მხარეს თავად არ წარმოადგენს. სამინისტროში მაინც იმედოვნებენ, რომ მომავალი პრივატიზაციის პროცესში ისინი რაიმე ფორმით ჩაერთვებიან.

ზურაბ გარაყანიძე, აგრეთვე, ცალსახად მიუთითებს, რომ იტალიურ ჯგუფს არა აქვს წარმოდგენილი საბანკო გარანტია, რის გარეშეც ეჭვქვეშ დგება ამხელა ინვესტიციების განხორციელების რეალურობა. როგორც გარაყანიძე აცხადებს, "არესს" გაუჭირდება იტალიური ბანკებისგან გარანტიის მოპოვება, რადგან იტალიაში საპროცენტო განაკვეთი" საკმაოდ მაღალია, თუმცა მას შეუძლია, რომელიმე ევროპული პირველი კლასის ბანკის გარანტია წარმოადგინოს.

## "არეს ექსპორტ-იმპორტის" უკან ცნობილი იტალიური კომპანია "ლუკინი" დგას

რამდენიმე თვის წინ, როდესაც საუბარი იყო მეტალურგიული კომბინატით იტალიელების დაინტერესებაზე, ცნობილი იტალიური კომპანია "ლუკინი" სახელდებოდა. არაოფიციალური ინფორმაციით, კომპანია "ლუკინის", რომელიც მეტალურგიულ მრეწველობაში მსოფლიოში მერვე ადგილზე იმყოფება, ბოლო დროს იტალიის ხელისუფლებასთან პრობლემები გაუჩნდა. მთავრობამ "ლუკინის" ქარხნებს მაღალი ეკოლოგიური გადასახადები დაუწესა და ქარხნის გადაიარაღება მოსთხოვა, რაც თავისთავად დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად კომპანიამ თავისი ბიზნესის სხვა ქვეყნებში გადატანა გადაწყვიტა. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ქონების მართვის სამინისტრომ იტალიის საელჩოს მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, იტალიის მთავრობა ჩააყენა საქმის კურსში. ინფორმაციამ, "ლუკინის" იტალიიდან წასვლის თაობაზე, იტალიური პროფკავშირების პროტესტი გამოიწვია, შედეგად "ლუკინის" პრეზიდენტს იტალიის მთავრობამ კატეგორიულად მოსთხოვა, არ დაეტოვებინა იტალიაში არსებული ბიზნესი. ამის შემდეგ რუსთავის მეტალურგიული ქარხნით სხვა იტალიური ბიზნესჯგუფი ინტერესდება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, "არეს ექსპორტ-იმპორტი" სწორედ "ლუკინის" შვილობილი კომპანიაა, თუმცა მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაცია ამის გახმაურებას ერიდება. ასე რომ, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში კვლავ იკვეთება "ლუკინის" ინტერესები, ოღონდ, ამჯერად – არა პირდაპირ. საინტერესოა, აგრეთვე ისიც, რომ "არესი," პარალელურად, ყაზახეთშიც ყიდულობს მეტალურგიულ კომბინატს.

## ვის აწყობს მეტალურგიულ კომბინატში იტალიელების შესვლა?

მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია ქონების მართვის სამინისტროს თურქული კომპანიის "ჩუქუროვას" ლობირებაში ადანაშაულებს. ჟორდანია აცხადებს, რომ სამინისტრომ, თავის დროზე, "ლუკინის" წინააღმდეგ სწორედ ამიტომ გაილაშქრა. ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ზურაბ გარაყანიძე კი აცხადებს, რომ თურქული კომპანია დამატებით საგადასახადო შეღავათებს ითხოვდა და ამდენად, ქართული მხარისათვის მიუღებელი იყო. გარაყანიძის ინფორმაციით, იტალიელები ამგვარ შეღავათებს არ ითხოვენ. სამაგიეროდ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ თავის გამოსვლებში უკვე რამდენჯერმე ახსენა "არესისთვის" გარკვეული საგადასახადო შეღავათების მინიჭების აუცილებლობა. ასე რომ, თავის მხრივ, ლობისტები არც იტალიურ კომპანიას აკლია.

და ბოლოს, ერთი საინტერესო დეტალი: როგორც მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაცია აცხადებს, "არესმა" ორი მილიონი დოლარი ხელშეკრულებების გაფორმებამდე ჩადო საწარმოში.

# თბილისი აღარ ჩაბნელდება

პირველი გვერდიდან

საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი კვლავ შეუვალი იყო. დღის ოთხი საათისთვის მან თბილისის რამდენიმე ქვესადგურის გამორთვის ბრძანებაც კი გასცა. თუმცა, იქვე მოიწვია პრესკონფერენცია და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს იგნასიო ირიბარენს ესაუბრა და მოლაპარაკების გაგრძელების თაობაზე შეუთანხმდა. **"იმის გამო, რომ ირიბარენს მოლაპარაკებების განახლებას დავპირდი, გამორთული ქვესადგურები ისევ ჩაირთვება",** - განაცხადა მან.

"ეი-ი-ესი"-ს ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა კი მოლაპარაკებები ჩაშლილად მიიჩნია და ამაში საბითუმო ბაზარი დაადანაშაულა: **"ბაზარმა დაარღვია პარტნიორული შეთანხმება "ეი-ი-ესთან", რომლის თანახმადაც მოლაპარაკებების პროცესში დენი არ უნდა გათიშულიყო. თუ ბაზარმა არ გადაუხადა "ეი-ი-ეს მტკვარს" ფული, ის "თბილსრესის" ენერგობლოკს ვერ ამუშავებს და თბილისს ზამთარში დენი არ ექნება. ამიტომ ვთავაზობდით სხვადასხვა ვარიანტებს. მათ არც ფულის გადახდა სურთ, არც ის, რომ თავად შეისყიდონ და შემოიტანონ ბუნებრივი აირი "ეი-ი-ეს მტკვრისთვის"; ბლოკის ასამუშავებლად აუცილებელი თანხის ერთი მესამედის გადახდაც არ უნდათ, თავს ზევით კი ძალა არ არის".**

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვეული ნეიტრალიტეტი დაარღვია და "ეი-ი-ეს თელასისთვის" ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას წერილობით დაუჭირა მხარი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. როგორც კულუარებში საუბრობდნენ, მან საბითუმო ბაზარს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ, ვინაიდან საბითუმო ბაზარს უცხოელი კონსულტანტებიც ურჩევენ ურჩ გადამხდელთა მიმართ რეპრესიების გატარებას, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო მხარს დაუჭერს საბითუმო ბაზრის დირექტორატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს ინფორმაცია ნაწილობრივ უარყო ალბერტო სოლისმა: **"მართალია, მირცხულავასგან წერილობითი მხარდაჭერა არ მიმიღია, მაგრამ მაქვს მისი ზეპირი მხარდაჭერა".**

მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. უკომპრომისო განცხადებების ფონზე, თბილისის წინაშე მწვავედ დადგა ჩაბნელების საშიშროება.

თუმცა, ყველაფერი მოლაპარაკებათა მეორე რაუნდზე, სასტუმრო "მარიოტში" გადაწყდა. ალბერტო სოლისმა და იგნასიო ირიბარენმა ხუთსაათნახევრიანი მოლაპარაკებები პირისპირ აწარმოეს და თარჯიმანს მხოლოდ მაშინ უხმეს, როცა მიღწეული შეთანხმების ტექსტის ინგლისურად თარგმნა დასჭირდათ. როგორც ჩანს, მშობლიურ ენაზე წარმოებულმა საუბარმა შედეგი გამოიღო და თბილისი ამჯერადაც გადაურჩა ჩაბნელების საშიშროებას.

შედეგად, "მარიოტიდან" შუაღამისას გამოსულმა სოლისმა განაცხადა: **"ჩვენ მივაღწიეთ დადებით, ორივე მხარისთვის მისაღებ შეთანხმებას. საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ეს თელასის" სურვილია, თბილისს ელექტროენერგია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიაწოდოს. ქალაქს დენი აღარ გაეთიშება."**

მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილი იყო იგნასიო ირიბარენიც. **"ეი-ი-ეს მტკვარი" ამუშავდება. შედარების აქტებზე აღარ ვისაუბრებთ. ბაზარი და ჩვენ გავიყოფთ მე-9 ბლოკისთვის საჭირო თანხას და "ეი-ი-ეს მტკვარი" ამ ზამთარს იმუშავებს. ჩვენ მივყვებით ხელშეკრულებას, რომელსაც თავიდანვე მოეწერა ხელი "ეი-ი-ეს თელასს", "ეი-ი-ეს მტკვარსა" და საბითუმო ბაზარს შორის,"** – განაცხადა მან.

და მაინც, საინტერესოა, რა იდგა მთელი ამ ეპოპეის მიღმა.

ვინაიდან არც ერთი მხარე გახსნილად არ საუბრობს დავის მთავარ მიზეზებზე, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ფაქტების ლოგიკის საფუძველზე თუ შეიძლება ვარაუდების გამოთქმა. ეი-ი-ეს-ს უნდა მეცხრე ბლოკის ამუშავება, რათა თბილისისთვის მიიღოს ელექტროენერგიის გარანტირებული რაოდენობა; ამასთან, რაც მეტ ენერგიას გაყიდის, მით მეტი მოგება დარჩება; საბითუმო ბაზარი ელექტროენერგიის იმპორტზეა ორიენტირებული. გამოცდილება კი აჩვენებს, რომ იმპორტირებული ელექტროენერგია კონტროლს ზოგჯერ არ ექვემდებარება. ეი-ი-ეს-ისთვის კი უფრო იოლი იქნება ეი-ი-ეს-მტკვრის მიერ გამომუშავებული კონტროლირებადი ენერგიის გაყიდვა. ამიტომ საფიქრებელია, რომ სწორედ იმპორტის გაზრდის მიზნით უშლიდნენ ხელს საბითუმო ბაზარი და ენერგერგეტიკის სამინისტრო მეცხრე ბლოკის ამუშავებას. ეი-ი-ესი გაჯიუტდა და ბოლოს დაუთმეს. რატომ? იმიტომ, რომ თბილისის ჩაბნელება ხალხის ქუჩაში გამოსვლის საფრთხეს შეიცავს. ამას კი ხავსჩაჭიდებული ხელისუფლება ვერ დაუშვებს.

# ახალი წესრიგი ჩეჩნეთში: სამოქალაქოები სამხედროებს ველარ აკონტროლებენ

*"სამხედრო კომენდანტები იქნებიან როგორც რაიკომის მდივნები, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები – როგორც აღმასკომის თავმჯდომარეები," – ასე განუმარტა ჩეჩნებს ახალი წესრიგის არსი რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა.*

შოთა უტიაშვილი

გახსოვთ, რას ამბობდა პუტინი ჩეჩნეთში ომის დასრულებაზე, მმართველობის თავდაცვის სამინისტროდან უშიშროების სამინისტროსათვის გადაცემასა და სამოქალაქო ხელისუფლების განმტკიცებაზე? დაივიწყეთ.

ორი დღის წინ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანების თანახმად, ჩეჩნეთში აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი მთლიანად სამხედრო კომენდანტურებს გადაეცათ. მათ ექვემდებარება მთელი სამოქალაქო ადმინისტრაცია და, აგრეთვე, შესაბამის რაიონებში განლაგებული შეიარაღებული ძალები. კომენდანტურები, თავის მხრივ, ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებას დაექვემდებარებიან. როგორც დაჯგუფების წარმომადგენელმა "ნეზავისიმაია გაზეტას" განუცხადა, პრეზიდენტის განკარგულება წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან, სამხედროების მეშვეობით, შესაძლებელი გახდება იმ საფინანსო ნაკადების გაკონტროლება, რომელიც ცენტრიდან ჩეჩნეთის სოციალურ-ეკონომიკური აღდგენისათვის მიემართება.

საქმე მარტო ფინანსური ნაკადები არ გახლავთ - ცხადია, რომ ამ ნაბიჯით სამხედროებმა ყველას დაუმტკიცეს, ვინ არის ჩეჩნეთში მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი.

არადა, რუსეთში ყველა მეტ-ნაკლებად პროგრესული ძალა, დიდი ხანია, ჩეჩნეთში სამხედროების გავლენის შემცირებას მოითხოვს. მემარჯვენეებსა და ლიბერალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სექტემბერში გამოქვეყნებულ თავის წერილში ევგენი პრიმაკოვმაც კი მოითხოვა ჩეჩნეთში მოლაპარაკებების დაწყება და ხელისუფლების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლისათვის გადაცემა.

"სამხედროები მშვიდობიან ჩეჩნებს რომ არ ხოცავდნენ, ომი დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა," - ამბობს ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კადიროვი.

საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას არ გამორიცხავს მასხადოვის ბანაკიც. ამას წინათ, ლიხტენშტეინში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის დუმის ყოფილმა სპიკერმა ივან რიბკინმა და იჩქერიის ვიცე-პრემიერმა აჰმად ზაკაევმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

თავად პუტინსაც, როგორც ჩანს, თავიდან სამხედროების მოთოკვის სურვილი ჰქონდა. ჩეჩნეთში შვეულმფრენის ჩამოგდებისა და 119 კაცის დაღუპვის შემდეგ, მან სცადა, მაღალი რანგის რამდენიმე სამხედროზე დისციპლინარული სასჯელის დადებით, არმიაზე თავისი გავლენა დაემტკიცებინა. თუმცა, ამ გავლენის არსებობაში ეჭვი ბევრს ეპარება. "სამხედროები არ უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს საომარი მოქმედებების მასშტაბებისა და მათი დასრულების ვადის შესახებ," - წერს პრიმაკოვი, – "ის ელემენტები, რომლებიც არ ემორჩილებიან წესებს და საკუთარ თამაშს თამაშობენ, უნდა წავიდნენ".

ამ საკითხზე გენერალიტეტი სულ სხვა აზრისაა. აღნიშნულ ბრძანებასთან ერთად, რომელსაც, სამხედროების სახელით, კვაშნინი ლობირებდა, ამას მოწმობს თავდაცვის მინისტრის ივანოვის ამასწინანდელი განცხადებაც, რომ უახლოეს ორ წელიწადში ჩეჩნეთში მყოფი შეიარაღებული ძალების (დაახლოებით, 80 ათასი კაცი) შემცირება დაგეგმილი არ არის. არადა, რამდენიმე თვის წინ, პუტინი აცხადებდა, რომ შესაძლებელი იყო მათი განახევრება. აქ იმის გახსენებაც ღირს, რომ სერგეი ივანოვი, სანამ სამხედროების რუპორად იქცეოდა, პრეზიდენტთან ერთ-ერთ ყველაზე დაახლოებულ პირად ითვლებოდა.

გავრცელებული აზრით, ჩეჩნეთის ომი პირდაპირ კავშირშია სამხედრო რეფორმის გატარებასთან, რაც უფრო მცირე, პროფესიულ არმიაზე გადასვლას გულისხმობს. ანალიტიკოსების აზრით, ამ რეფორმის მთავარი მოწინააღმდეგე თავად გენერალური შტაბია. "მემარჯვენე ძალთა კავშირის" წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ გენშტაბი რეფორმის ღირებულებას მისი გადადების მიზნით ხელოვნურად "ბერავს." მემარჯვენეები რეფორმების კურატორის პოსტიდან კვაშნინის გადაყენებას ითხოვენ. აშკარაა, რომ, სანამ ჩეჩნეთში ომი მიმდინარეობს, არმია ხელშეუხებელია. მის კრიტიკას ხელისუფლება ვერ ბედავს. საზოგადოებრივი აზრიც უარყოფითად იღებს "ტერორისტებთან და კაციჭამიებთან მებრძოლი ბიჭების" კრიტიკას.

გარდა რეფორმის გადადებისა, რუს სამხედროებს "ცხოვრებისეული" მიზეზებითაც არ სურთ ომის დასრულება.

ოფიცრებისათვის ომი კარიერის გაკეთების საუკეთესო საშუალებაა. ჩეჩნეთში ფულიც კარგად იშოვება, ძირითადად, იარაღით ვაჭრობისა და ნავთობის უკანონოდ გაყიდვის გზით. ახლა ამ "ოქროს საბადოს" რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი ტრანსფერების კონტროლიც დაემატა. ესე იგი, სამხედროებს კიდევ უფრო ნაკლები მიზეზი აქვთ, ჩეჩნეთიდან გამოსვლა უნდოდეთ.



პუტინი სამხედროთა გარემოცვაში

ქვეყნის შიგნით რომ სამხედროებსა და სამოქალაქოებს შორის სერიოზული უთანხმოება არსებობს, აშკარაა. ასევე აშკარაა ის, რომ, ჯერჯერობით, სამხედროები დიდ უპირატესობას ფლობენ. გავიხსენოთ, წყალქვეშა ნავის "კურსკის" კატასტროფა და "მი-26"-ის ჩამოვარდნა. მაშინ ერთიორმა პოლიტიკოსმა და ჟურნალისტმა თუ გაბედა სამხედროების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და სერიოზული ცვლილებების მოთხოვნა, მაგრამ უშედეგოდ.

საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ პუტინმა, რომელიც ხელისუფლებაში სერიოზული დასაყრდენისა და საკუთარი გუნდის გარეშე მოვიდა, ვერ მოახერხა, სამხედროები რაიმე გავლენიანი ჯგუფით გაეწონასწორებინა. ვერც "ეფესბეშნიკები" და ვერც ძველი თანამებრძოლები "ლენინგრადის გუნდიდან" ამ როლს ვერ ასრულებენ. ოლიგარქები კი მოდაში აღარ არიან.

ჩეჩნეთში პუტინს, რეალურად, ორი არჩევანი ჰქონდა: ან პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა, ან სამხედროების კონტროლი. იგი იძულებული გახდა, მეორე "აერჩია".

მიმომხილველთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პუტინი, რომლის მიერ განახლებულმა დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკამ სამხედროების გაღიზიანება გამოიწვია, იძულებული გახდა, მათთვის ჩრდილოეთ კავკასია (მათ შორის - საქართველოც) "მიეგდო". სამხედროებმა კი ყველაფერი ჩააფლავეს, მაგრამ პროპაგანდისტული მანქანა მათ მოსახლეობის საპირისპიროში დარწმუნების საშუალებას აძლევს (თუმცა, ჩეჩნეთის ომის პოპულარობის რეიტინგი მაინც ეცემა. ბოლო გამოკითხვებით, მას მოსახლეობის მხოლოდ მესამედი უჭერს მხარს, მაშინ როდესაც 2 წლის წინ ეს მაჩვენებელი 80 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა).

გარდა ამისა, ჩეჩნეთის კამპანია პრობლემებს უქმნის რუსეთს დასავლეთთან ურთიერთობებშიც (როცა ამ უკანასკნელს ჩეჩნეთის ომის არსებობა ახსენდება).

23 აგვისტოს, საქართველოს დაბომბვისა და უდანაშაულო ადამიანის მკვლელობის შემდეგ, დასავლეთმა ძალიან მკაფიო სიგნალი გაუგზავნა მოსკოვს, რომ იგი არ შეურიგდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვას. ამის მიუხედავად, 11 სექტემბერს პუტინი უიმედო ავანტიურაზე წავიდა, როდესაც მსოფლიოს "საქართველოს ხელისუფლების ტერორისტებთან კავშირის შესახებ" აუწყა. ეჭვი, რომ ეს სამხედროების ზეწოლით ხდებოდა, მაშინვე გამოითქვა (საერთოდაც, აქ რაღაც რიგზე ვერ არის. წესითა და კანონით, ჯერ ულტიმატუმებს აყენებენ და მერე ბომბავენ და არა პირიქით).

რუსეთის პრეზიდენტი, როგორც ჩანს, ხელფეხშეკრულია. იგი თავის გენერალიტეტს ვერ აკონტროლებს. გენერალიტეტს კი ძალიან სურს საქართველოს ომში ჩათრევა.

ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს ის ფაქტი, რომ ვაშინგტონს არაფერში სჭირდება რუსი გენერლებისთვის კოჭის გორება. რუსეთისათვის საქართველოში "მწვანე შუქის" ანთება კი გენერლებს უფრო გააძლიერებს და პუტინს შეასუსტებს, რაც დასავლეთს ხელს არ აძლევს.

მაგრამ, თავის მხრივ, არც რუს გენერლებს აინტერესებთ მაინცდამაინც, როგორ შეხვდება დასავლეთი საქართველოს მორიგ დაბომბვას.

შევარდნაძე ცდილობს, მდგომარეობიდან დასავლეთთან უფრო მჭიდროდ დაახლოებით გამოვიდეს და თანაც სიმბოლურ დათმობებზე პუტინთანაც წავიდეს. ამ პოზიციას მარტივი ახსნა მოეძებნება – რუს გენერლებთან მოლაპარაკება შეუძლებელია.

მაგრამ რა მოხდება, თუ რუსი სამხედროები შეძლებენ კრემლის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას? განმეორდება 1921 წელი?

# დიპლომატიური სკანდალი ამერიკა-რუსეთს შორის

7 ოქტობრის ჟურნალ "ტაიმში" მოყვანილმა კონდოლიზა რაისის გამონათქვამმა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში აღშფოთება გამოიწვია და საგარეო საქმეთა სამინისტრო აიძულა, სახელმწიფო დეპარტამენტისათვის ახსნა-განმარტება მოეთხოვა.

დახურულ კარს მიღმა მიმდინარე დებატებში, რომელიც ერაყის წინააღმდეგ დასწრებაზე ომის (ომი, როდესაც ერთი ქვეყანა პირველი ესხმის თავს მეორეს, იმ მიზნით, რომ მისგან მომავალში მოსალოდნელი თავდასხმა აირიდოს) მორალურ გამართლებას შეეხებოდა, "ტაიმის" კორესპონდენტის მტკიცებით, რაისმა განაცხადა, რომ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ალბათ, გამართლებული იქნებოდა, 1948 წელს, საბჭოთა კავშირის მიერ ატომური ბომბის შექმნამდე, ამერიკას რუსეთის წინააღმდეგ "დასწრებაზე ომი" განეხორციელებინა. მაშინ, რუსეთმა, რომელსაც დასცალდა "აბსოლუტური იარაღის" შექმნა, 50 წლით დაიმონა მთელი აღმოსავლეთ ევროპა.

რაისის ამ განცხადებას, რომელიც ისედაც ცნობილია თავისი ანტირუსული გამონათქვამებით, რუსეთში პროტესტის ტალღა მოჰყვა. საპასუხო წერილში სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებული იყო, განეცხადებინა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს მსგავსი არაფერი უთქვამს.

## მოკლედ

**ინგუშეთი.** ინგუშეთის პრეზიდენტმა მურატ ზიაზიკოვმა მოსკოვში პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მზადაა, შუამავლის როლი შეასრულოს ასლან მასხადოვთან მოლაპარაკებებზე. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებები აუცილებლად ფედერალური ხელისუფლების ეგიდით უნდა გაიმართოს.

■ ■ ■

**აშშ.** საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია "სანშაინ პროექტის" მეთაური იან ვან აკენი შეერთებულ შტატებს ერაყის წინააღმდეგ ქიმიური ომის მომზადებაში ადანაშაულებს. მისი ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი ამერიკელებმა ბაღდადში გამოიყენონ. ახალი ქიმიური იარაღის დასამუშავებლად საიდუმლო ლაბორატორიული კვლევები მიმდინარეობს. იგი არ კლავს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, უბრალოდ, ძილს ჰგვრის ჯარისკაცებს და ისინი მწყობრიდან გამოჰყავს. თუმცა, ვან აკენის მტკიცებით, არსებობს 1,5 პროცენტი ალბათობა იმისა, რომ ამ ქიმიურმა ნივთიერებამ, რომელიც ნარკოტიკების ბაზაზე მზადდება, სიკვდილი ან ინვალიდობა გამოიწვიოს. ახალ იარაღს პენტაგონის სპეცგანყოფილება ამზადებს.

■ ■ ■

**ერაყი.** შეერთებული შტატების საერთაშორისო სტრატეგიული გამოკვლევების ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, სადამ ჰუსეინის დამარცხების შემდეგ, ვაშინგტონი ერაყის სამ სახელმწიფოდ გაყოფას გეგმავს. დიკ ჩეინისა და პოლ ვოლფოვიცის ინიციატივით შემუშავებული გეგმით, ერაყის ცენტრალური ნაწილი იორდანიას შეუერთდება; ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილები, სადაც ქურთული მოსახლეობა სჭარბობს, დამოუკიდებლობას მიიღებს; ქვეყნის სამხრეთი რაიონები კი კუვეიტს გადაეცემა.

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყის ვიცე-პრემიერმა ტარიკ აზიზმა არაბული ქვეყნები გააფრთხილა, რომ ბაღდადზე შეერთებული შტატების თავდასხმა ყველა არაბული ერის წინააღმდეგ შეტევის ტოლფასი იქნება. აზიზის თქმით, ამერიკული საფრთხისაგან არც ერთი არაბული სახელმწიფო არ არის დაზღვეული. ერაყი ცდილობს, ზოგიერთ არაბულ ქვეყანას ამერიკელებისთვის სამხედრო ბაზების დათმობა გადააფიქრებინოს. აზიზმა რამდენიმე დღის წინ ასევე გააფრთხილა თურქეთი, არ დაეჭირა მხარი ამერიკელების სამხედრო აქციისათვის. აზიზის ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ ერაყ-ამერიკის ომი მთელ ახლო აღმოსავლეთში დესტაბილიზაციას გამოიწვევს.




# სერგეი იასტრჟემბსკი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გარდატეხა არ მომხდარა

პირველი გვერდიდან

სიტყვას ნამდვილად შეასრულებს. ველოდებით, როდის მოხდება ექსტრადიცია – არანაირ გადავადებასა და ახსნა-განმარტებას არ მივიღებთ.

**- მიიჩნევთ თუ არა შევარდნაძეს დაბრკოლებად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების გზაზე? ხომ არ არის საქართველოსთან ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდისტული პრობლემა? როგორც ამერიკელებმა ერაყში, ჩვენც უნდა ცხადვყოთ, რომ ჩვენი მტერია არა ქართველი ხალხი, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, არამედ შევარდნაძის რეჟიმი. რატომ არ არსებობს ამგვარი მიდგომა?**

- საჭიროა პრობლემის საფუძველში გავერკვეთ – რუსეთი, როგორც სახელმწიფო, პრობლემების გადაწყვეტისას, მზადაა, საქმე დაიჭიროს იმ ხელმძღვანელობასთან, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს. ეს ხელმძღვანელობა ქართველმა ხალხმა აირჩია და ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, ანგარიში არ გავუწიოთ ქართველი ხალხის არჩევანს. მიგვაჩნია, რომ, საქართველოს ახლანდელ ხელმძღვანელობასთან ერთად, თბილისის მხრიდან კეთილი პოლიტიკური ნების გამოვლენის შემთხვევაში, შეგვიძლია, ერთობლივად გადავჭრათ რუსეთისა და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემები პანკისის ხეობის კონტექსტში.

**- გაქვთ თუ არა ბოლო მონაცემები გელაევის ბედის თაობაზე? იგი საქართველოშია თუ ჩეჩნეთში? დაჭრილია თუ არა?**

- გელაევის ადგილსამყოფელის თაობაზე ზუსტი ცნობები არ გამაჩნია. უცნაური იქნებოდა, მე რომ ისინი ხელთ მქონდეს. მათ სპეცსამსახურების წარმომადგენლები უნდა ფლობდნენ. მაგრამ იმ ინფორმაციით, რომელიც მე მაქვს, გელაევი ჩეჩნეთში არ იმყოფება. ამის მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- გაქვთ თუ არა ბოლო მონაცემები ჩეჩნეთში დარჩენილი ბოევიკების რაოდენობის თაობაზე? ბოლო წლებში მათი რიცხვი 2 ათასი იყო, ჩვენი მესაზღვრეები კიდევ 1,5 ათასს საქართველოს მხარეს ითვლიდნენ. როგორია დღევანდელი ვითარება? და გაქვთ თუ არა ინფორმაცია ბასაევის შესახებ?**

- ბასაევის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია – გარდა იმისა, რომ იგი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იმყოფება. რაც შეეხება ბოევიკების რაოდენობას, შეუძლებელია, ეს კითხვა არ დაისვას, მაგრამ მასზე პასუხის გამცემები რთულ ვითარებაში ექცევიან. შეუძლებელია ბოევიკების აღწერის ჩატარება, რომლებიც მთებში და დასახლებულ პუნქტებში იმყოფებიან. ამიტომაც ყველა ციფრი, რომელიც ბოლო წლებში სახელდებოდა, შეფასებითი ხასიათისა იყო. ამ მონაცემებს მოიპოვებენ სადაზვერვო ოპერაციებით, აგებენ ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ტყვედ ჩავარდნილ ბოევიკებს ართმევენ. მაგრამ ეს ციფრები აბსოლუტურად ზუსტი ვერ იქნება. ბოლო ხანს საუბარია ათას-ათას ხუთასამდე კაცზე. გვკიცხავენ იმის გამოც, რომ ეს ციფრი მუდმივია და არ მცირდება. ვფიქრობ, ახსნა მარტივია – არსებობს ბოევიკების შევსების არხები. ბოევიკების აქტივობის ცენტრმა ბოლო ხანს საქართველოში გადაინაცვლა. "წინააღმდეგობის არმია" პანკისიდან მუდმივად ივსებოდა ახალი ხალხით, დაქირავებულებით. განადგურებულების ადგილს ახლები იკავებდნენ. სწორედ ასევე ხდება შევსება ადგილობრივი მოსახლეობიდანაც.



სერგეი იასტრჟემბსკი

**- თქვენ ბევრს მუშაობდით ჩეჩნეთის პრობლემებზე. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ამ პრობლემის გადაწყვეტა უახლოეს ხანში, თუნდაც, ერთ წელიწადში? შეხედეთ, სამმა წელმა განვლო, ჩვენ გვეუბნებიან – ომი დასრულდა, მაგრამ არაფერი იცვლება, დაპირებები კი გრძელდება. როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფო პირი, პრობლემის ეფექტური მოგვარების რა გზას შემოგვთავაზებდით? ბლიცკრიგი არ გამოვიდა, პროპაგანდამ არ გვიშველა, გვითხარით, როდის დასრულდება ომი?**

- ანტიტერორისტული ოპერაციის აქტიური ფაზა 2000 წლის მარტისათვის დასრულდა – სოფელ კომსომოლსკოეში გელაევის ბანდის განადგურებით. ეს ფაზა წელიწადზე ნაკლებს გაგრძელდა. განადგურდა ბანდფორმირებების ზურგის მომარაგება, მოისპო ძირითადი ბანდიტური ჯგუფები, განსაკუთრებით, გროზნოდან გამოსვლისას. უკანასკნელ ფაზას ომს ველარ დავარქმევთ, ეს მართლაც სპეცოპერაციაა დაქირავებულების, სეპარატისტებისა და ბანდიტების გამოვლენისა და განადგურების მიზნით. ეს ფაზა, სეზონის მიხედვით, ხანდახან მწვავდება და დღემდე გრძელდება. მაგრამ საბრძოლო შეტაკებების ინტენსივობა არსებითად შემცირდა 2000 წლის შემდეგ. ჩვენ ვიმკით რუსეთის სახელმწიფოს ათწლიანი სისუსტის შედეგებს და ახლა ვწყვეტთ ყველა პრობლემას. მაგრამ ერთ წელიწადში მათი გადაწყვეტა არ შეიძლება.

**- როგორ ფიქრობთ, მოგებულია თუ არა მეორე ჩეჩნური ომი ინფორმაციული თვალსაზრისით? პირველი ხომ, ექსპერტებისა და ანალიტიკოსების საერთო აზრით, წავაგეთ.**

- საერთაშორისო პრესის აზრით, რომელიც ზოგადად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს ჩეჩნეთის კამპანიის მიმართ, პირველისაგან განსხვავებით, მეორე ჩეჩნური კამპანია, საინფორმაციო თვალსაზრისით, რუსეთმა მოიგო.

# უთანხმოება რუსეთისა და უკრაინის ეკლესიებს შორის გამწვავდა

"თქვენი მწყემსმთავრობის პერიოდში ნათლად და ცალსახად აჩვენეთ, რომ უკრაინისა და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგრესიულად ბრძანდებით განწყობილი," – ნათქვამია უკრაინის რადის დეპუტატთა ჯგუფის მიერ რუსეთის პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილში.

"ისე ხომ ძალიან წყნარი ვითარებაა უკრაინაში, – განაცხადა კიევის სასულიერო აკადემიის რექტორმა, რომელიც უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით გამოდიოდა, - ახლა ისღა დაგვრჩენია, რუსეთის პატრიარქი მოვიწვიოთ, რათა მან ახალი განხეთქილება დათესოს მართლმადიდებლებს შორის".

რექტორის განცხადებით, პატრიარქი სასტიკი წინააღმდეგია უკრაინის ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა, იმ მოტივით, რომ იგი ჯერ ამისათვის მომწიფებული არ არის. "მისი ამგვარი მტრული პოზიცია იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენც მტრულად შევხვდებით," – უთხრა მან ჟურნალისტებს.

გარდა ამისა, დეპუტატებმა წერილი გაუგზავნეს თავიანთი რადის სპიკერს - ვლადიმირ ლიტვინს, რომელშიც ნათქვამია, რომ "მილიონობით უკრაინელის თვალში რუსეთის პატრიარქი პერსონა ნონ გრატაა" და სთხოვეს მას, უკან გამოიწვიოს ალექსი მეორისათვის გაგზავნილი მოწვევა. ეს მოწვევა ჯერ კიდევ 1999 წელს გაიგზავნა, მაგრამ პატრიარქმა მხოლოდ ახლა გამოთქვა სურვილი, კიევს სწვეოდა, რამაც ადგილობრივ მართლმადიდებელთა პროტესტი გამოიწვია.



რუსეთის პატრიარქი ალექსი II

## მკითხველის ზარი

# „რა ვიღონო, აღარ ვიცი!"

გუშინ საღამოს რედაქციაში მიხა არაბულმა დარეკა და დახმარება ითხოვა. მიხა არაბული ცნობილი ლიტერატორია, რომელიც მართლა მუხთალმა წუთისოფელმა 12 წელია ლოგინს მიაჯაჭვა და ესეც არ აკმარა, მეზობელთან მრავალწლიანი დავა გაუჩინა. დავა ეზოს გამო მიმდინარეობს. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილება კი ისეთია, რომ მისი აღსრულების შემთხვევაში მიხა არაბულის ოჯახის წევრებმა სახლში ფანჯრიდან უნდა იარონ. ცხადია, ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და არაბულების ოჯახმა ახალ სასამართლო პროცესს დაუწყო ლოდინი.

სასამართლო დღეს 11 საათისათვის დაუნიშნავთ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მოსარჩელესთან შეტყობინება ძალიან გვიან მიუტანიათ. სწორედ ეს შემოგვჩივლა ბატონმა მიხამ: **"სასამართლო დილის 11 საათზე დაუნიშნავთ, შეტყობინება კი წინა საღამოს შვიდ საათზე მომიტანეს. მაშინვე დავუკავშირდი ადვოკატს, მაგრამ იგი მძიმედ ავადაა და პროცესზე მისვლა არ შეუძლია. ახალი ადვოკატის მოსაძებნად კი დრო არა მაქვს. ადრეც ასე გამიკეთეს და დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჩემი მოწინააღმდეგე დააკმაყოფილეს. რა ვიღონო, აღარ ვიცი."**

ჩვენ დავრეკეთ სასამართლოში და მოსამართლესთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ ისე გვიანი იყო იქ აღარავინ დაგვხვდა.

# „გვეყო 80-წლიანი ლოდინი უკეთესი მთავრობის მოლოდინში"

ლელა მარგიანი

*გუშინ პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში პარლამენტარმა გურამ შარაძემ გამართა პრესკონფერენცია სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მისი აზრით, საქართველოში მართლმადიდებლობა კი არ უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო რელიგიად, არამედ უნდა აღდგეს, როგორც სახელმწიფო რელიგია.*

გურამ შარაძემ აღნიშნა, რომ 23 სექტემბერს ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია ტრადიციული ისტორიული რელიგიების შესახებ. ეს რეზოლუცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაიცვან ტრადიციული რელიგიები. ამ რელიგიებს შორისაა მართლმადიდებლობა. ევროსაბჭოს რეზოლუციის ეს მოთხოვნა აისახა კონსტიტუციურ შეთანხმებაში - საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ამ შეთანხმებას ხელი მოეწერება ა.წ. 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობაზე, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შორის.

შარაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ, გავრცელებული ხმა, თითქოს იგი ამ შეთანხმების წინააღმდეგია, არასწორია – იგი ხელს აწერს შეთანხმებას, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება. შარაძე ეწინააღმდეგება ჯონი ხეცურიანს, რომელიც "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება არის უკანასკნელი კონსტიტუციური ფორმა და საკითხი ამით გადაწყდება.

გურამ შარაძეს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული კონსტიტუციური შეთანხმება არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. მისი აზრით, საქართველოში მართლმადიდებლობა კი არ უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო რელიგიად, არამედ უნდა აღდგეს, როგორც სახელმწიფო რელიგია, რამეთუ „ქართველები ვიყავით მეორე ერი ბერძნების შემდეგ, ვინც ქრისტიანობა აღიარა სახელმწიფო რელიგიად". სწორედ ამიტომ იგი ერთი პირობით აწერს ხელს ამ ხელშეკრულებას, რომ დაიწყოს რელიგიისა და სახელმწიფოს დაახლოების ახალი ეტაპი.

შარაძემ ყურადღება გაამახვილა შეთანხმების მე-12 მუხლზე, რომელშიც წერია, რომ „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვის ქვეშ (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ მთელს საგანძურს (პირად საკუთრებაში ადრე არსებული ნაწილის გარდა)".

შარაძის ინფორმაციით, ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ნოდარ ლომოური წინააღმდეგია ამ მუხლისა და პრეზიდენტთანაც კი აპირებს წერილის გაგზავნას. შარაძე ურჩევს ლომოურს, თავი შეიკავოს მსგავსი ქმედებებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში გურამ შარაძე საჩივარს შეიტანს სასამართლოში ნოდარ ლომოურის წინააღმდეგ.

შარაძე შეწუხებულია იმითაც, რომ საქართველოს ეკლესიას გამოუჩნდა ახალი „პატრონი" - ირაკლი წერეთელი, „ეროვნული მოძრაობიდან ერთადერთი გადარჩენილი პოლიტიკოსი", როგორც თავად უწოდებს თავის თავს. ირაკლი წერეთელი, თავისი ბოსტონელი მოძღვრის ხელმძღვანელობით, ცდილობს, ქართველი ერი მოწყვიტოს ჭეშმარიტ მართლმადიდებელ რელიგიას. ამის დადასტურებაა ახლახან გურიაში მომხდარი ცნობილი მოვლენები.

საპატრიარქოს წარმომადგენლის, მამა ზენონის განცხადებას, რომ მას არ მიაჩნია ჩვენი საზოგადოება მზად ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობისთვის, გურამ შარაძე პასუხობს: გვეყო 80-წლიანი ლოდინი უკეთესი მთავრობის ლოდინში, სწორედაც უნდა დაიდოს შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

ბოლოს გურამ შარაძემ ხაზგასმით აღნიშნა - კანონში ეწერება, რომ საქართველოს სახელმწიფო ყველანაირად ხელს უწყობს და იცავს საქართველოში ოთხ ისტორიულ ტრადიციულ რელიგიას – კათოლიკობას, იუდეველობას, მუსულმანობასა და გრიგორიანობას.

## მოკლედ

**ახალქალაქი.** 2003 წლის დასაწყისში ქალაქ ახალქალაქში მძლავრი ტელერადიო ანძა ამოქმედდება, რომლის საშუალებითაც ჯავახეთის მაღალმთიანი ქართული სოფლების — ჩუნჩხას, ტენას, გოგაშენის, აფნიას, კოთელიას, სპასოვკისა და სამების მოსახლეობა საქართველოს ტელე-რადიო გადაცემების მიღებას შეძლებს.

როგორც საქართველოს რეგიონული განვითარების ასოციაციის ჯავახეთის საკითხების კურატორმა მაია სტეფნაძემ განაცხადა, რეგიონში ქართული მოსახლეობა ვერ ღებულობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ვერ იღებს ქართულ ტელერადიოგადაცემებს. აქამდე ჯავახეთის მაღალმთიანი სოფლების ქართული ოჯახები მხოლოდ თურქულ და სომხურ არხებს ადევნებდნენ თვალყურს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოცუზრუნველყოფის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ივლისის თვის პენსიების დაფინანსება დაასრულა.

როგორც საპენსიო ფონდში განაცხადეს, დაწყებულია აგვისტოსა და სექტემბრის თვის პენსიების გაცემაც.

დღეისათვის ფონდს აგვისტოს პენსიებისთვის 8 მლნ. ლარი აქვს გადარიცხული, რომელიც თბილისის, აჭარის, ფოთის პენიოსენერებსა და თბილისში განსახლებულ დევნილებს გაუნაწილდათ. რაც შეეხება სექტემბრის თვის პენსიებს, მათ გასაცემად ფონდს სადღეისოდ მხოლოდ 5 მლნ. ლარი აქვს გადარიცხული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში, მეორე დღეა, გრძელდება საპროტესტო აქცია, რომელიც ჭომის უბნის მცხოვრებლებმა გამართეს. ქუთაისელებმა ლესელიძის ქუჩა გადაკეტეს. ისინი ქალაქის მთავრობის ადგილზე მისვლას ითხოვენ. "ამ ქუჩაზე ბარიკადები მანამდე იქნება, სანამ ქალაქის მთავრობა არ მოვა და ჩვენს პრობლემას არ მიხედავს", – აცხადებენ აქციის მონაწილეები.

მდინარე რიონმა კალაპოტის ცვლილების გამო 200 კვმ. მიწის ნაკვეთი მიიტაცა. უსახლკაროდ დარჩენის საფრთხე ამჟამად კიდევ 50 მოსახლეს ემუქრება. სპეციალისტთა აზრით, "რიონჰესის" კაშხლის მარჯვენა სანაპიროს ჯებირები დაუყოვნებლივ გამაგრებას საჭიროებს, თუ ეს არ მოხდა, ჭომის ძირძველი მოსახლეობა იძულებული გახდება თავისი საცხოვრებელი დატოვოს.

აღნიშნული პრობლემა 9 წლის მანძილზე გრძელდება და თანხების უქონლობის გამო, თანდათან მწვავდება. ადგილობრივი მოსახლეობა ჭომის უბანს "უბედურების ზონად აცხადებს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში 11-15 ოქტომბერს საბაგირო გზების მსოფლიო ორგანიზაციის სიმპოზიუმი გაიმართება. ამასთან დაკავშირებით, "თბილბაგირტრანსი" მთაწმინდა-ფუნიკულიორის ტრამვაის ხაზის მუშაობის განახლებას გეგმავს.

როგორც "თბილბაგირტრანსის" ხელმძღვანელმა რევაზ მეცხოვრიშვილმა განაცხადა, სიმპოზიუმი საერთაშორისო ხასიათისაა და მასში მონაწილეობას საქართველოს პრეზიდენტიც მიიღებს.

თბილისში დღეისათვის ორი საბაგირო გზა მუშაობს – უნივერსიტეტი-ბაგები და კუს ტბის საბაგირო გზა.

რაც შეეხება მთაწმინდა-ფუნიკულიორის საბაგირო გზას, სადღეისოდ იგი ძლიერაა დაზიანებული და მის აღდგენას მილიონ დოლარზე მეტი სჭირდება.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამგორი-ვაზისუბნის საბაგირო გზაზე, რომელზეც იანვარ-თებერვალში პროფილაქტიკური სამუშაოები ჩატარდა. თუმცა მის სრულ წესრიგში მოსაყვანად კიდევ 2000 ლარია საჭირო.

მომზადებულია, აგრეთვე, ლისის ტბის საბაგირო გზის აღდგენის პროექტიც, მაგრამ უსახსრობის გამო მისი შეკეთება, ჯერჯერობით, ფერხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში ვენდისპანსერის საავადმყოფოში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილები 9 ოქტომბერს ახალ სახლებში გადაიყვანეს.

ნორვეგიის ლტოლვილთა საერთაშორისო საბჭომ ქუთაისის გარეუბანში 14 კაპიტალური სახლი ააგო, რომლებშიც, შესაბამისად, 14 ოჯახი განთავსდა. თითოეულ ოჯახს 500 კვმ. მიწა გამოეყო დასამუშავებლად.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ორგანიზაციის უფროსმა ამირან ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ანალოგიური მშენებლობა ნორვეგიელების ფინანსური მხარდაჭერით, მომავალი წლისთვისაც იგეგმება.

ახალმოსახლეობა დევნილებს იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა კიდევ ერთხელ მოუწევთ და ეს უკვე აფხაზეთი იქნება. **ინტერ-პრესი**

# ჩურჩხელა და ლობიანი „კოკა-კოლას" ნაცვლად

*გუშინ საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ ევროკომისიის წარმომადგენლობის წინ თეატრალიზებული აქცია მოაწყო. აქციაზე მოსულ მოქალაქეებს თუ უბრალო გამვლელებს "მწვანეები" ახალგავლებულ ჩურჩხელებს, თბილ ლობიანებს, კახურ ვაშლებს, ცივ ბორჯომსა და სხვა ეროვნულ პროდუქციას სთავაზობდნენ. დაბნეული გამვლელები ამ ყველაფერს თავიდან უნდობლობით უყურებდნენ, ცოტა ხანში კი ევროკომისიის შენობის წინ ქართული კერძებით ნამდვილი ევროპული ალა-ფურშეტი მოეწყო.*





"მწვანეების" ალა-ფურშეტი ქუჩაში

ეთერ მამულაშვილი

ამ ორიგინალური აქციით "მწვანეები" მოითხოვდნენ იმ საკვები პროდუქტების აკრძალვას, რომლებიც გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს. ეს ინგრედიენტები წარმოებულია გენური ინჟინერიით, რაც, მარტივად რომ ავხსნათ, ერთი სახეობის გენის მეორე, არამონათესავე სახეობაში გადატანას გულისხმობს. მაგალითად: შესაძლებელია თევზის გენების პომიდორში გადატანა, რათა პომიდორი უფრო ყინვაგამძლე გახდეს.

ბიოლოგების თქმით, გენმოდიფიცირებული პროდუქტები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი წევრი, ბიოლოგი გიორგი მაღრაძე აცხადებს, რომ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები ხშირად იწვევს სხვადასხვა ფორმის ალერგიას და ორგანიზმის, განსაკუთრებით კი, სისხლის, მოწამვლას. **"ზოგიერთ ქვეყანაში ეს სიკვდილითაც დამთავრებულა. ჩვენთან სამედიცინო კონტროლი თითქმის არ არსებობს, ამიტომ მიჭირს იმის მტკიცება, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღებით ვინმე გარდაცვლილიყოს ან მოწამლულიყოს, თუმცა, ამის გამორიცხვაც არ შეიძლება, მით უმეტეს, თავადაც ხედავთ, რომ ბოლო დროს მოწამვლისა და ალერგიის შემთხვევებმა აშკარად იმატა",** - გვითხრა მაღრაძემ.

იმ საკვები პროდუქტების სია, რომლებიც გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს, საკმაოდ გრძელია. მათ შორის არის გამაგრილებელი სასმელები, ბავშვის ფაფები, საკონდიტრო ნაწარმი, კარტოფილის ჩიფსები, სიმინდისა და სოიოს ზეთები, კეტჩუპები. ამ პროდუქტების უმრავლესობა ცნობილი ფირმების წარმოებას ეკუთვნის. ესენია "კოკა-კოლა", "სპრაიტი", "ნესთლე", "მარსი", "სნიკერსი" და სხვა. მთავარი პრობლემა ის არის, რომ პროდუქციის შეფუთვაზე გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების ჩამონათვალი არ არის მითითებული, რასაც მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს.

**"შეფუთვაზე ხშირად აღნიშნულია, რომ ეს პროდუქტი შეიცავს, ვთქვათ, სოიოს ინგრედიენტს, მაგრამ არ არის მითითებული, რომ ეს ინგრედიენტი გენური ინჟინერიით არის მიღებული. ჩვენ სწორედ ამის ნიშანდების შემოღებას მოვითხოვთ, რათა მომხმარებელს ჰქონდეს სრული ინფორმაცია პროდუქტზე და არჩევანის საშუალება",** - გვითხრა რუსუდან სიმონიძემ, მწვანეთა პარტიის ერთ-ერთმა წევრმა.

სხვათა შორის, ძალიან მალე, ოქტომბერ-ნოემბერში, ევროპა მიიღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს გენმოდიფიცირებულ საკვებთან დაკავშირებით. 16 ოქტომბერს კი ევროკავშირის მინისტრების სოფლის მეურნეობის საბჭო ხმას მისცემს ყველა სახის გენმოდიფიცირებული პროდუქტისა და ცხოველთა საკვების ნიშანდების საკითხს. "მწვანეები" საქართველოს ევროკომისიის წარმომადგენლობას მოუწოდებენ, ხმა მისცენ გენმოდიფიცირებული პროდუქტების ნიშანდების შემოღებას. **"მანამდე კი, სანამ საკვებ პროდუქტებზე ასეთი აღნიშვნა გაჩნდება, მოვითხოვთ, შეწყდეს ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის იმპორტი",** - გვითხრა სიმონიძემ.

გუშინვე, საქართველოს პარალელურად, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა მსგავსი აქცია, რომელშიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ასობით მოქალაქე იღებდა მონაწილეობას. ისინი ევროკავშირის წევრებს არაგენმოდიფიცირებული საკვებით უმასპინძლდებოდნენ.

# საწამლავი - ღია ცის ქვეშ

## თბილისის საწარმოებში უცნობი ტოქსიკური ნივთიერებები ინახება

*გამორიცხული არ არის, საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელი, როგორც პრობლემა, იქამდე მიეცეს დავიწყებას, ვიდრე მოგვარდება. თბილისს გაცილებით სერიოზული პრობლემა აქვს - რა მოუხერხოს ტოქსიკურ ნარჩენებს, რომლებიც უხვად მოიძებნება მის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში.*

მაკა ჭაიანი

საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელი, როგორც პრობლემა, ადვილად დასავიწყებელი სულაც არ არის. თუნდაც, იმის გამო, რომ დღეს იქ სამედიცინო ნარჩენებიც იყრება. ეს ერთნაირად საშიშია ნაგავსაყრელზე "დასაქმებული" თუ ნაგავსაყრელზე გამოკვებილი ღორებით დაპურებული ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. რატომ - ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. მაგრამ ამით მეორე პრობლემა ვერ დაკარგავს აქტუალობას. თბილისს ტოქსიკური ნარჩენების უტილიზაციის პოლიგონი არა აქვს, ასეთი ნარჩენი კი ბლომად მოეპოვება.

ჯუღული ახვლედიანი, ქალაქის სანიტარული სამსახურის უფროსი: "ეს სერიოზული პრობლემაა. დღეს, დედაქალაქის მარტო ერთ დაწესებულებაში, 2 100 კილოგრამი ვადაგასული კალიუმის ციანიდია და მისი გატანის საშუალება არ არსებობს - არ ვიცით, სად წვიღოთ. თბილისში უამრავი საწარმოა, რომელშიც ვადაგასული ტოქსიკური ნივთიერებებია. არის ნარჩენები, რომლებსაც დოკუმენტაცია არ ახლავს, არა აქვს ეტიკეტი, ახატია მხოლოდ თავის ქალა და ძვლები და არ ვიცით, რა შხამთან გვაქვს საქმე."

როგორც ქალაქის სანიტარულ სამსახურში აცხადებენ, ასეთ საწარმოთა ჩამონათვალი დიდია. პრობლემას ართულებს ისიც, რომ საწარმოების ნაწილი ტოქსიკური ნარჩენების შენახვის წესებს ვერ იცავს. ე.წ. გამთიშველ ქარხანაში, რომელშიც ზემოთ ნახსენები კალიუმის ციანიდი ინახება, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია - საწყობს სადღეღამისო დაცვა ჰყავს, მაგრამ ასეთი ფუფუნებით ბევრი ვერ დაიკვეხნის. გასაგები მიზეზების გამო, დაუცველი საწარმოების დასახელებისგან შესაბამისი სამსახურები თავს იკავებენ, თუმცა, არც იმას უარყოფენ, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

არსებობს ეჭვი, რომ ერთი-ორი დაუცველი საწყობიდან ტოქსიკური ნივთიერება მოიპარეს კიდეც. რამდენიმეგან გაურკვეველი დასახელების მომწამვლელი ნაერთები პირდაპირ ღია ცის ქვეშ აწყვია. ისინი კომუნისტების დროიდან შემორჩა თბილისს. ამ ხნის განმავლობაში ქალაქს მათი განადგურება უნდა მოეხერხებინა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის. ორი წელია, დედაქალაქის მერიაში იმაზე ვერ შეთანხმებულან, სად მოაწყონ ტოქსიკური ნარჩენების უტილიზაციის პოლიგონი. ფული, როგორც ამბობენ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის.

ზურაბ ადამია, თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თავმჯდომარე: "პრობლემა ის არის, რომ არავის სურს, ასეთი ტიპის სამარხი მისი საცხოვრებელი ადგილის გვერდით იყოს. მოსახლეობა ეჭვით უყურებს ამგვარ წინადადებას და, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ადგილზე შევაჩერეთ არჩევანი, გადაწყვეტით ჯერ ვერაფერს გეტყვით. იქამდე მაინც, ვიდრე წინასწარი სამუშაოები არ ჩატარდება და ყველაფერი საფუძვლიანად არ შემოწმდება."

საფუძვლიანი შემოწმება მომავალი საცავის ადგილის სეისმურად შესწავლას, ნიადაგის გრუნტის წყლების გამოკვლევას და ბევრ სხვა რამეს გულისხმობს. ყველაფერ ამას, ბუნებრივია, დაფინანსება უნდა. ფულია საჭირო სარკოფაგის მშენებლობის, ტოქსიკური ნარჩენების ტრანსპორტირებისა და უტილიზაციისთვისაც. რაც მთავარია, ცოტა - არა. ასე რომ, ქალაქის სამსახურების მხრიდან იმის მომიზეზება, პრობლემა მხოლოდ მოსახლეობის აფორიაქების შიშით ვერ მოგვიგვარებიაო, ნაკლებად სარწმუნო ჩანს. ეკონომიას ამ შემთხვევაშიც, ალბათ, ჩვენს ჯანმრთელობაზე აკეთებენ.

# კონსტრუქციული დიალოგი, რომელიც ვერ შედგა

## "სოლიდარი" ექიმები ოპტიმიზაციის შეჩერებას მოითხოვენ

*ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნის შემდეგ - საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შეეჩერებინა საავადმყოფოების ოპტიმიზაცია, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი სასწრაფოდ შეიკრიბა.*

მაკა ჭაიანი

იქიდან გამომდინარე, რომ ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში გუშინ იმყოფებოდნენ პარლამენტარებიც, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველი პირებიც, ექიმთა ახლადჩამოყალიბებული პროფკავშირის, "სოლიდარობის" ხელმძღვანელებიც და იმ სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებიც, რომელთა გამსხვილება პირველ რიგშია დაგეგმილი, უნდა გვევარაუდა, რომ, ქუჩის აქციებისა და საპროტესტო გამოსვლების შემდეგ, კამათი ამ თემაზე სახელისუფლო ოთახებში გადაინაცვლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

მიზეზად, შეიძლება, მხოლოდ ერთი რამ დასახელდეს - დარბაზში შეკრებილი ექიმების უნდობლობა ხელისუფლებისადმი. "სოლიდარობის" წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოდო ნაფეტვარიძემ პირდაპირ განაცხადა: **"ახლა ჩვენს ორგანიზაციაში 1200 წევრია, მათი რაოდენობა დღითი-დღე იზრდება და მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვიქნებით ნებისმიერი გადაწყვეტილებისა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღებს."** კატეგორიული გახლდათ "სოლიდარობის" თავმჯდომარე ლევან მეტრეველიც. მისი აზრით, ოპტიმიზაცია იმდენის დახარჯვას მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არსებული საავადმყოფოების გამართვას რომ ეყოფოდა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოპტიმიზაციის პროცესის გაუთვლელ დაწყებას უწუნებს ნაციონალისტი ლადო ჭიპაშვილი. **"მე არ გახლავართ რეფორმის და ზოგადად ოპტიმიზაციის წინააღმდეგი - წარმოუდგენელია, ჯანმრთელობის სფერომ არსებობა საბჭოური სისტემის ნარჩენებით განაგრძოს, მაგრამ რა აზრს დებს ხელისუფლება ამ პროცესში? ოპტიმიზაციას სტაციონარების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მკურნალობის ხარისხის ამაღლება, კადრების კარგი მატერიალური უზრუნველყოფა უნდა მოყვეს. რას ვუპირებთ შესამცირებელ კადრებს? 2000 ლარით სახლში გასტუმრებას? მათი სოციალური უზრუნველყოფის გარეშე ოპტიმიზაციის დაწყება დაუშვებელი იყო."**

ძირითად წინააღმდეგობას ამ საკითხში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის, სწორედ შესამცირებელი კადრების სოციალური უზრუნველყოფა ქმნის. მოძრაობა მიიჩნევს, რომ ჯერ ყველა პირობა უნდა შექმნილიყო სამსახურიდან დასათხოვნი ხალხის შემდგომი შრომითი უზრუნველყოფისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ გაეერთიანებინათ სტაციონარები. შრომით უზრუნველყოფაში ნაციონალები გასათავისუფლებელი კონტიგენტის ოჯახის ექიმებად გადამზადებასა და მათი დასაქმებისთვის ცალკე პროგრამების განხორციელებას გულისხმობს. იგივე მიზნები აქვს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, იმ განსხვავებით, რომ ეს პროცესი ოპტიმიზაციის პარალელურია.

მეორე მთავარი წინააღმდეგობა ნაციონალებსა და ხსენებულ სამინისტროს შორის ოპტიმიზაციის მასშტაბებიდან მომდინარეობს. პირველები მიიჩნევენ, რომ დადგება დრო, როცა საქართველოს მოსახლეობა დღეს არსებული საწოლების ფონდის ათვისებას შეძლებს; მეორეები ირწმუნებიან, საწოლთა ის რაოდენობა, რომელიც ოტიმიზაციის შემდეგ დარჩება, ქართველობის გაზრდილ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებსო. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იმასაც აცხადებს, თუკი ვინმე ჩვენი გადაწყვეტილებების მცდარობაში დამარწმუნებს, მათი შეცვლისგან უკან არ დავიხევო. ნაციონალების წარმოდგენილი არგუმენტები ჯერ სათვალავში არ მიიღება. აქედან გამომდინარე, ალბათ, თბილ ოთახებში დიალოგი დიდხანს არ გასტანს.

# მომავალი იურისტები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ გამოცდილებას სწავლობენ

*რას ნიშნავს სიცოცხლის უფლება; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა – ეს ყველაფერი უკვე იციან საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ჩატარებული ორკვირიანი სემინარის მონაწილეებმა.*

სემინარი ორგანიზებული იყო ბრიტანეთის საბჭოსა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ, ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების სიმრავლისა, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ჩამოყალიბებული და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამა ადამიანის უფლებათა სფეროში. ისიც ფაქტია, რომ ადამიანის უფლებები უმაღლეს იურიდიულ სკოლებშიც არ ისწავლება სათანადო დონეზე. ბოლო წლებში საქართველომ მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური აქტის რატიფიცირება მოახდინა, პარალელურად ეროვნული კანონმდებლობაშიც შევიდა ცვლილებები. ეს ყველაფერი კი სათანადოდ ვერ აისახა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამაში. უმაღლესი იურიდიული სკოლები ვერ ახერხებენ, სწრაფად უპასუხონ დროის მოთხოვნებს. "საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" მიერ ჩატარებული სემინარის მიზანი სწორედ ცოდნის გაღრმავება იყო.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ბრიტანეთის საბჭოსა და საელჩოს მხარდაჭერით შეიქმნა მოკლე საგანმანათლებლო კურსი. გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის ალან მილერისა და ქართველი ექსპერტების მიერ მომზადდა სახელმძღვანელო, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ეხება. ორკვირიან სემინარში კი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტებიდან შერჩეული სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.

გუშინ დამთავრებულ სემინარში მონაწილე 46 სტუდენტი საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა და სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა სერთიფიკატებით დააჯილდოეს.

**"ჩვენ უკვე საფუძვლიანად ვიცით ჩვენი უფლებები. შეგვიძლია დავიცვათ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ - სხვებიც.",** - აცხადებდნენ ლექციებითა და პრაქტიკული მეცადინეობებით მოხიბლული სტუდენტები, რომლებმაც ხანმოკლე დროში საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკა და ასევე, სხვა ქვეყნების სასამართლო გამოცდილება. რაც მთავარია, სემინარის მონაწილე ექვსმა წარჩინებულმა ქართველმა როტერდამის უნივერსიტეტში სწავლის უფლება მიიღო.




*სემინარის მონაწილეთა დაჯილდოება.*

# კობზონი ამერიკაში არ შეუშვეს

რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს, თხოვნა-განცხადებით მიმართეს პოლიტიკოსებმა და სხვა გამოჩენილმა ადამიანებმა. წერილის ავტორები პუტინისგან აშშ-ს პრეზიდენტთან დაუყოვნებლივ შეხვედრასა და მოლაპარაკებას ითხოვენ, რათა ცნობილი მომღერალი, კობზონი, ამერიკაში შეუშვან.

საქმე შემდეგშია: სულ ცოტა ხნის წინ კობზონს ამერიკის ხელისუფლებამ ვიზა არ მისცა. უარის მოტივად ამერიკელი სამართალდამცველების ხელთ არსებული საიდუმლო ინფორმაცია დასახელდა, რომლის მიხედვითაც, რუს მომღერალს ნარკომაფიასა და იარაღის უკანონო ვაჭრობაში ადანაშაულებენ. როგორც ცნობილია, კობზონს იტალიელი კანონდამცველები ეძებენ, როგორც რუსული მაფიის ერთ-ერთ ლიდერს, რომლის დაჯგუფებამაც ევროპაში დიდი რაოდენობით შავი ფული გაათეთრა. ევროპასა და ამერიკაში კობზონი, როგორც მაფიოზი, შავ სიაშია შეტანილი.



*იოსიფ კობზონი*

## მოკლედ

**თბილისი.** დაახლოებით ერთი თვის წინ, თბილისში, ქვემო მელითონეს დასახლებაში მცხოვრებ ივერი დიღმელაშვილს იმაილ ყეინიშვილთან ჩხუბი მოუვიდა. იგი მეგობრებმა დააწყნარეს და დავით დიღმელაშვილმა, გიორგი ზედგენიძემ და ბადრი ობოლაშვილმა სახლში წაიყვანეს. რამდენიმე საათის შემდეგ დიღმელაშვილს სახლში ყეინიშვილმა მიაკითხა. მასპინძელი ეზოში სანადირო თოფით ხელში გავარდა, მას შესაჩერებლად გიორგი ზედგენიძე გადაუდგა წინ. ყეინიშვილისთვის განკუთვნილი ტყვია ზედგენიძეს თავში მოხვდა და იგი ადგილზევე გარდაიცვალა.

ზედგენიძის მკვლელობის საქმეს ისანი-სამგორის პროკურატურა იძიებს. მკვლელობაში ბრალდებულ დიღმელაშვილს სამართალდამცველები ეძებენ. **"24 საათი"**

▪ ▪ ▪

**მოსკოვი.** მოსკოვში გულწრფელი გაკვირვება გამოიწვია სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოში გამოგზავნილმა რეკომენდაციამ, რომლის მიხედვითაც საქართველომ უნდა შეაჩეროს დაკავებული ჩეჩნების ექსტრადიცია.

მოსკოვს მიაჩნია, რომ ევროსასამართლომ ამ რეკომენდაციით, ფაქტობრივად, თავის თავზე აიღო ტერორისტების დაცვა, რითიც წინააღმდეგობა შეუქმნა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების მიმართ ობიექტური გამოძიების ჩატარებას.

რუსეთი იმედს გამოთქვამს, რომ ევროპის ადამიანის უფლებების დამცველი სასამართლო თავისი შემდგომი მოქმედებებით ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების ნამდვილ დაცვას. **"პრაიმ-ნიუსი"**

▪ ▪ ▪

**მოსკოვი.** საქართველოს უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორს ნიკოლაი პატრუშევს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი იყო ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ კიშინიოვში მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის გეგმის დასახვა.

შემუშავდა ღონისძიებები საქართველოსა და რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ურთიერთქმედებათა გასაუმჯობესებლად, რაშიც მაკოორდინირებელ ფუნქციას საქართველოს უშიშროების სამინისტრო და რუსეთის უშიშროების სამსახური შეასრულებენ. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ვალერი ხაბურძანია დანიშნა თავის პირად წარმომადგენლად ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. **"პრაიმ-ნიუსი"**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დოკუმენტების გაყალბებაში ამხილეს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ჯაი დენ პანდიტი.

მან 1998-2000 წლებში, შპს „კვარციტის" ყოფილ დირექტორთან გიორგი მგალობლიშვილთან ერთად, დოკუმენტები გააყალბა და, ციანიტის მარილების ღირებულების ხელოვნურად გაზრდით, შპს „კვარციტის" კუთვნილი 209 ათას 856 ლარი მიითვისა. **"მედია-ნიუსი"**

▪ ▪ ▪

**თბილისი.** 80 წლის ანეტა დავითაშვილი ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის N8 განყოფილების თანამშრომლებს შანტაჟში ადანაშაულებს.

საქმე ეხება 28 სექტემბერს მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ანეტა დავითაშვილის ვაჟი, პირველი ჯგუფის ინვალიდი გელა დავითაშვილი პოლიციის აღნიშნული განყოფილების თანამშრომლებმა მობილური ტელეფონის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. მათ დაკავებული განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც, ცრუ ბრალდების აღიარების მიზნით, "კოკა-კოლას" ბოთლებითა და ხელკეტით დაზიანებები მიაყენეს. დაკავებულის მიერ ბრალდების იძულებით აღიარების შემდეგ, იგი პოლიციის განყოფილებიდან იმ პირობით გაუშვეს, რომ 700 აშშ დოლარს მიიტანდა. დავითაშვილის საქმე, ომბუდსმენის ჩარევის შემდეგ, მოკვლევის ჩასატარებლად შსს-ს გენერალურ ინსპექციას გადაეცა. **"ინტერ-პრესი"**

▪ ▪ ▪

**ცხინვალი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის პაატა ბედიანიშვილის ინფორმაციით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან „ოპელის" მარკის სამი ავტომანქანა მიიღო.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია ძველი და ახალი ავტომანქანებით თბილისი-სენაკის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე 24-საათიან პატრულირებას განახორციელებს. პატრულირებაში მონაწილეობას მიიღებს 12 მანქანა. შიდა ქართლის პოლიციის განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ შიდა ქართლში ანტიკრიმინალური ოპერაცია იწყება, არასწორია.

პაატა ბედიანიშვილის ინფორმაციით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია შს სამინისტროდან დახმარებას კვლავ მიიღებს. თუმცა, დაუდასტურებელი ინფორმაციით, სამხარეო პოლიციამ, „ოპელის" მარკის სამი ავტომანქანის გარდა, საბრძოლო მასალა, ტყვია-წამალი და საწვავიც მიიღო. **"მედია-ნიუსი"**

▪ ▪ ▪

**ცხინვალი.** ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო მდგომარეობათა მინისტრის ბორის ჩოჩიევის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში ნებისმიერი აქციის ჩატარებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლებმაც.

„ცხინვალის რეგიონში ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის ჩატარება ჯერჯერობით მსჯელობის საგანია", - განაცხადა ბორის ჩოჩიევმა. მისივე თქმით, ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის დაწყება, შესაძლოა, რეგიონში ომის დაწყების მანიშნებელიც იყოს. **"მედია-ნიუსი"**

# პოლიციელის დაჭრისათვის ძებნილმა თბილისში პოლიციელი მოკლა

თამარ კაციტაძე

სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა განზრახ მკვლელობამ. ამ გარემოებას ყველა თავისებურად ხსნის. სამართალდამცველები მძიმე დანაშაულთა რაოდენობის ზრდას ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით ასაბუთებენ. .

ისანი-სამგორის რაიონის პროკურორი ვაჟა აბაკელია კი მკვლელობების მატებას არაპროკურორული, მისტიური მიზეზებით ხსნის და მძიმე დანაშაულთა ზრდას კანონზომიერ მოვლენად აღიქვამს.

**"სოციალურმა პრობლემებმა შეიძლება გამოიწვიოს ქურდობის ზრდა. მკვლელობა უფრო რთული ფენომენია და ამ დანაშაულის ზრდის მიზეზებიც უფრო ღრმად უნდა იქნეს გამოკვლეული. მსოფლიო პრაქტიკაში დამტკიცებულია, რომ ძალადობის ფაქტები განსაკუთრებით მატულობს საუკუნის ბოლოს და დასაწყისში, რადგან ამ დროს ატმოსფეროში ძალიან დიდი რაოდენობით გროვდება უარყოფითი მუხტი, რაც ხალხში დაგროვილი აგრესიის გამოვლინებას იწვევს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოში, სადაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს ფასეულებათა გადაფასება, მკვლელობის რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა. თუმცა, ჩემი აზრით, ადამიანის მკვლელად ჩამოყალიბება უფრო გენეტიკური პრობლემაა და არ შეიძლება იგი სოციალურ, ან ეკონომიკურ ფაქტორებს დავაბრალოთ... "** – მკვლელობების გახშირებას ასეთი ახსნა მოუძებნა ვაჟა აბაკელიამ, რომელიც წელიწადში ათობით მკვლელობის საქმის საბრალდებო დასკვნას აწერს ხელს.

ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურამ ახლახან დაასრულა და სასამართლოს გადასცა პოლიციელ სამველ სტეპანოვის განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

როგორც გამოძიებით დადგინდა, მკვლელობა ჩაიდინა 18 წლის წალენჯიხელმა დავით ქუხილავამ, რომელსაც პოლიცია სხვადასხვა დანაშაულისთვის ეძებდა. როგორც ისანი-სამგორის პროკურატურის გამომძიებელმა სოსო ლალიაშვილმა გვითხრა, ქუხილავამ წალენჯიხაში ჩხუბის დროს დანით დაჭრა გივი აქუბარდია და პოლიციის თანამშრომელი მურმან კვარაცხელია. განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი ქუხილავა წალენჯიხის პოლიციას დაუსხლტდა და მაისის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა. აქ იგი ვაზისუბანში მცხოვრებ დავით ნოდიას დაუახლოვდა.

არასრულწლოვანი დავით ნოდია თავის დროზე ავტომანქანებიდან მაგნიტოფონების ქურდობისთვის დააპატიმრეს, მაგრამ სამართალდამცველებმა გაითვალისწინეს მისი ასაკი და იგი პირობით – პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს.

ახლად დამეგობრებული დამნაშავეები სისტემატურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთხელაც ქუხილავა ნოდიასთან მისულა და წალენჯიხაში წასასვლელად ფული უთხოვია. მეგობარს ფული არ ჰქონდა და ამხანაგის დასახმარებლად ძველი ხელობა გაიხსენა.

3 ივნისს, საღამოს, ნოდიამ და ქუხილავამ ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული "ჟიგულის" მარკის მანქანიდან "გრუნდიკის" ფირმის მაგნიტოფონი მოიპარეს. სახლისკენ მიმავალ მეგობრებს შემთხვევით შემოვლაზე მყოფი პოლიციელები, უბნის ინსპექტორები – მორბედაძე, ცხვარაძე და რიგითი – სტეპანოვი შეხვდათ. პოლიციელები მიხვდნენ, რომ ქუხილავა ქურთუკში რაღაცას მალავდა. პოლიციელებმა მისი გაჩხრეკა დააპირეს. ამასობაში ნოდიამ დრო იხელთა და გაიქცა. მას ინსპექტორი მორბედაძე გაეკიდა. ფაქტით დაჭერილი ქუხილავა კი პოლიციას ეხვეწებოდა – ოღონდ არ დამაპატიმროთ და 300 დოლარს მოგიტანთო, მაგრამ პოლიციელებზე თხოვნამ არ გაჭრა და იგი მანქანაში ძალით ჩასვეს.

ავტომობილს პოლიციელი ცხვარაძე მართავდა, დაკავებული ქუხილავა და მეორე პოლიციელი სტეპანოვი კი მანქანის უკანა სავარძელში ისხდნენ. მოულოდნელად ცხვარაძეს მოესმა – "ვაიმე, მომკლაო"; უკან მიიხედა და გასისხლიანებული სტეპანოვი დაინახა. დაზნეულმა პოლიციელმა მანქანა გააჩერა. ამასობაში ქუხილავამ დრო იხელთა და გაიქცა. ცხვარაძემ გაქცეულ მკვლელს რამდენჯერმე ესროლა, მაგრამ ქუხილავამ მიმალვა მაინც მოახერხა. გულში დანით დაჭრილი რიგითი სტეპანოვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოლიციის ნასროლი ტყვიით ქუხილავა ფეხის თითებში დაიჭრა, მაგრამ მან ნოდიას სახლამდე მიღწევა მაინც მოახერხა. მეგობრის დედა წალენჯიხელ სტუმარს მოუტყუებია - ფეხი მინაზე გავიჭრერიო. მეორე დღეს დავით ნოდიამ დაჭრილი მეგობარი წალენჯიხაში წაიყვანა.

პოლიციამ ქურდობაში ბრალდებული ნოდია სამეგრელოდან ჩამოიყვანა, ქუხილავა კი წალენჯიხის რაიონის პოლიციას ჩაბარდა. წალენჯიხაში ჩადენილ დანაშაულებს ახალი ბრალდება – სტეპანოვის განზრახ მკვლელობა დაემატა და ქუხილავა მოგვიანებით თბილისში, ორთაჭალის ციხეში გადმოიყვანეს.

პოლიციელის განზრახ მკვლელობის, ორი პიროვნების დაჭრისთვის, ქურდობისა და სხვა დანაშაულისთვის ბრალდებულს, 18 წლის დავით ქუხილავას, მინიმუმ ოცწლიანი პატიმრობა ემუქრება.

## ქრონიკა

### ძალადობის მსხვერპლნი ხშირ შემთხვევაში მოხუცები ხდებიან

მსოფლიოში ყოველწლიურად 2 მილიონ 600 ათასი ადამიანი ეწირება ძალადობას.მსხვერპლთა უმეტესობა 15-დან 44 წლამდე ასაკის ადამიანები არიან. ასეთი დასკვნა გააკეთა ჟენევის საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელმაც მსოფლიოს უფლებათადამცველ ორგანიზაციებს თხოვნით მიმართა, მიიღონ სასწრაფო და გადამჭრელი ზომები მკვლელობებისა და ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად და დაადგინონ შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზები. ორგანიზაციის მონაცემებით, თავდასხმის შედეგად წუთში ერთი ადამიანი იღუპება, შეიარაღებული კონფლიქტისას ყოველ ერთ საათში 35 ადამიანი კვდება. ბოლო 100 წლის მანძილზე ომებსა და სხვა სამხედრო შეტაკებებისას დაიღუპა 191 მილიონი ადამიანი.. ძალადობისგან ყოველწლიურად კვდება მსოფლიო მოსახლეობის მამაკაცების 14 პროცენტი და ქალების 7 პროცენტი. მოკლული ქალების უმეტესობა ქმრებისა და საყვარლების მსხვერპლი გახდა.

ყოველი მეოთხე ქალი კი სექსუალური ძალადობის ობიექტია.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძალადობის მსხვერპლთა შორის მოხუცები ლიდერობენ.

### შეკვეთილი მკვლელობები კავკასიელთა წინააღმდეგ

დაღესტნელი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები მოსკოვის ცენტრში მომხდარი შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლნი გახდნენ. მოსკოვის მილიციამ, ჯერჯერობით, მკვლელების დაკავება ვერ მოახერხა. სამართალდამცველების განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში მოსკოვსა და მის გარეუბნებში ერთმანეთის მიყოლებით მოხდა თავდასხმები კავკასიელებზე, ძირითადად, აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებზე. მოსკოვის მილიციამ, გახშირებული თავდასხმების გამო, სპეციალური გეგმა - "სირენა-1" შეიმუშავა. სამართალდამცველთა ვარაუდით, შეკვეთილი მკვლელობების სერია კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის მანქანების ბიზნესში არსებული კონფლიქტის შედეგია.

### ადამიანს დანაშაულისკენ აგრესიული გენი უბიძგებს

სასამართლომ განაჩენის გამოტანამდე უნდა შეისწავლოს დამნაშავის გენები. ასეთი განცხადება გააკეთა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა ცნობილმა ორგანიზაციამ, რომელიც ადამიანის გენეტიკის შესწავლაზე მუშაობს. ორგანიზაციის დასკვნით, მოსამართლეებმა საქმის განხილვისას უნდა გაითვალისწინონ აგრესიული გენის ფაქტორი, რომელიც ადამიანს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. ორგანიზაცია გენეტიკას განაჩენის გამოტანისას შემამსუბუქებელ გარემოებად არ მიიჩნევს, მაგრამ თვლის, რომ აგრესიული გენის მატარებელი დამნაშავის გამოსასწორებლად ციხე არ გამოდგება, მათთვის აუცილებელია ფსიქოთერაპიის კურსი. ორგანიზაციის წევრთა მტკიცებით, დანაშაულს სჩადის აგრესიული გენი, რომლის მატარებელ ადამიანსაც ფსიქოკორექცია ესაჭიროება.

### ჯონ ლენონის მკვლელი შეწყალებას ითხოვს

47 წლის მარკ დევიდ ჩეპმენმა, რომელიც უკვე 22 წელია სასჯელს იხდის, სააპელაციო კომისიას შეწყალების თხოვნით მიმართა.

ჩეპმენი ლეგენდარული მომღერლის, ჯონ ლენონის, მკვლელობისთვისაა გასამართლებული და მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ჩეპმენმა შეწყალება 8 ოქტომბერს, ლენონის დაბადების დღეს ითხოვა. მკვლელ-მანიაკად აღიარებული ჩეპმენის განცხადებით, პატიმრობიდან მისი გათავისუფლება შესაძლებელია, რადგან იგი აღარაა საზოგადოებისთვის საშიში. სააპელაციო კომისიას შეწყალების თხოვნით ჩეპმენმა ბოლო ორი წლის მანძილზე უკვე მეორედ მიმართა. ლენონის მკვლელის გათავისუფლების კატეგორიული წინააღმდეგია მომღერლის ცოლი - იოკო ონო. მისი განცხადებით, იგი ველარ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ, თუ მკვლელს გაათავისუფლებენ.

### "მეგაპოლის-ექსპრესი" სელეზნიოვის ხასიათის გაფუჭებისთვის დაჯარიმდა

მოსკოვის ოლქის სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერის, გენადი სელეზნიოვის, სარჩელთან დაკავშირებით.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაზეთ "მეგაპოლის-ექსპრესს" გენადი სელეზნიოვისთვის 4 მილიონი რუბლის გადახდა მოუწევს.

სპიკერმა სარჩელი გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო შეიტანა. მას მიაჩნია, რომ წერილში, რომელიც მის კარიერას ეხებოდა, მისთვის შეურაცხმყოფელი, ცრუ ინფორმაციები დაიბეჭდა. სელეზნიოვის განცხადებით, სტატიამ იგი ცუდ ხასიათზე დააყენა.

ერთი სიტყვით, "მეგაპოლის-ექსპრესმა" სელეზნიოვის ხასიათის გაფუჭებისთვის გაზეთის ტირაჟიდან შემოსული თანხა მთლიანად დუმის სპიკერს უნდა გადაუხადოს.

# ჩვენ გვაქვს ამის უფლება

*იმ რამდენიმე სახელმწიფოებრივი "ჩვევიდან", რომელიც ბოლო დროს გამოვიმუშავეთ, ერთ-ერთი, საერთაშორისო სპორტული ასპარეზობის დროს, საკუთარი და უცხო ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნის პატივისცემის ნიშნად, ფეხზე წამოდგომაა. ამ წესის ერთგული გულშემატკივარი თანაბრად მიაგებს პატივს დიდ ბრიტანეთს და ციცქნა ტონგას. ბუნებრივია, ამით, ჩვენ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობისაც ვუსვამთ ხაზს. 12 და 13 ოქტომბერს ჩვენ გველის მოვლენა, რომელიც თან ჰგავს, და თანაც განსხვავდება სხვა შემთხვევებისგან: თბილისში ყოფილი სსრკ-ს ჰიმნს ააჟღერებენ.*

კახა ლომაია

*საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიული კოალიციის" თავმჯდომარე*

ყველა სახელმწიფოს, და მათ შორის რუსეთს, აქვს სუვერენული უფლება, აირჩიოს ის ჰიმნი, რომელიც შესაფერისად მიაჩნია, თუნდაც ეს "ჩასტუშკა" იყოს; ხოლო ჩვენ, გულშემატკივრებმა, სასურველია, მას ფეხზე დამდგრებმა მოვუსმინოთ. მაგრამ, აქ არის რამდენიმე "მაგრამ".

საბჭოთა იმპერიის ჰიმნის აღდგენით რუსეთის მთავრობამ სულში მიაფურთხა თავის საუკეთესო შვილებს, ცოცხლებსა და მკვდრებს. ისინი დღეს ძერჟინსკის ძეგლსაც აბრუნებენ ლუბიანკის მოედანზე. ესეც მათი სუვერენული უფლების რეალიზებაა, ჩვენ მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვა შეგვიძლია იმის მიმართ, რაც ჩვენი სახელმწიფოს წარსულსა და აწმყოს უკავშირდება.

"სოიუზ ნერუშიმის" აღდგენით ჩვენც მოგვაყენეს შეურაცხყოფა, ისევე, როგორც - ბალტიელებს, უკრაინელებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს.

ჩვენ ჩვენი ვთქვათ. ეს ჰიმნი სიმბოლოა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის, კოჯორსა და ტაბახმელაში ჩვენი ნორჩი იუნკრების მკვლელობის, არისტოკრატთა მთელი საგვარეულოებისა და სამღვდელოების ამოჟუჟვის, ლენინ-ძერჯინსკი-სტალინის საკონცენტრაციო ბანაკებში ათიათასობით უდანაშაულო ქართველის დახოცვის, 9 აპრილის მშვიდობიანი მომიტინგეების დახოცვის. თითოეული ჩვენგანი თავის გაგრძელებას უპოვის ამ სიას.

მაგალითი იმისა, თუ როგორ ექცევიან ამ ჰიმნს ღირსეული მოქალაქეები: 2001 წლის ნოემბერში მოსკოვში არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი გაიმართა. რუსეთის უხუცეს უფლებადამცველს, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარეს, გულაგგამოვლილ 75 წლის ლუდმილა ალექსეევას, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობდა, ფორუმის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აცნობეს, რომ პრეზიდენტი პუტინი გეგმავდა – გახსნის ცერემონიალში მიეღო მონაწილეობა. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოგზავნილი პროგრამიდან ჩანდა, რომ პრეზიდენტის გამოჩენას უნდა მოჰყოლოდა ძველ-ახალი ჰიმნის შესრულება. ლუდმილა ალექსეევას რეაქცია მყისიერი იყო, მან ოფიციალურად შეატყობინა პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომ თვითონ, საორგანიზაციო კომიტეტის რამდენიმე სხვა წევრი და დარბაზში მყოფი მრავალი სამოქალაქო აქტივისტი არ წამოდგებოდა ფეხზე. **"თუ თქვენ გსურთ, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს ჰიმნის გაგონებაზე პრეზიდიუმში ეულად წამომდგარი პუტინი, შეასრულეთ იგი!"** – შეუთვალა ალექსეევამ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ყოვლისშემძლე ადმინისტრაციამ, რომელიც, თანამედროვე რუსული ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საინფორმაციო სივრცეებს განუყოფლად აკონტროლებს, უკან დაიხია. ფორუმმა უჰიმნოდ ჩაიარა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არცერთ ადმინისტრაციას არ ძალუძს ადამიანის ღირსების გაკონტროლება.

სერგეი კოვალიოვმა, მსტისლავ როსტროპოვიჩმა, ალექსანდრ სოლჟენიცინმა, ვლადიმირ ვოინოვიჩმა, და სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ისინი ამ ჰიმნის შესრულებისას ფეხზე არ წამოდგებიან. **"ამ ჰიმნის თანხლებით ჩვენ უფრო ჯდომას ვართ შეჩვეულები"**, - სევდიანად აღნიშნა ზოგიერთმა მათგანმა.

თანამედროვე გერმანიაში სისხლის სამართლის კანონმდებლობით მკაცრად ისჯება ნაცისტური სიმბოლიკის და ჟესტების გამოყენება. აკრძალულია ნაცისტების პარტიული ჰიმნი "ჰორსტ ვესსელი" და ნაცისტური მისალმების ჟესტი. ისრაელში მიუღებელია ვაგნერის ოპერების შესრულება, მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელი ნაცისტები აღმერთებდნენ მათ ავტორს. ეს მაგალითები არც მტკიცებულებაა და, შეიძლება, არც - უნივერსალური რეცეპტი, დასაფიქრებლად კი გამოდგება.

12–სა და 13–ში ჩვენ გვაქვს უფლება, არ წამოვდგეთ ფეხზე, როდესაც რუსეთის ჰიმნს შეასრულებენ.

ეს იქნება არა ხულიგნობა, არამედ - სამოქალაქო წინააღმდეგობის აქტი და ნიშანი იმისა, რომ ჩვენ, შეიძლება, ბევრი რამ წაგვართვან, ოღონდ - არა მეხსიერება და ღირსება.

ეს არ იქნება რუსი სპორტსმენების, მითუმეტეს, რუსი ერის შეურაცხყოფა. რუსეთს, რომელმაც საკუთარი წარსულის საშინელი სიმბოლო გააცოცხლა, ჩვენ გულწრფელად ვუსურვებთ ნორმალურ და დემოკრატიულ მომავალს, რომელშიც ამ ჰიმნისთვის ადგილი აღარ იქნება.

ჩვენ, უბრალოდ, დავანახებთ ყველას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შეუქცევადია, ვინაიდან იგი ღირსეული მოქალაქეების შეგნებულ არჩევანს ეფუძნება. ჩვენ არ ვიყვირებთ, არ დავუსტვენთ, არ ავღელდებით; ჩვენ დინჯად დაველოდებით, როდის ჩაამთავრებენ "ნერუშიმის" და ფეხზე წამოვუდგებით ჩვენს "დიდებას". მერე კი გავიმარჯვებთ, სტადიონზეც და ტრიბუნაზეც.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი

ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge




ემ·ბი·ჯი
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი
გთავაზობთ სესხებს
თქვენი ბიზნესისათვის

1,5%
–დან

| პირობები | სესხები | | |
|---|---|---|---|
| | ექსპრესსესხი | მიკროსესხი | ინვესტსესხი |
| თანხა | 100-2000 ლარი | 1000-10000 აშშ. დოლარი | 10000–100000 აშშ. დოლარი |
| პროცენტი (თვეში) | 3-4% | 2-3% | 1,5-2% |
| ვადა | 12 თვემდე | 24 თვემდე | 36 თვემდე |

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
e-mail: mbg@mbg.com.ge
e-mail: vake@vake.mbg.com.ge
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge
e-mail: varketili@mbg.com.ge
e-mail: mbgk@mbg.com.ge
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge
e-mail: info@gori.mbg.com.ge
e-mail: info@batumi.mbg.com.ge
e-mail: mbgl@access.sanet.ge
e-mail: mbgp@internet.ge
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge
e-mail: info@mameuli.mbg.com.ge

ნაბიჯი წინმსვლელისკენ!

## ანდრანიკ მიგრანიანი: "ჯავახეთის ფორმალური ავტონომია საქართველოს სეპარატიზმისაგან იხსნიდა"

*ბოლო დროს, მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკური სიტუაციაზე მსჯელობისთვის, მოსკოველი პოლიტოლოგები ხშირად მართავენ დისკუსიებს. ამ დღეებში რუსეთის დედაქალაქში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "ერაყი, საქართველო და ბუშის დოქტრინა".*
***რამდენად გამართლებულია საკითხის ასე დაყენება?*** *- ამ შეკითხვით დაიწყო პოლიტოლოგ* ***ანდრანიკ მიგრანიანთან*** *"24 საათის" კორესპონდენტის საუბარი.*

რუსუდან ნიკურაძე

*საქ. კორ. მოსკოვში*

- ერაყის საქართველოსთან გაიგივებისა და მსგავსი პარალელების გავლების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. იმაზე დიდი სისულელე, რაც პანკისის დაბომბვაზე მოსკოვიდან წამოსული მუქარები იყო, მე არ მეგულება. პოლიტიკური ახლომხედველობაა საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო აქციის ასეთი შეზღუდული ინფორმაციული რესურსებით მომზადება; წარმოგიდგენიათ, ამის მერე გაემგზავრო სტრასბურგში და ევროპარლამენტარები დაარწმუნო საქართველოს დაბომბვის აუცილებლობაში. დიმიტრი როგოზინი ადრე თაკილობდა სტრასბურგში ჩასვლას, სადაც, მისი თქმით, სერგეი კოვალიოვები იკრიბებიან... ჰოდა, კოვალიოვებს დღეს საქართველოს დაბომბვის აუცილებლობაში ვერაფრით დაარწმუნებ.

**- რუსეთში თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა უკვე შეთანხმდა, რომ ერაყის დაბომბვა გარდაუვალია. თქვენი აზრით, როგორ პოზიციას დაიკავებს რუსეთის ხელმძღვანელობა და დაეთანხმება თუ არა მას ყველა პოლიტიკური ძალა?**

- ერაყის დაბომბვით დაიწყება ახალი ამერიკული იმპერიის მშენებლობა, მაგრამ ერაყში სამხედრო ოპერაციით ამერიკა პანდორას ყუთს გახსნის. შემდეგი იქნება ირანი, საუდის არაბეთში რეჟიმის შეცვლა... საბოლოო მიზანი კი ჩინეთია. ჩემთვის დღეს აბსოლუტურად ცხადია, რომ აშშ-ს სტრატეგიული ამოცანაა არა ერაყი და ირანი, არამედ რუსეთი - ჩინეთთან დასაპირისპირებლად. მოსკოვი, როგორც ჩანს, საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას სათანადოდ არ აფასებს ან ვერ იაზრებს - საქართველო დღეს უკრაინაზე ძვირფასია - რუსეთი სწორედ ამ ქვეყნით გადის ირანსა და სომხეთში. თუ კრემლი დღეს დადებით პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს, საქართველო მისი გავლენის სფეროში დარჩება და სტამბოლის ხელშეკრულების დენონსაციასაც მოახდენს, რადგანაც ეს ხელშეკრულება საფუძველშივე მიუღებელია რუსეთისათვის.

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციით, აშშ, რუსეთის ზურგში მოქცეული, გააგრძელებს დაწყებულ ტერიტორიულ დემონტაჟს. სტრატეგიული თვალსაზრისით, აშშ დაინტერესებული არ არის ევრაზიის კონტინენტზე რუსეთის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, არსებობით. ამიტომ მართებდა რუსეთს მეტი სიფრთხილე თბილისთან მიმართებაში. მოსკოვს დღეს არ აღმოაჩნდა საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა საქართველოში. როცა, ისტორიული მეზობლის სახით, მოკავშირე შეეძლო ჰყოლოდა, მან ამ მეზობლის დაბომბვა გადაწყვიტა - ასე კი პოლიტიკაში არ იქცევიან. ეს იყო რუსეთის დიდი დიპლომატიური მარცხი. საპარლამენტო ასამბლეის კრიტიკა, აშშ-ს მკაცრი განცხადებები საერთაშორისო არენაზე რუსეთის მორიგი დამცირება იყო. რუსეთის ხელმძღვანელობის პოზიცია, დღეიდან მაინც, საქართველოსთან კეთილმეზობლობის შენარჩუნებაში უნდა გამოიხატოს, თუკი ამას შეძლებენ.

**- მოსკოვი ხშირად ახსენებს თბილისს საქართველოს ტერიტორიაზე ახალი პოტენციური ეთნოკონფლიქტების გაჩენის საფრთხეს. როგორ ფიქრობთ, ამისათვის ჯავახეთსაც გამოიყენებენ?**

- სომხეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებისათვის, უპრიანი იქნებოდა, საქართველოს ამ რეგიონისათვის ფორმალური ავტონომია მიენიჭებინა - იგი ასეთი სახით დარჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო ჯავახეთის მოსახლეობა თავს დაცულად იგრძნობდა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლება დღეს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების უდიდეს ნაწილს ვერ აკონტროლებს. რუსეთს კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სომხეთზე გასასვლელი სჭირდება.

**- ე.ი. კიდევ ერთი ავტონომიის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, არავინ იცის, დაემორჩილება თუ არა ცენტრს?**

- თუკი შეიძლება იყოს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიები, რა დააშავა ჯავახეთმა? დაუფიქრდით: საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილი ეს ავტონომია გვიხსნიდა რეგიონში სეპარატიზმის გავრცელებისაგან, იქ მცხოვრებთ მისცემდა ხვალინდელი დღის რწმენას. ჩემი აზრით, ახალი პოლიტიკური კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია. ამაში არც მოსკოვია დაინტერესებული. -

**- თუ თბილისი არ წავა საკუთარ ტერიტორიაზე სომხური ავტონომიის შექმნაზე?**

- შეხედეთ: დღეს ევროპა ერთიანდება რეგიონთა ევროპად და არა - სახელმწიფოთა ევროპად. მე აქ პრობლემას ვერ ვხედავ, გარდა ერთისა: თუკი ჯავახეთში თბილისის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ძირეული მოსახლეობის შევიწროება არ მოჰყვა, რასაც ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანში, ნახჩევანში, ყარაბაღში. გასათვალისწინებელია მესხეთელი თურქების მექანიზმის ამოქმედებაც. ამ რეგიონში მათი ჩასახლება უთუოდ გააჩენს დაძაბულობის მორიგ კერას, რაც კატასტროფა იქნება ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობისა და საქართველო-სომხეთის მომავალი ურთიერთობებისთვის.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

www.24hours.ge 24 B

# "ვიყოთ ისეთები, როგორიც იყო ჩე!"

## ავანგარდისტი რევოლუციონერის ამაღლებული და ტრაგიკული ბედი

*ერნესტო ჩე გევარას გარდაცვალებიდან 35 წელი გავიდა. ის, დიდი ხანია, სიმბოლოდ და მოწოდებად იქცა, ვისაც არ ეზარება, ყველა იყენებს – MTV, რომლის ტრანსლაციებშიც ხშირად გაიელვებს ხოლმე კომანდანტეს სახით დამშვენებული მაისურები, სტუდენტები, რომლებიც მხოლოდ მათთვის გასაგები ლოგიკით დემონსტრაციებზე ჩესა და მაოს დროშებს აფრიალებენ... ლამაზი ბიჭი იყო ჩე გევარა.*


ერნესტო ჩე გევარა

1967 წლის შემოდგომაზე, ბოლივიაში, მდინარე ნიანკაუასუს ხეობაში, ცენტრალური სადაზვევო სამსახურის ანტიპარტიზანული ოპერაციების ექსპერტების ხელმძღვანელობით მოქმედმა სამთავრობო ჯარებმა დაამარცხა პაწაწინა რაზმი, რომელსაც ლეგენდარული კუბელი რევოლუციონერი, ერნესტო ჩე გევარა ხელმძღვანელობდა.

ბრძოლის მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, ღარიბი სოფლის, ლა-იგერას სკოლაში, ცსს-ს ბრძანებით, ტყვედ ჩავარდნილი ჩე გევარა მხეცურად იქნა მოკლული. ასე დასრულდა მისი ხანმოკლე, თავდადებული ცხოვრება.

მაშინ ჩე გევარას დაღუპვის ცნობამ მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო. ჩეს სიკვდილი წარმოუდგენელი იყო, და როცა 15 ოქტომბერს ფიდელ კასტრომ ამის შესახებ ოფიციალური განაცხადი გააკეთა, რისხვის ტალღამ მრავალ ქვეყანას გადაუარა. კინოქრონიკებმა შემოგვინახა ახალგაზრდული დემონსტრაციებისა და ამერიკულ წარმომადგენლობებზე თავდასხმის კადრები, რომლებიც ოდნავ წარმოდგენას მაინც გვიქმნის იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმხანად, როგორ ემშვიდობებოდა მსოფლიო თავისუფლების სიმბოლოს – კომანდანტე ჩეს.

ჩემ ცნება "რევოლუციონერი" არნახულ სიმაღლეზე – მორალური სიდიადის დონეზე აიყვანა. 1968 წლის მეამბოხე ახალგაზრდობის ცნობიერებაზე მისი გავლენის შესახებ აღარ ვილაპარაკებთ – ამ თემას უამრავი პუბლიკაცია მიეძღვნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩე გევარასა და იესო ქრისტეს შედარება საყოველთაოდ მიღებული თემა იყო. ჰყვებიან, რომ ჩეს და მისი მეგობრების მკვლელები ისევე დაიწყევლენ, როგორც იუდა, ჰეროდე და პილატე. მისი გამცემი გლეხი ორი წლის შემდეგ მოკლეს: ტყვია სახეში მოხვდა; კაპიტანი, რომელმაც ჯალათობისთვის მაიორის წოდება მიიღო, გაგიჟდა; მოკლეს ოფიცერი, რომელიც დატყვევებულ ჩეს ყარაულობდა; ბოლივიის კონსულად მივლენილ ერთ-ერთ მკვლელს ტყვია ჰამბურგში მიეწია; პოდპოლკოვნიკს, რომელიც უშულოდ აწამებდა ჩეს, თავადაც დაკითხვის დროს ამოხდა წამებით სული...

წელს კი კუბამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა ერნესტო ჩე გევარას გარდაცვალების წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით სამშაბათს 135 კუბელი მოსწავლე პიონერი გახდა: "პიონერებო, ვიცხოვროთ კომუნიზმისთვის - ასეთი იყო ჩე!"

მთავარი ცერემონია, რომელსაც 30 ათასზე მეტი ადამიანი ესწრებოდა, ქალაქ სანტა-კლარაში გაიმართა. სწორედ აქაა დაკრძალული "ლეგენდარული პარტიზანი", მისი ნეშტი აქაურ მავზოლეუმში ბოლივიიდან გადმოასვენეს.

P.S. იცით, რას ნიშნავს "ჩე"? ფაქტობრივად, არაფერს. ენერგიული ლათინოამერიკული შორისდებულია, რომელიც, კონტექსტიდან და ინტონაციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოხატავდეს სიხარულს, გაოცებას, ტკივილს... ყველაფერს, რაც გაგიხარდებათ.

# ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა

*ფრანკფურტი წელს წიგნის მოყვარულთა მექად უკვე 54-ჯერ იქცევა. გუშინ, 9 ოქტომბერს იქ "Frankfurter Buchmesse"-ს სახელით წიგნის მსოფლიოში ცნობილი უდიდესი ბაზრობა გაიხსნა, რომელიც 14 ოქტომბრამდე გასტანს.*

ნინო ციხცაძე

ამ წელს ფრანკფურტის ბაზრობა 110 ქვეყნიდან ჩამოსულ 6300 გამოფენის მონაწილესა და დაახლოებით 250.000 სტუმარს უმასპინძლებს. წლევანდელი წლის მთავარი სტუმარი ლიტვაა, ამჯერად გამოფენა განსაკუთრებით ამ ქვეყნის ოცდაათი თანამედროვე ავტორის წიგნების პროპაგანდასა და გავრცელებაზე იზრუნებს.

2002 წლის ბაზრობის ფართობი 174.000 კვადრატულ მეტრს დაფარავს, რაც წინა წლების მასშტაბებს ცოტათი ჩამოუვარდება. თუმცა, ამ წელს მასშტაბების შემცირება მხოლოდ ბაზრობის ფართობს არ შეხებია. როგორც გერმანული პრესა აღნიშნავს, ამ ბოლო დროს მრეწველობასა და მედიაში გამეფებული ერთგვარი უძრაობა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობასაც დაეტყო. წიგნის გამოფენაზე მონაწილეობის მსურველთა რიცხი საშუალოდ 5,3% შემცირდა, გერმანელ გამომცემელთა შორის კი ეს მაჩვენებელი 15% იზრდება. სპეციალიზირებული ლიტერატურის სფეროდან წელს 141 გამომცემლობით ნაკლებმა, ანუ წინა წლებთან შედარებით 7% ნაკლებმა მსურველმა გამოთქვა გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი.


ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, 2002 წლის გამოფენას თავისი განსაკუთრებული სიახლეც ახლავს - გლობალიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი კონგრესი "Frankfurt Futura Mundi". ამ კონგრესზე სხვადასხვა ქვეყნის ინტელექტუალები გლობალურ ღირებულებათა სისტემებზე, კულტურულ იდენტობათა პრობლემაზე, ძალადობისა და ბიოტექნოლოგიების საკითხებზე ისაუბრებენ.

წლევანდელ წელს წიგნების ელექტრონული ვერსიები გამომცემელთა თაროებზე ტრადიციულად წიგნების გვერდით იქნება განლაგებული. მომავალი წლისთვის კი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორი, ბატონი ნოიმანი მოსასმენი წიგნების, CD-ROM-ებისა და ინტერნეტული პუბლიკაციების სხვა ფორმით პრეზენტირებას აპირებს.

ბატონი ნოიმანი გამოფენის მონაწილე გამომცემელთა მხარდასაჭერად და ჩამოსულ სტუმართა რიცხვის შესანარჩუნებლად ფრანკფურტის სასტუმროთა მეპატრონეებს მოუწოდებს თავიანთ მარკეტინგულ პოლიტიკას გადახედონ. ის თვლის, რომ გამოფენის დღეებში სასტუმროების მიერ დაწესებული გადასახადი - ღამეში 450 ევრო - უბრალოდ აბსურდული თანხაა. მითუმეტეს, რომ ბევრი სასტუმრო მსურველებს ადგილების დაჯავშნას გამოფენის მთელი პერიოდის მანძილზე აიძულებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დღე აპირებს სტუმარი ფრანკფურტში რეალურად დარჩენას. ხანდახან უცხოელისთვის უფრო მოსახერხებელია ყოველდღე პარიზიდან ან ლონდონიდან გადმოფრინდეს, ვიდრე ღამე ფრანკფურტში გაათიოს. მაგრამ, მიუხედავად ამ "მცირე" დისკომფორტისა, ფრანკფურტის წიგნის დიდი გამოფენა-ბაზრობა მაინც რჩება და იმედია ყოველთვის დარჩება წიგნის მოყვარულთა ნამდვილ დღესასწაულად.

## სპორტი

# ქართულ-რუსული დუელი დაიწყო

*გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მინი-ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩით დაიწყო დიდი ქართულ-რუსული საბურთაო დაპირისპირება, რომელიც 4 დღეს გასტანს. დაპირისპირების პირველ შეხვედრაში, მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობა აშკარად არ იყო ქართველების მხარეს, ჩვენმა ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რუსები ორი ქვეყნის ამ სპორტულ მინი-დუელში არ დაწინაურებულიყვნენ. და, რაც მთავარია, საწადელს მიაღწიეს კიდეც.*

მიხეილ აბაიშვილი


შეტევაზეა "იბერია 2000"

"იბერია 2000"-ს, რომელიც რუსეთის ჩემპიონ "ნორილსკ ნიკელთან" დაპირისპირებაში წინასწარ აუტსაიდერად იყო მიჩნეული, ამ გადამწყვეტი შეხვედრის წინ, ყვითელი ბარათების გამო, ორი წამყვანი ფეხბურთელი, დავით სოლოღაშვილი და გოჩა ჩიქოვანი გამოაკლდა. მიუხედავად ამისა, რაგბიში და დიდ ფეხბურთში საქართველოს ნაკრები გუნდების სპორტსმენებს აჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა იბრძოლო მოედანზე სპორტული, გნებავთ, ეროვნული ღირსების დასაცავად.

"ნორილსკ ნიკელი" ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, გასულ სეზონში ნორილსკის მინი-ფეხბურთელებმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს ევროპის მინი-ფეხბურთის ისეთ აღიარებულ ლიდერს, როგორიცაა მოსკოვის "დინა". "დინამ" კი, მოგეხსენებათ, ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგაც კი მოიგო.

რაც შეეხება წინასამატჩო სიტუაციას, იმისათვის, რომ ქართულ გუნდს შემდეგ ეტაპზე გაეღწია, პრაქტიკულად უტოპიური ამოცანა უნდა გადაეჭრა - "ნორილსკისთვის" 12-ბურთიანი უპირატესობით მოეგო. თუმცა, სატურნირო ბრძოლაზე უფრო ამ შეხვედრას ინტრიგას ზემოთხსენებული ქარიზმა მატებდა.

გაგრძელება B7 გვერდზე

# ერთი დღე ბორჯღალოსნებთან

*საგურამოს სტადიონი ოთხი დღით საქართველოს მორაგბეთა ნაკრების განკარგულებაში გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველი მორაგბეები რუსებთან შესახვედრად მოემზადებიან. გუშინ "ბორჯღალოსნებმა" პირველი ვარჯიში ჩაატარეს.*

პაატა თოთაძე

ტიერი რუდილმა უკანახაზელები მთლიანობაში ნახევარი საათით დატვირთა და ეს ვარჯიში 15 წუთიან მონაკვეთებად დაჰყო (თავსა და ბოლოში). რუდილის შემდეგ ბიჭები კლოდ სორელმა ჩაიბარა, დაახლოებით ათი წუთი ყველა ერთად ავარჯიშა და შემდეგ გუნდი ორად გაყო. მორკინალები თავად დაიტოვა, სამმეოთხედელები კი პატრიკ ფორის ჩააბარა.

თავის მხრივ, ფორიმაც ორად გაყო მის განკარგულებაში მყოფი 12 მორაგბე. მთელი ვარჯიშის განმავლობაში ორი ექვსეული ერთმანეთს ეჯიბრებოდა - ვინ უშეცდომოდ შეძლებდა ერთმანეთისთვის ათი პასის მიცემას. ამ ვარჯიშების ნაირსახეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ თავდაპირველად მობურთალებს ერთმანეთის შებოჭვის უფლება არ ჰქონდათ, შემდეგ ეს უფლება მიეცათ, ბოლოს კი მორაგბეებს გადაცემები ცალი ხელით უნდა შეესრულებინათ. ამას რომ მორჩნენ, ფორიმ მოედანზე ოთხი კვადრატი გააკეთა. ვარჯიშის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ


საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში დაიწყო

მორაგბეს უფლება არ ჰქონდა, იმავე კვადრატში მყოფი თანაგუნდელისთვის გადაეცა ბურთი.

იმ ერთი საათის განმავლობაში, სანამ უკანახაზელები ფორის მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ, გუჯა იოვაძე მოედანს წრეებს უვლიდა - მას საფრანგეთში უტკენია ფეხი და ამიტომ სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. მცირე ტრავმა აქვს დავით ბოლღაშვილსაც, თუმცა, იმედია, რუსეთთან მატჩამდე ორივე სრულ მზადყოფნაში იქნება.

კლოდ სორელი მორკინალებს მოედნის მეორე ნახევარზე ავარჯიშებდა. გუშინ მორაგბეებმა, ძირითადად, აუტში ბურთის მოგებისა და შეტევისა თუ დაცვის ელემენტები დახვეწეს.

ეს ყველაფერი პირველის ნახევრამდე გაგრძელდა. მერე კი სორელმა შეგირდები დასასვენებლად მცხეთის გზას გაუყენა და საღამოს ოთხ საათზე მეორედ ავარჯიშა. ასე გაგრძელდება კვირამდე, ანუ რუსეთის ნაკრებთან შეხვედრამდე.

# ბორჯომი მაია აზარაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლებს

*მაია აზარაშვილს მძლეოსნობის სამყაროში კარგად იცნობენ. სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, რომელიც უკვე ათი წელია, გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თავისი სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზაციული საკითხებითაა დაკავებული. თუმცა, თვითონ ამ საკითხს მოკრძალებულად უყურებს, რადგან მიაჩნია: უმჯობესი იქნებოდა, საერთაშორისო ტურნირი საქართველოს საუკუნის სპორტსმენის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის სახელს ატარებდეს. ახლო მომავალში კი, როგორც აზარაშვილმა გვითხრა, ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ სანეევისა და სხვათა სახელობის ტურნირებიც გაიმართოს. ამას იმსახურებენ ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე, ნინო დუმბაძე....*

გიგა გურასაშვილი

ტურნირი ერთდღიანია და მას 13 ოქტომბერს ბორჯომის პლატო უმასპინძლებს. ასპარეზობა გაიმართება ექვს კილომეტრზე კროსში. მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანელი, სომეხი, გერმანელი, რუსი, ტანზანიელი, კენიელი სპორტსმენები. თუ რა ძალას წარმოადგენენ კენიელები, ვფიქრობთ, ამის შეხსენება არავის სჭირდება. აფრიკელი სპორტსმენები ყოველთვის პრიზიორთა შორის არიან, განსაკუთრებით, გრძელ მანძილებზე.

"შეიძლებოდა, მეტიც მოგვეწვია, მით უმეტეს, ჩამოსვლა ბევრს სურდა, მაგრამ მწირი ფინანსების გამო უარი შევუთვალეთ, - გვეუბნება საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი". – საქმე ის არის, რომ სპორტსმენთა მგზავრობა, დაბინავება, კვება ჩვენ ვიკისრეთ. ამიტომ მხოლოდ 25 სპორტსმენის მასპინძლობის საშუალება გვაქვს, თუმცა, გამორიცხული არ არის, ამ დღეებში მათი რაოდენობა გაიზარდოს. საპრიზო ფონდი, რომელიც პრიზიორთათვისაა დაწესებული ("ოქრო", "ვერცხლი", "ბრინჯაო" - შესაბამისად, 500, 300 და 200 დოლარი) არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სპორტსმენები საკუთარი ხარჯით გვეწვიონ. საქართველოდან შვიდი სპორტსმენი გავა სარბიელზე. აქედან სამი ქალია და ოთხი ვაჟი. გვინდა, მომავალში საპრიზო ფონდი გავზარდოთ. ამის განხორციელების შემთხვევაში უკვე აღარ იქნება იმის აუცილებლობა, რომ მათ ყველა ეს პირობა შესთავაზო. იმედი გვაქვს, ტურნირის წარმატებით ჩატარების შემდეგ სპონსორებიც დაინტერესდებიან. რომ არა ჩვენი ფედერაცია, რომელმაც ძირითადი სახსრები მოიძია, ან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ოლიმპიური კომიტეტი და "ბორჯომის მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე, ალბათ, ყველა მათგანს ვერ მოვიწვევდით. ცალკე საუბრის თემაა აგარის შაქრის ქარხანა. მოგეხსენებათ, ამ ქარხნის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელიცაა. ასე რომ, ჭიდაობაც მხარში უდგას მძლეოსნობას.

გაგრძელება B7 გვერდზე


მაია აზარაშვილი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ევროისტორია B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## ქართული წარჩინებული გვარების გენეალოგიური სერიიდან

გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. გამომცემლობა "არტანუჯმა" ახალი სერიის, "ქართული წარჩინებული გვარების" გამოცემა დაიწყო. დასაწყისისთვის გამომცემლებმა ჭავჭავაძეების გვარი შეარჩიეს. წიგნის ავტორია ეროვნული ბიბლიოთეკის გენეალოგიური კვლევის ცენტრის უფროსი, იური ჩიქოვანი.

1998 წელს მოსკოვში გამოვიდა სერია სახელწოდებით Дворянские роды Российской империи, რომლის მეოთხე ტომი ქართულ ფეოდალურ გვარებს მიეძღვნა. სამწუხაროდ, იური ჩიქოვანის მიწოდებული მასალები, მათ შორის, თავადი ჭავჭავაძეების შესახებაც, იმის გარდა, რომ მნიშვნელოვნად შეკვეცილი სახით გავიდა, გაიპარა მცირე უზუსტობები. ამჯერად, "არტანუჯის" გამოცემული წიგნი, ესაა ჭავჭავაძეების გენეალოგიის კვლევის შედეგების პირველი, და რაც მთავარია, სადღეისოდ სრულყოფილი პუბლიკაცია. ნაშრომში გენეალოგიურ ნუსხებთა ერთად მოცემულია იოსებ ბიჭიკაშვილის ისტორიული ნარკვევი თავად ჭავჭავაძეთა საგვარეულოს შესახებ.

ახალი სერიის დაბადება გუშინ ქართველი მეცნიერების საკმაოდ დიდმა ნაწილმა აღნიშნა. ბევრი ითქვა ქართული თავად-აზნაურული წარმოშობის გვარებსა და მათ მნიშვნელობაზე. "საქართველოს სიძლიერე და კულტურული განვითარება ძირითადად ამ გვარებზე იდგა. მისასალმებელი და სასიხარულოა, რომ "არტანუჯი" სხვა საგვარეულო ისტორიებსაც ამზადებს", - აღნიშნა ისტორიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ. "მხოლოდ ილიაც რომ მოეცათ ჭავჭავაძეებს, ჩვენთვის მაინც ხელით საგოგმანებელი გვარი იქნებოდა", - თქვა თავადმა კოტე ჩოლოყაშვილმა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სამეფო და თავად-აზნაურული წარმოშობის საგვარეულოს: ბაგრატიონების, ჩოლოყაშვილების, ფალავებისა თუ შერვაშიძეების წარმომადგენლები. ამჟამად გამოსაცემად მზადდება წიგნები აბაშიძეების, მიქელაძების, ჩხეიძეების, მხეიძეებისა და ორბელიანების შესახებ.

## კალენდარი

### 10 ოქტომბერი

"კაცი აბსოლუტის ძიებაში", - ჟან-პოლ სარტრმა შვეიცარელი ალბერტო ჯაკომეტი პირველივე შეხვედრისას ასე შეაფასა. მათ ერთმანეთი 1939 წელს კაფე "დე ფლორში" გაიცნეს. სარტრი მოქანდაკესთან საუბრით მოიხიბლა და რამდენიმე წლის შემდეგ ჯაკომეტიზე დაწერილ ესსეს, ასეც უწოდა: "აბსოლუტის ძიებაში".

ტანდაბალი კაცი, ხვეული, აბურდული თმით, თავით ფეხებამდე პლასტელინით დათხვრილი, გულღია, მაგრამ მაინც საკუთარ სამყაროში ჩაკეტილი – ასეთად იცნობდნენ მისი თანამედროვენი ალბერტო ჯაკომეტის, რომელსაც სიცოცხლეშივე არგუნეს მეოცე საუკუნის ქანდაკების ერთ-ერთი მამამთავრის ტიტული.

აბსოლუტის ძიება (ბუნებრივია, ჯაკომეტი ამ შეუცნობელს ქვაში ეძებდა) ძალიან ადრე დაიწყო. ოთხი წლის ბავშვი ისეთ დეტალებს უკვირდებოდა, როგორსაც ზოგი უფროსიც ვერ ამჩნევს – ქვების იდუმალება, ხეების სილამაზე და სიმშვიდე. ხოლო, "გამოწვევა" ქვებისგან მან მაშინ მიიღო, როდესაც შვიდი წლისა მამამ სოფლის მახლობლად, ბუნებრივად წარმოქმნილ უზარმაზარ გამოქვაბულში შეიყვანა. იმ დღის შემდეგ ჯაკომეტი და ქვა განუყოფელ მთლიანობად იქცნენ. იღვიძებდა და ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფი, თვალით ქვას ეძებდა. ამ პერიოდშივე შეიმუშავა სივრცის და დისტანციის თავისებური გათვლა. ხსენებულ გამოქვაბულს საათობით, ჯერ შინიდან, შორ მანძილზე უკვირდებოდა, შემდეგ გზად მიმავალი (დისტანცია თანდათან მცირდებოდა), დაბოლოს, ახლოდან.

მიუხედავად ქვის ასეთი სიყვარულისა, პირველი მნიშვნელოვანი ქანდაკება – "ქალი კოვზი" 28 წლის ასაკში შექმნა. მას მოჰყვა "მზერა" და "ფიგურა", რომლებიც პარიზის ავანგარდულ წრეებში უდავო სენსაციად იქცა. ფაქტობრივად, ამ ქანდაკებების წყალობით მოხვდა ჯაკომეტი ანდრე მასონის, ჰანს არპის, ხუან მიროს და პაბლო პიკასოს წრეში. 1930 წელს მოწყობილ გამოფენაზე "მირო-არპი-ჯაკომეტი" მან წარადგინა ქანდაკება Suspended Ball, რომელმაც მორიგი ფურორი გამოიწვია. გამოფენის დასრულებისთანავე, მოქანდაკესთან ანდრე ბრეტონი მივიდა და სთხოვა, სიურეალისტების წრეს შეერთებოდა. სწორედ სიურეალისტურ პერიოდს უკავშირდება ჯაკომეტის პირველი პერსონალური გამოფენა, მაგრამ მათ წრეში დიდხანს მაინც ვერ გაძლო. მალევე შექმნა რამდენიმე რეალისტური ქანდაკება და ბრეტონის სალონის კარი საბოლოოოდ გამოიჯახუნა.

ერთი სიტყვით, აბსოლუტის ძიება გადავიდა ახალ ფაზაში, რომელიც ჯაკომეტის ყველასგან განსხვავებული სტილის შექმნით დასრულდა – გამაღიზიანებლად წვრილი და გრძელი სხეულები, თითქოს, არაფრის მთქმელი, მაგრამ მაინც ძალიან მეტყველი. ჯაკომეტის ქალები, ძირითადად, იდგნენ, კაცებს კი ის ყოველთვის მოძრაობაში აქანდაკებდა. კრიტიკოსები ამ უცნაურად დაწვრილებულ სხეულებზე ამბობდნენ: "რაც უნდა მიუახლოვდე მათ, დისტანციას მაინც ვერ მოსპობ. ამ ქანდაკებებს და მნახველს შორის ყოველთვის რჩება მანძილი, რომელსაც ვერაფერს უხერხებ".

ამ დაუძლეველი დისტანციის მიზეზი თავად ჯაკომეტის ფილოსოფიაა. ის თვითონ ვერ უმკლავდებოდა საკუთარ თავსა და მოდელს შორის მანძილს. რაც უფრო მეტად ცდილობდა მის აღქმას, მით უფრო შორდებოდა. ერთხელ ასეთი ფაქტიც მოხდა: ჯაკომეტის მეუღლე ანეტი მთელი დღის მანძილზე პოზიორობდა მისთვის. საღამოს ცოლქმარი კაფეში დასხდა და მაშინ ჯაკომეტიმ ანეტს უთხრა: "მთელი დღეა, არ მინახიხარ, რა კარგია, რომ კიდევ შეგხვდი". ანუ, მუშაობის დროს იგი მოდელისგან სრულიად გაუცხოებული ხდებოდა. მოდელთან კვლავ დაახლოებას, მის თავიდან "აღმოჩენას" ჯაკომეტი თავის ღარიბულ სახელოსნოში ხანგრძლივი მუშაობით ცდილობდა. ეს პროცესი მოქანდაკისთვის ოცნების ასრულებასა და ხიფათებით სავსე მოგზაურობას ჰგავდა. ჯაკომეტი ამბობდა კიდეც: "ბოლო ხანს, იმ საოცარი გრძნობის ხელახლა განსაცდელად ვმუშაობ, რასაც შემოქმედებითი პროცესი მანიჭებს"...

შემდეგ ჯაკომეტის ეს სიწვრილეც მობეზრდა და ძიების პროცესი სამგანზომილებიანი ბიუსტების შექმნით განაგრძო. თუმცა, მისი "შემოქმედებითი მოგზაურობა" არც ამით დასრულებულა. ბოლო წლებში შექმნილი ქანდაკებები, მაძიებელი და შორსმჭვრეტელი თვალებით, იმაზე მეტყველებდა, რომ ჯაკომეტი აბსოლუტს კვლავაც ეძებდა.

1966 წელს ყველამ გაიგო, რომ ჯაკომეტი ავად იყო. შესაძლოა, ამიტომაც აჩქარდა საფრანგეთის ხელისუფლება და მოქანდაკეს, სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე, ნაციონალური ხელოვნების გრანპრი მიანიჭა. ბერნის უნივერსიტეტში კი ის საპატიო დოქტორად აირჩიეს. ჯაკომეტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს თავად შვეიცარიის პრეზიდენტი დაესწრო. ცოტა უფრო ადრე კი პიერ მატისმა (ჯაკომეტის ერთგულმა საქმიანმა პარტნიორმა და დილერმა) ნიუ იორკში მისი ნახატების პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო.

ალბერტო ჯაკომეტის დღეს 101 წელი უსრულდება. დაიბადა 1901 წლის 10 ოქტომბერს (გარდაიცვალა 1966 წლის 11 იანვარს). დაკრძალულია მშობლიურ ქალაქ ბორგონოვოში. საფლავს ამშვენებს მისი ბოლო ნამუშევარი - ელი ლოტარის სკულპტურა, რომელიც მისმა ძმამ, ჯაკომეტის სიკვდილიდან მალევე, ბრინჯაოსგან ჩამოასხა.





# ერთი თანამემამულის თავგადასავალი

### ირაკლი იმერლიშვილის ახალი შანსი

*ჩვენი გმირი ახალგაზრდა კაცია. საქართველოში ის ჯერ-ჯერობით სახელგანთქმული არაა. თუკი "მხატვარ იმერლიშვილს" იკითხავთ, ნებისმიერი ქართველი ხელოვნების მოყვარული მამამისის, თეატრის მხატვრის, უშანგი იმერლიშვილის შესახებ გიამბობთ. არცაა გასაკვირი: ირაკლი იმერლიშვილს საქართველოში თითქმის არ უმუშავია. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ერთი ხანი ბათუმში საქმიანობდა, თბილისშიც რამდენიმე სპექტაკლის გაფორმებაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამ პერიოდს თავად ირაკლი დიდად ნაყოფიერად არ თვლის. თუმცა, საუბრის დროს მან მრავალჯერ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ასეთი სწრაფი პროფესიული წინსვლა, მნიშვნელოვანწილად,სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და, შესაბამისად, ხატვა იცის.*



ირაკლი იმერლიშვილი



საცხოვრებელი სახლი ბოსტონში: ესკიზი და დასრულებული სახე



ანა კორძაია-სამადაშვილი

ახალგაზრდა ხელოვანის პირველი დიდი წარმატება "ქართული სახლი" იყო. როდესაც ატლანტაში ოლიმპიადა ტარდებოდა, ქართველებს, ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს, საკმაოდ დიდი სივრცე დაეთმოთ, რომელშიც ისინი თავიანთი მხარის წარმოჩენას შეძლებდნენ. "ქართული სახლის" ერთ-ერთი მასპინძელი ირაკლიც იყო. ყველაფერი, რითაც კი ჩვენი სამშობლოს ღირსეულად წარდგენა შეიძლებოდა, ამ ოთახში იყო თავმოყრილი: ვიდეო და ფოტომასალა, წიგნები, სუვენირები, და, რაც მთავარია, ქართული სტუმართმოყვარეობა.

როგორც ჩანს, ირაკლიმ საუკეთესოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რადგან სამშობლოში დაბრუნებულს სულ მოკლე ხანში ატლანტიდან მოწვევა მოუვიდა. ოჯახი, რომელმაც ირაკლი მიიპატიჟა, მას, მისი თქმით, თან გადაჰყვა. ახალგაზრდა მხატვარს იმის საშუალება მიეცა, რომ ესწავლა და თავისი მომავალი საქმიანობის პრაქტიკულ მხარესაც გაცნობოდა – სულ მალე მუშაობის უფლება მიიღო და ატლანტაში ერთ-ერთი ყველაზე სოლიდური ფირმის, Niles Bolton Associates-ის თანამშრომელი გახდა.

აღნიშნული ფირმის საქმიანობა მრავალმხრივია: არქიტექტურა, ქალაქგეგმარება, ინტერიერი, ლანდშაფტის არქიტექტურა და სხვ. ირაკლიმ ბევრი ფოტოსურათი მაჩვენა, რომელზედაც მისი და მისი კოლეგების ნამუშევრებია გამოსახული: ფეშენებლური სახლები, რესტორნები, სასტუმროს ნომრები...

ფირმასთან თანამშრომლობით ირაკლი ძალიან კმაყოფილია. თუკი სხვა შემთხვევაში დიზაინერის პროფესიის ყველა ნიუანსში გასარკვევად მრავალ ორგანიზაციასთან მოუწევდა თანამშრომლობა, ახლა მთელი ამ ცოდნის შეძენა ერთგან შეუძლია.

Niles Bolton Associates-ისთვის კი ახალგაზრდა ქართველი შეუცვლელია. საქმე ის გახლავთ, რომ შეერთებულ შტატებში, სადაც თითოეული, თუნდაც საუკეთესო სპეციალისტი, მხოლოდ თავის ვიწრო სფეროში ერკვევა, მთლიანად კომპიუტერზეა დამოკიდებული და იშვიათად თუ შეუძლია თუნდაც სამგანზომილებიანი ნახატის შექმნა, ქართული სამხატვრო სკოლის საუკეთესო ტრადიციებზე გაზრდილი ირაკლი იმერლიშვილი ნამდვილი აღმოჩენაა: ის თანაბარი წარმატებით აკეთებს პირველად ესკიზებს – მოიხიბლება თუ არა მომხმარებელი, ეს, მოგეხსენებათ, მთლიანად მათ ხარისხზეა დამოკიდებული, - დეტალურ გეგმებს, და, თუ საჭირო იქნა, მოხუცთა სახლის მესვეურებსაც გააოცებს რეკორდულ ვადებში შესრულებული რომანტიკული კედლის მხატვრობით. ამ უკანასკნელი ნამუშევრისთვის ირაკლიმ ჯილდოც მიიღო და ჟურნალ "ატლანტას" მეშვეობით არამარტო არქიტექტორთა წრეში, არამედ უკვე მთელი ამერიკისთვისაც გახდა ცნობილი.

ირაკლიმ მიამბო, რომ რესტორნისა თუ ბარის ინტერიერი, რომელშიც თეატრის მხატვრობის ელემენტებია შეტანილი და თბილისელებისათვის უჩვეულო არაა, შეერთებულ შტატებში უცხო ხილია. ამიტომ ის ცდილობს, ეს ტენდენცია დანერგოს და ამჟამად, ნიმუშის სახით,მამამისისა და მირიან შველიძის ნამუშევრის, "მარკო პოლოს" ინტერიერის ფოტოები მიაქვს თან.

რამდენიმე წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ Niles Bolton Associates-ის ხელმძღვანელობა ქართველი მხატვრის მიმართ ნდობით გამსჭვალულიყო, და ახლახან, სულ რამდენიმე კვირის წინ, ირაკლი იმერლიშვილს ისეთი საქმე მიანდეს, როგორზეც, ალბათ, ყოველი არქიტექტორი და დიზაინერი იოცნებებდა:

როგორც ვიცით, ჩინეთში, პეკინში, ოლიმპიადა იგეგმება. საინტერესო ის გახლავთ, რომ ქალაქი შანხაი, რომლის მოსახლეობაც ფრიად პრაქტიკული ხალხია, საერთოდაც, და ამ დროისთვის ხომ განსაკუთრებით, ტურისტების მიზიდვას ცდილობს. ამისთვის მსოფლიო მასშტაბითაც უჩვეულოდ დიდი გაქანების პროექტი უნდა შემუშავდეს – ქალაქ შანხაიდან, მდინარის პირას, 47 კმ-ით დაცილებულ ტბამდე, გაშენდება დასასვენებელი ზონა, რომელიც ფეხით სიარულისა და ველოსიპედით მგზავრობის მოყვარულებისათვის ათასგვარი სიამოვნების წყარო გახდება. ძირითადი პირობები ისაა, რომ რამდენიმე ობიექტი, მათ შორის მთა, რომელიც ფრინველების გადაფრენითაა ცნობილი და ამის გამო ტურისტულ ღირსშესანიშნაობად ითვლება, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, და არქიტექტურული გადაწყვეტა ტრადიციულ-ჩინური არ უნდა იყოს.

საუკეთესო პროექტისათვის კონკურსში მონაწილეობს Niles Bolton Associates-იც, რომელმაც ეს საპასუხისმგებლო საქმე ირაკლი იმერლიშვილს მიანდო.

პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით და, ალბათ, კონკურენციის გამო, პროექტის ესკიზების გამოქვეყნება და დეტალური აღწერა ირაკლიმ მიზანშეწონილად არ ჩათვალა. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ის, რაც ვნახე, იყო უჩვეულო, ძალიან ლამაზი, მრავალფეროვანი და, რაც მთავარია, მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული. პირადად ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მდინარის ორ ნაპირზე გველივით გაწოლილმა ორანჟერეამ და უზარმაზარმა აკვარიუმმა – მისი თაღის ქვეშ გავლა-გამოვლა და წყალქვეშა სასწაულების ქვევიდან დათვალიერებაც შეიძლება!

გაიმარჯვებს თუ არა Niles Bolton Associates და შევძლებთ თუ არა იმის თქმას, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი არქიტექტურული პროექტის ავტორი ჩვენი თანამემამულეა, ამას ოქტომბრის შუა რიცხვებში შევიტყობთ. ჯერ-ჯერობით კი წარმატება ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს – სხვა თუ არაფერი, მისი გამარჯვება ხომ ჩვენი გამარჯვებაცაა...

# პირველად ინგლისში

### თბილისური "ემბრიონი" ფესტივალზე საუკეთესო როკ-ჯგუფად აღიარეს

*ქართულმა "ემბრიონმა" Oasis-ის სამშობლოში, მანჩესტერში, ფესტივალ In The City-ზე ფურორი მოახდინა. იმ დღეს ქართველი გოგონების გამოსვლა ფესტივალის ოცდახუთმა დელეგატმა უპრეცედენტოდ მიიჩნია. წარმატებული საკონცერტო გამოსვლების შემდეგ "ემბრიონი" განაღდებული კონტრაქტებით დაბრუნდა თბილისში. ამჟამად გოგონები თბილისური კონცერტისთვის ემზადებიან; თვის ბოლოს კი ისევ ინგლისი, ჩანაწერები, კონცერტები... თუმცა, სჯობს, თავიდან დავიწყოთ.*

ვერა ნეფარიძე

წარმოიდგინეთ სამი ქართველი, თინეიჯერი გოგონა, რომლებიც მძიმე, ხმაურიან როკს უკრავენ და რომლებსაც საქართველოშიც თითქმის არ იცნობენ, საკუთარ ჩანაწერებს ინგლისში აგზავნიან; მოულოდნელად ხვდებიან ფესტივალზე In The City. ეს ღონისძიება წელიწადში ერთადერთხელ იმართება და მთელი ინგლისის შოუ-ბიზნესის გეგმებს სწორედ აქ ეყრება საფუძველი; ამ ფესტივალის წყალობით, ყოველწლიურად რამდენიმე ჯგუფი თუ შემსრულებელი პროფესიონალ პროდიუსერებსა და მენეჯერებს უკავშირდება, რაც მათთვის სერიოზული მუსიკალური კარიერის დასაწყისს ნიშნავს.

"ემბრიონის" შემთხვევაშიც ასე მოხდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ დამწყები, ენერგიული მუსიკოსები გამოცდილმა კოლეგამ, Soft Eject-ის, ახლა უკვე ყოფილმა, წევრმა გია ქარჩხაძემ შეამჩნია და მათი პატრონობა გადაწყვიტა. რაც მთავარია, გია დარწმუნებული იყო, რომ გოგონებს აუცილებლად მოიწონებდნენ იქ, სადაც საჭიროა ("იქ", ანუ ინგლისში). დასავლეთის "ემბრიონით" დაინტერესება რეალური პერსპექტივად იქცა,როდესაც ჯგუფზე მზრუნველობის სურვილი ინგლისელ პროდიუსერს მარკ ტოლესაც გაუჩნდა (ამის შესახებ გაზეთი "24 საათი" წერდა). ამ ყველაფრის მიუხედავად, გია ქარჩხაძის შორს მიმავალი გეგმები და "ემბრიონის" ბრიტანულ მუსიკალურ ბაზარზე გასვლა მაინც გვაეჭვებდა - თუნდაც იმიტომ, რომ ძნელი წარმოსადგენი და დასაჯერებელი იყო, ინგლისში ქართველი თინეიჯერების მიერ შესრულებული მძიმე როკით დაინტერესებულიყვნენ. აქ შესრულების დონეს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მუსიკას, რომელიც ძალიან დაბერდა და ცხადია, ინგლისსაც, სადაც, ჩვენი წარმოდგენით, უამრავი ასეთი ჯგუფი უნდა არსებობდეს. სინამდვილეში ეს ასეც არის. ფესტივალის ორგანიზატორებმა წელს ხუთი ათასი განაცხადი მიიღეს და სამდღიან ფესტივალზე გამოსასვლელად ხუთასი ჯგუფი აარჩიეს; "ემბრიონის" წარმატებები საუკეთესოთა ორმოცდაათეულში მოხვედრიდან დაიწყო, რაც ფესტივალის ორგანიზატორების მხრიდან ერთგვარი მინიშნებაა ხმის ჩამწერი კომპანიების წარმომადგენლების მიმართ, რათა (იქაური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, დაათვალიერონ) სწორედ ამ შემსრულებლებსა თუ ჯგუფებს მიაქციონ ყურადღება.

იმ დღეს "ემბრიონის" გამოსვლას ფესტივალის ოცდახუთი დელეგატი ესწრებოდა. ქართველი თინეიჯერი გოგონების გამოსვლა, თურმე, ყველამ ერთხმად აღიარა საუკეთესოდ; მოგვიანებით, In The City-ის საუკეთესო ოთხი მონაწილის არაოფიციალური შერჩევისას, "ემბრიონი" ერთადერთი აღმოჩნდა, ვის გამოც ჟიურის წევრებს შორის უთანხმოება არ მომხდარა."ფაქტობრივად, უკვე პირველივე გამოსვლის შემდეგ, იმ საღამოსვე ინგლისის მთელმა ხმის ჩამწერი ინდუსტრიის სამყარომ გაიგო "ემბრიონის" სახელი. ეს მართლა "აფეთქება" იყო. "ამას ყოველი მხრიდან ძლიერი ინტერესი მოჰყვა, იყო ინტრიგებიც, როგორც ხდება ხოლმე", - გვიამბობს კმაყოფილი გია ქარჩხაძე. გიას სიტყვებს ემოციურობას ჰმატებს თავად გოგონების ბავშვური აღტაცებით მოყოლილი ამბავი, თუ როგორ იცნეს ისინი ლონდონის მეტროში. "მეტროში ერთ-ერთმა მგზავრმა მეორეს ჩვენზე მიუთითა და უთხრა, აი "ემბრიონის" გოგონებიო, - ისე შეგვრცხვა, ხმა აღარ ამოგვიღია, ვითომ არაფერი გაგვიგონია", - იხსენებს ნინო, ჯგუფის ვოკალისტი.

მანჩესტერის გარდა, "ემბრიონმა" კონცერტები გამართა ლივერპულის ლეგენდარულ კლუბ "კავერნასა" და ლონდონში; ჰქონდათ მიწვევები სხვადასხვა რადიოარხებზე (ამ დღეებში ლონდონის "რადიო 1"-მა "ემბრიონთან" ინტერვიუს ჩანაწერი გადასცა); მათ შესახებ მასალები გაჩნდა ინტერნეტში და დაიბეჭდა პერიოდულ პრესაშიც, თუმცა,"ემბრიონებისთვის" ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელ თუ მსხვილ მუსიკალურ კომპანიებთან გამართული საქმიანი მოლაპარაკებები. გოგონები არ ჩქარობენ და კონტრაქტების დეტალებზე ჯერ არ საუბრობენ; თვის ბოლომდე კარგად აწონდაწონიან შემოთავაზებებს, საუკეთესოს შეარჩევენ და ერთი ალბომის მასალით ისევ ინგლისში ჩავლენ კონტრაქტის გასაფორმებლად. მერე კი, წესით, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მუსიკალურ ინდუსტრიაშია მიღებული: ალბომის ჩაწერა, პრომოუშენი, ტურნეები... თუმცა, მანამდე "ემბრიონი" ჯერ ქართველმა მსმენელმა უნდა გაიცნოს კარგად. ჯგუფი გამგაზვრებამდე თბილისში კონცერტის გამართვას აპირებს.



"ემბრიონი" Take That-ის მარკ ოუენთან ერთად

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## სიკვდილის როკვა

შუა საუკუნეების პერიოდის ტიპიური მენტალობა სიკვდილს განიხილავდა მხოლოდ როგორც გადასვლას ერთი სამყაროდან მეორეში. მნიშვნელობა მხოლოდ იმას ჰქონდა, თუ სად მოხვდებოდა ადამიანი სიკვდილის შემდეგ, სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. ეზიარებოდა მისი სული საუკუნო ნეტარებას, თუ სამარადისო წარწყმედას. რეალური ღირებულება მხოლოდ ამ მოგზაურობის საბოლოო პუნქტს ჰქონდა. ასეთი განწყობა ჩვენთვის თუნდაც "ვეფხისტყაოსნიდანაა" ცნობილი. პოემაში მრავალი ადამიანის სიკვდილია ნახსენები, ზოგი მათგანი აღწერილი, მაგრამ პოემის გმირები არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებენ იმას, თუ როგორ მოკვდებიან, მთავარია სიკვდილის მორალური და არა ფიზიკური მხარე.

საუკუნეების განმავლობაში ევროპული ქრისტიანული კულტურა არანაირ ყურადღებას არ აქცევდა სიკვდილის ხილულ, ფიზიკურ გამოვლინებას. მდგომარეობა მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიცვალა, მას შემდეგ, რაც 1348 წლის შავმა ჭირმა ევროპის მოსახლეობის 35% იმსხვერპლა.

უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საშუალო ქალაქში, სადაც მოსახლეობა 20000 კაცი იყო, ყოველ შრომისუნარიან მამაკაცს ორი მიცვალებული უნდა დაესაფლავებინა. უზიარებლად დაღუპულთა წარმოუდგენელმა რაოდენობამ, ერთი მხრივ, პირველი სარწმუნოებრივი ეჭვი გამოიწვია ადამიანებში, მეორე მხრივ კი


*შარტრის პორტალი*

ღირებულება მიანიჭა თვით სიკვდილის პროცესს და მის ფიზიკურ ნიშნებს. სწორედ ამ დროიდან ჩნდება ევროპულ ხელოვნებაში ე. წ. "სიკვდილის როკვის" მოტივი: ბუნების წიაღში, ჩვეულებრივ, სასაფლაოზე სხვადასხვა ასაკისა და სოციალური წარმოშობის ადამიანები ფერხულში არიან ჩაბმულნი; მათთან ერთად კი აუცილებლად გამოსახულია სიკვდილიც ჩონჩხის სახით, რომელსაც ხელში ცელი ან ქვიშის საათი უჭირავს. ეს უკვე უბრალო გადასვლა არაა იმქვეუნიურ არსებობაში, ეს ადამიანის ულმობელი ამქვეყნიური ბედის ფიზიკური შეგრძნებაა.

## „საშინელი სამსჯავრო"

XI საუკუნეში, საფრანგეთის სამხრეთში, ლანგედოკში, ტაძრების მთავარი კარიბჭის თაღის, პორტალებზე გამოჩნდა "საშინელი სამსჯავროს" მოტივი. უფრო ადრე ამგვარი გამოსახულებები მხოლოდ ხელნაწერთა გაფორმებაში, მინიატურებში გვხვდება.


*ბოსხი, შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა*

ქრისტიანული, და რა თქმა უნდა, გოთური და რომანული სტილის ტაძარი თავისი არსით ქვეყნიერების მოდელს წარმოადგენს. ეს მოდელი არა მარტო სივრცული თვალსაზრისით ეძლევა მნახველს, არამედ უნდა ასახოს ქვეყნიერების ისტორია მისი გაჩენიდან დასასრულამდე. ისტორიის სივრცული განაწილება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო მიმართული, ამიტომ სამყაროს აღსასრულის გამოსახულება დასავლეთის მხარეს მდებარეობდა. მაგრამ კათოლიკურ ტაძრებში სწორედ აქედან შედიოდა მორწმუნე მრევლი, რომელიც ტაძართან მიახლოებისას იმწამსვე აღმოჩნდებოდა თავისი შესაძლო მარადიული ბედის თვალსაჩინო გამოსახულების წინაშე.

ქვისაგან გამოკვეთილი სამსჯავროს ცენტრს მთავარი მსაჯულის, იესო ქრისტეს შარავანდედით გარემოცული ფიგურა იკავებდა. მის გარშემო ოთხი სახარების სიმბოლო იყო გამოსახული: ანგელოსი, ლომი, ხარი და არწივი. ქრისტეს ფერხთით ჰორიზონტალურ რიგებადაა განლაგებული 24 მოხუცის ფიგურა, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებს ასახიერებენ. ეს ფიგურები ჩნდება დან-


*ჯოტო, საშინელი სამსჯავრო.*

ტე ალიგიერის "განსაწმენდელის" ბოლოსაც, რომელიც, როგორც ეტყობა, ამგვარი გამოსახულებებითაა შთაგონებული.

რელიეფის დანარჩენი ნაწილი უკავია მართალთა ნეტარებისა და წარწყმედილთა ტანჯვის გამოსახულებას. XII საუკუნიდან საშინელი სამსჯავროსა და განკითხვის გამოსახულება შეცვალა იესო ქრისტეს დიდებით მოსვლამ.

ამ დროიდან კათოლიკური ეკლესია მრევლთან ურთიერთობაში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა: სამარადისო ტანჯვის გამოსახვა ქრისტიანთა გონებაში უკურეაქციას იწვევდა. ევროპის გამრავლებულ მოსახლეობას აღარ უნდოდა იმის დაჯერება, რომ მათი უმრავლესობა ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, ეკლესიას კი არ უნდოდა დაეთმო ხალხზე ზემოქმედების ეს საშუალება.

კომპრომისის სახით წარმოიშვა განსაწმენდელის იდეა, რომელმაც საბოლოო გაფორმება მიიღო XIII საუკუნეში, უმაღლესი მხატვრული ასახვა კი დანტე ალიგიერის ქმნილებაში. განსაწმენდელი წარმოადგენს ადგილს, სადაც გარდაცვლილი ადამიანის სული დროებით ტანჯვას განიცდის ცხოვრების განმავლობაში ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად. ეს ტანჯვა შეიძლება შემცირდეს ან შემსუბუქდეს გარდაცვლილის ნათესავების ლოცვებით ან რომელიმე წმინდანის მეოხებით.

# თანაარსებობის ძნელი გზა

1215 წელს რომში გამართულმა ლატერანის IV საეკლესიო კრებამ დაგმო არბალეტი ამ იარაღის განსაკუთრებული მომაკვდინებელი ძალის გამო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს მეფე, დავით IV აღმაშენებელი პარასკეობით თბილისის მეჩეთში ისმენდა ქადაგებას, ანუ ხუტბას. ნიშნავს თუ არა პირველი, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში შეგნებული იყო სიცოცხლის უფლების პატივისცემა როგორც საზოგადოების არსებობის ძირითადი პირობა? ნიშნავს თუ არა მეორე, რომ ათასი წლის წინათ რელიგიური შემწყნარებლობა აღიარებული ღირებულება იყო? ორივე კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. პასუხი მაშინაც უარყოფითი იქნებოდა, ორ მაგალითზე გაცილებით მეტი რომ მოგვეყვანა. და თუმცა ერთის და მეორის აღიარებისთვის საკმაო საყრდენი მოიპოვება იმხანად უმაღლეს ავტორიტეტში, საღვთო წერილში, ისტორიული მოვლენების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს აღიარება ძალიან გვიან მოვიდა ძალიან მძიმე მსხვერპლის ფასად.

საუკუნეების განმავლობაში მწიფდებოდა დასავლური კულტურა და ცივილიზაცია ამ თითქოსდა თავისთავად გასაგები ღირებულებების მისაღებად. და ამ ქარცეცხლიან საუკუნეებზე მიანიშნებდა რუსი მოაზროვნე, **პეტრე ჩაადაევი** თავის "ფილოსოფიურ წერილებში":

**რამდენიც უნდა, იყიჟინოს ზედაპირულმა ფილოსოფიამ რელიგიური ომებისა და შეუწყნარებლობის მიერ დანთებული კოცონების გამო, — ჩვენ მხოლოდ შეიძლება შეგვშურდეს იმ ერებისა, რომლებიც თვალსაზრისთა ამ შეჯახებაში, ჭეშმარიტების დასაცავად ამ სისხლიან ბრძოლებში შეიქმნეს ცნებათა ისეთი სამყარო, რომლის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია ჩვენ, არაფერი რომ არა ვთქვათ სულითა და სხეულით იმ სამყაროში ჩასახლებაზე, თუმც კი ბევრს ვიქადნით.**

ცამდე მართალია ბატონი ჩაადაევი. ქვემოთ შევეცდებით ზედაპირულად მაინც ვაჩვენოთ ზედაპირული ფილოსოფიის მატარებელთ, რომ სულ უბრალო ჭეშმარიტებაც მუქთად არ ეძლევა ადამიანს და რომ სწორედ ესაა უზენაესი სამართალი.

## შუა საუკუნეები

მეორე ათასწლეულის ზღურბლზე ევროპაში წარმოიშვა ადამიანთა პოლიტიკური ერთობა, რომელიც რელიგიურ ერთიანობაზე იყო დამყარებული. საერო და საეკლესიო ხელისუფლება მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთიანი მიზნისაკენ მიმართული. ეს დოქტრინა სრულიად რეფლექსირებული იყო და შემდეგი ლათინური მაქსიმით გამოიხატებოდა: Ecclesiaam et imperium esse unum et idem — ეკლესია და იმპერია ერთი და იგივეა.

ეკლესიას უმართებულოდ მიაჩნდა წარმართთა მოსაქცევად ძალის გამოყენება. აქ მთავარი იყო წმიდა (მართლმადიდებელ ტრადიციაში ნეტარი) **ავგუსტინე ავრელიუსის** მიერ განცხადებული პრინციპი: credere homo non potest nisi volens — ადამიანს არ შეუძლია ირწმუნოს, თუ არ სურს. მაგრამ ამ თვალსაზრისს ისეთივე ბედი ეწია, როგორც არბალეტის სისასტიკის თაობაზე გამოტანილ განჩინებას. სინამდვილეში ძალას მრავალჯერ იყენებდნენ, მაგალითად, ესპანეთის ვესტგოთი მეფეები ებრაელთა წინააღმდეგ და, განსაკუთრებით, კარლოს დიდი საქსონიელების მოსაქცევად. მაგრამ საეკლესიო იერარქია, თუნდაც post factum, მაინც კიცხავდა ამგვარ ქმედებებს. მაგალითად, 866 წელს პაპი, **ნიკოლოზ I** ასე შეაგონებდა ბულგარეთის ძალზე თავგამოდებულ მეფეს: "ღმერთისთვის თავისთავადი თაყვანისცემაა სათნო, რადგანაც ძალის გამოყენება რომ ენებებინა, მის ყოვლისშემძლეობას წინ არაფერი დაუდგებოდა".

მაგრამ თვით ეკლესიაც მხარს უჭერდა ძალადობას ერეტიკოსთა წინააღმდეგ. იმ შორეულ დროში თავისუფლების გააზრება დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული იყო. XIII საუკუნის უდიდესი თეოლოგი და რელიგიური ავტორიტეტი, წმ. **თომა აკვინელი** წერდა: accipire fidem est voluntatis, sed tenere jam acceptam est necessitatis — სარწმუნოების მიღება ნებისმიერია, მაგრამ უკვე მიღებულის შენარჩუნება — აუცილებელი.

სრულიად უგულებელყოფილი იყო ის გარემოება, რომ უმრავლეს შემთხვევაში სარწმუნოება, ნათლისღების შედეგად, ადრეულ შეუგნებელ ასაკში მიიღებოდა. ერესი არა მარტო ჭეშმარიტებისა და სარწმუნოების შეურაცხმყოფელ ცოდვად, არამედ საზოგადოების წინააღმდეგ დანაშაულადაც მიიჩნეოდა.


*ერეტიკოსთა წამება*

რომაული სამართლის მიხედვით მეფის ან იმპერატორის შეურაცხყოფა სიკვდილით ისჯებოდა, მაგრამ რამდენად უფრო მძიმე დანაშაულად უნდა მიეჩნიათ არათუ მიწიერი და მოკვდავი, არამედ მთელი ქვეყნიერების უკვდავი მეუფის შეურაცხყოფა! მიუხედავად ამ ცხადი ტენდენციისა, მეორე ათასწლეულის დასაწყისში, ერთი მხრივ, უმაღლესი იერარქიის მხრიდან სასჯელის ზომის არჩევანში საკმაო ორჭოფობა შეიმჩნეოდა, მეორე მხრივ კი საფრანგეთსა და გერმანიაში გააფთრებული ბრბო ძალიან ხშირად თვითონ ქოლავდა ერესში ეჭვმიტანილებს. ეკლესია აშკარა აუცილებლობის წინაშე დადგა, ერესის გამოვლინებისა და აღკვეთის მკაცრად რეგლამენტირებული პროცედურა შეექმნა. ასე იშვა ინკვიზიცია...

ინკვიზიციის ევოლუციაში შეიძლება გამოვყოთ ოთხი ფაზა:

1. *ეპისკოპოსთა ხანა*: ერესის აღკვეთა ეპისკოპოსებს დაევალა. მათ რეგულარულად უნდა შეემოწმებინათ თავიანთი ეპარქიები საერო პირთა და სანდო მღვდელთა დახმარებით. ამ პირებს სინოდური მოწმეები ეწოდებოდათ. პირველად ეს პროცედურა პაპმა, **ალექსანდრე III**-მ დაადგინა და 1163 წელს გამოიტანა ტურის საეკლესიო კრებაზე. ინკვიზიციის სტატუსისა და პროცესუალური დეტალების დაზუსტება და საბოლოო დაკანონება მოხდა 1184 წელს, როცა იტალიის ქალაქ ვერონაში შეხვდნენ ერთმანეთს პაპი, **ლუციუს III** და იმპერატორი **ფრიდრიხ ბარბაროსა**.

2. *ლეგატების პერიოდი*: რადგანაც ეპისკოპოსები ყოველთვის ვერ ამართლებდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს, სარწმუნოებრივი სიწმიდის დაცვა პარალელურად დაევალა პაპის წარგზავნილებს, ლეგატებს. ეს პრაქტიკა XIII საუკუნიდან იწყება. განსაკუთრებით ხშირად ლეგატებს ცისტერციანელთა ორდენიდან ირჩევენ და საფრანგეთში აგზავნიან. ცნობილია ერთი ასეთი ლეგატის, ცნობილი თეოლოგისა და ინკვიზიტორის,


*თომა აკვინელი*

**ჟაკ დე ვიტრის** მოხსენება მის მიერ 1260 წელს ჩატარებული ერთი გამოძიების შესახებ. ჟაკ დე ვიტრიმ გამოიძია საფრანგეთის ერთ სოფელში შემჩნეული წმ. **გინეფორის** კულტი. აღმოჩნდა, რომ ეს გინეფორი სინამდვილეში ადგილობრივი სენიორის მწევარი ძაღლი იყო, რომელიც პატრონმა დიდი პატივით მიაბარა მიწას. ძაღლის საფლავზე რამდენიმე სასწაულებრივი განკურნებაც იყო რეგისტრირებული. ინკვიზიტორმა უკანონო კულტი აკრძალა, მაგრამ "წმ. გინეფორის" თაყვანისმცემლები 1876 წლამდე შემორჩნენ იმ სოფელში.

3. *ინკვიზიტორი მოწესეები*: 1230 წლიდან კიდევ ერთი ახალი პრაქტიკა შემოვიდა ეკლესიაში და ინკვიზიტორობა დაევალა რელიგიურ ორდენებს (ფრანცისკელებსა და დომინიკელებს), რომლებიც არ იყვნენ ეპარქიათა საზღვრებთან დაკავშირებული და იურიდიული თავისუფლებითაც სარგებლობდნენ.

4. *ეჭვმიტანილთა წამების შემოღება*: **ინოკენტი IV**-მ დაუშვა წამების გამოყენება, მიუხედავად ნიკოლოზ I-ს გაფრთხილებისა, რომელშიც პაპი მიუთითებდა, რომ ძლიერ ადვილი იქნებოდა ამ ხერხის ბოროტად გამოყენება.

შუა საუკუნეების ინკვიზიცია არ უნდა ავურიოთ ესპანურთან, რომელიც "მათ კათოლიკურ უდიდებულესობათა", ესპანეთის მეფეების, **ფერდინანდისა** და **იზაბელას** ინიციატივით დაარსდა XV საუკუნის ბოლოს. ეს ინსტიტუცია უფრო ტახტს ემორჩილებოდა, ვიდრე ეკლესიას, და მისი მთავარი მიზანი ებრაელთა ხელში დაგროვილი ფინანსური სახსრების ექსპროპრიაცია იყო.

რაც შეეხება კათოლიკურ ინკვიზიციას, საუკუნეთა განმავლობაში სასიკვდილო განაჩენთა წილი პროცესთა საერთო რიცხვში 5%-ზე ოდნავ მეტი იყო. შუა საუკუნეთა ბოლოს და ახალი დროის დასაწყისში ინკვიზიციის იურისდიქციაში ერეტიკოსთა გარდა ე. წ. კუდიანები და ჯადოქრებიც შევიდნენ. ამ პერიოდში სასიკვდილო განაჩენთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა. სწორედ მაშინ, 1486 წელს გამოიცა **იაკობ შპრენგერისა** და **ჰაინრიხ კრამერის** (ამ უკანასკნელის გვარი ხშირად ლათინიზებული ვერსიით მოიხსენიება — **ინსტიტორისი**) ცნობილი ტრაქტატი "ურო ავისმქმნელთა წინააღმდეგ" — Malleus maleficarum. ამ წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი კუდიანთა ზნე და მათ წინააღმდეგ მისაღები ზომების ნუსხა. ავტორები ეყრდნობოდნენ გამოსვლათა წიგნის 22.18, სადაც ნათქვამია: "ჯადოქარი ცოცხალი არ დატოვო".


*ტომას მორი*

## ახალი დრო

პროტესტანტული რეფორმაციით გამოწვეულმა რელიგიურმა გახლეჩამ ერთი მეტად მძიმე პრობლემა წარმოქმნა: ერთმანეთთან თანაარსებობის გზა უნდა გამოენახა მრავალ აღმსარებლობას, რომელთაგან თითოეულის საფუძველში დოგმატური ექსკლუზივიზმი და საზოგადოებაზე ერთპიროვნული მონოპოლია იდო. პრობლემის პოზიტიური გადაწყვეტა, როგორც ყოველთვის ისტორიაში, მხოლოდ ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომების, ყოყმანისა და მძიმე თეორიული და პრაქტიკული შეცდომების ფასად იქნა მიღწეული.

როგორც კათოლიკები, ასევე პროტესტანტები, რელიგიურ შემწყნარებლობას დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ცოდვად.

**ჟან კალვინის** ჟენევაში, **ჰენრი VIII**-ის ლონდონში, **პიუს V**-ის რომში გაბატონებული სარწმუნოებისაგან განსხვავებული აღმსარებლობის მიმდევარს ერთადერთი ბოლო ელოდა: სიკვდილი ეშაფოტზე — აეროპორტების ასაფრენი ბილიკები, სადაც ჭეშმარიტი სარწმუნოების ჩვენი ადგილობრივი მოშურნეები ლამობენ იელოვას მოწმეების გასახლებას, მაშინდელ ევროპაში ჯერ არ არსებობდა.

### Pro et contra

და მაინც, სწორედ მდგომარეობის გამწვავებამ შექმნა ისეთი ვითარება, რომ ადამიანები სულ უფრო ხშირად ხვდებოდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ სერიოზული დაფიქრების აუცილებლობას. სულ უფრო აშკარად ისმოდა შემწყნარებლობის ირგვლივ პრაქტიკული კამათი და თეორიული განაზრება.

არგუმენტები შემწყნარებლობის წინააღმდეგ:

1. *დანაშაული ჭეშმარიტების წინააღმდეგ*. რელიგიური შემწყნარებლობა ნიშნავს სიმართლისა და ცდომილების ერთ დონეზე განლაგებას, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით — ინდიფერენტიზმს. თომა აკვინელის მიხედვით, თუ სიკვდილით სჯიან ყალბი ფულის მომჭრელებს, რაოდენ უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებენ სარწმუნოების გამყალბებლები.

მაგალითად, ესპანეთის მეფეს, **ფილიპე II**-ს შესთავაზეს, პროტესტანტული ფლანდრიის ამბოხის დასაშოშმინებლად, სინდისის თავისუფლება შემოეღო. ფილიპემ განაცხადა, რომ არასოდეს დათანხმდებოდა ზეციერი მეუფის უარმყოფელთა ხელმწიფობაზე, რომ უფრო ადვილად დათანხმდებოდა, ათასგზის დაეკარგა სიცოცხლე, ვიდრე უფლის ამგვარი შეურაცხყოფა აეტანა.

არანაკლებ უკომპრომისო იყო პროტესტანტი ჟან კალვინი, რომელიც 1554 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში "ორთოდოქსული სარწმუნოების განცხადება" მრავალგზის იმომწმებს ძველ აღთქმას უსჯულოთა მოსპობის აუცილებლობის დასამტკიცებლად.

2. *დანაშაული ქრისტიანული სიყვარულის წინააღმდეგ*. გაუღო კარი ცდომილებას, ნიშნავს ათასობით სულის სამუდამო წარწყმედის ხელშეწყობას. კარდინალი **რობერტო ბელარმინო**, რომელიც მთავარი ბრალმდებელი იყო იტალიელი მეცნიერის, ექსპერიმენტული ფიზიკის ფუძემდებლის, **გალილეო გალილეის** წინააღმდეგ აღძრულ პროცესში, თომა აკვინელზე არანაკლები კატეგორიულობით აცხადებს, რომ ერეტიკოსი გაცილებით უფრო საშიშია მეკობრეზე, რადგანაც ეს უკანასკნელი მხოლოდ დროებით სიცოცხლეს ართმევს თავის მსხვერპლს, პირველი კი — საუკუნო ცხოვრებას.

ჟან კალვინი უკვე ხსენებულ ტრაქტატში წერს: "ერეტიკოსთა შემწყნარებლების ჰუმანიზმი უფრო სასტიკია, რადგანაც მგლის გადასარჩენად ისინი მას ცხვრებს მიუგდებენ საჯიჯგნად".

თვით XIX საუკუნეშიც კი სამღვდელოება ხშირად უარყოფდა იმას, რომ ერეტიკოსი შეიძლება გულწრფელი ყოფილიყო თავის


გალილეო გალილეი ინკვიზიციის წინაშე

არჩევანში. 1871 წელს, ვატიკანის I საეკლესიო კრების ერთ-ერთმა თავმჯდომარემ, კარდინალმა **დე ანჯელისმა** უხეშად გააწყვეტინა სიტყვა ხორვატიის ქალაქის, დიაკოვოს ეპისკოპოსს, **შტროსმაიერს**, რომელიც პროტესტანტებთან ურთიერთობაზე ლაპარაკობდა: "შეიძლება დავუშვათ, რომ ალალი იყოს მდაბიორი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა განათლებული პიროვნება!".

3. *დანაშაული სამშობლოს წინაშე*. თუ რელიგიურ პლურალიზმს დავუშვებთ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობა დაზარალდება, რადგანაც ის საერთო სარწმუნოებას ეყრდნობა. 1560 წლის 13 დეკემბერს, ფრანგული პარლამენტის, ე. წ. გენერალური შტატების სხდომაზე **მიშელ დე ლ'ოპიტალი** განაცხადებს: "სიგიჟეა, სიმშვიდის, კეთილგანწყობის, მეგობრობის იმედი გვქონდეს განსხვავებული სარწმონოების ადამიანთა შორის... ერთმორწმუნე ფრანგი და ინგლისელი გაცილებით უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ერთი და იმავე ქალაქის მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის ამღიარებელი ორი მცხოვრები". ამავე აზრს ეთანხმებოდნენ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, **ჟან ბოდენი** (1576) და მასზე ასი წლით გვიან მცხოვრები პოლონეთის სამეფო კარის მოძღვარი, **სკრაგა**. საინტერესოა, რომ რელიგიური შეუწყნარებლობა თავისი არსით გაცილებით უფრო კოსმოპოლიტურია, ვიდრე შემწყნარებლობა, რადგანაც ეს უკანასკნელი პრიმატს ანიჭებს კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობასა და ეროვნულ მიკუთვნებულობას.

არგუმენტები შემწყნარებლობის სასარგებლოდ:

1. *დოგმატური მინიმალიზმი*. რეფორმაციის ადრეულ ეტაპზე, როცა ორ კონფესიას შორის დოგმატური განსხვავებები ჯერ საბოლოოდ არ იყო ჩამოყალიბებული, რეფორმატორთა ზომიერი ფრთის წარმომადგენლები, მაგალითად, **ერაზმ როტერდამელი**, ცდილობდნენ რელიგიური ერთიანობის აღდგენას ქრისტიანობის ძირითად, არსებით პუნქტებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში, დოგმატიკასთან შედარებით უმეტესი ყურადღება ექცეოდა მორალურ საკითხებს: ქრისტიანობა ცხოვრების სიწმინდეა, და არა დოქტრინალური სიზუსტე. ლოგიკა შემდეგი იყო: მაცხოვარი მსგავსია მეფისა, რომელიც განუსაზღვრელი დროით გაემგზავრა შორს და ქვეშევრდომებს დაუბარა, რომ დაბრუნებისას სპეტაკ სამოსში გამოწყობილნი დახვედროდნენ; იმის მაგიერ, რომ თეთრი სამოსი ეძიონ და შეინახონ, ქრისტიანები სრულიად უსარგებლოდ კამათობენ მეუფის მოგზაურობის წვრილმან დეტალებსა და მისი დაბრუნების ზუსტ თარიღზე.

მოგვიანებით, ეს ტენდენცია აიტაცეს ფრანგული განმანათლებლობის მოღვაწეებმა. მაგალითად, **ჟან ჟაკ რუსო** თავის ნაწარმოებში "მთიდან გამოგზავნილი წერილები" წერდა, რომ შემწყნარებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი საფუძველია, და აღიარებდა თავისუფლებას ყველა იმ აღმსარებლობისა, რომელიც სხვა რელიგიებს შემწყნარებლურად ეკიდებოდა, რადგანაც ამგვარი კონფესიების დოგმები "არ შეიცავენ არაფერს, რაც დააბრკოლებდა მოქალაქის მოვალეობას". ამასთან ერთად, რუსო დასძენს, რომ "ვინც გაბედავს და იტყვის — "ეკლესიის გარეთ არ არსებობს ცხოვნება" — უნდა განიდევნოს სახელმწიფოდან". როგორც ვხედავთ, განმანათლებელთა ტოლერანტობა თეორიულად ორაზროვანი და პრაქტიკულად წინააღმდეგობრივია.

2. *მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა*. XVI საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთი გაჩანაგებულია გამუდმებული რელიგიური ომების გამო. ერთმანეთს განუწყვეტლივ მოსდევდა ფრანგი პროტესტანტების, ე. წ. ჰუგენოტებისა და თვით კათოლიკების მასობრივი ჟლეტის ფაქტები. გერმანიაში 1618-1648 წლებში მძვინვარებდა ასევე რელიგიურ ნიადაგზე წამოწყებული ოცდაათწლიანი ომი, რომელმაც თუმც თანდათანობით პოლიტიკური სახე შეიძინა, თავისი რელიგიური ასპექტი ბოლომდე არასოდეს დაუკარგია. ეს ომი გერმანიის ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ კრახს ნიშნავდა: ქვეყნის მოსახლეობა 20 მილიონიდან 6-მდე შემცირდა.

ევროპის ამგვარი კატასტროფის წინაშე მდგარმა ფრანგმა რელიგიურმა მოღვაწემ, **სებასტიენ შატიონმა** 1554 წელს საოცრად ამაღელვებელი ქადაგება დაწერა:

"ვინ მოისურვებს ქრისტიანად მოქცევას, როცა დაინახავს, რომ ქრისტეს სახელის აღმსარებლები ქრისტიანთა მიერ იტანჯებიან ცეცხლით, წყლითა და მახვილით, ყოველგვარი მოწყალების გარეშე, ავაზაკთა და მკლელთა უსასტიკესად? ვინ არ იფიქრებს, რომ ქრისტე რომელიმე მოლოქის მსგავსია, ან სხვა რაღაც უცნაური ღმერთია, თუკი სურს, რომ ადამიანები დაუკლან და ცოცხლად შეუწვან?... ჰოი, ქრისტე, ქვეყნის შემოქმედო და მეუფევ, ვერ ხედავ ყოველივე ამას? ნუთუ სრულიად განსხვავებული ხარ იმისგან, რაც იყავი, რადგან ეგზომ სასტიკი და საკუთარი თავის მოწინააღმდეგე გამხდარხარ?... ვაი საშინელ კადნიერებას იმ კაცთა, რომლებიც ქრისტეს მიაწერენ იმას, რაც სატანის ბრძანებითა და შთაგონებითაა ჩადენილი!"

ამ ვითარებაში გონიერი ადამიანები ცდილობდნენ, გამოენახათ შემწყნარებლობისათვის ისეთი საფუძველი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა დოგმატური რელატივიზმისა და ინდიფერენტიზმისაგან. უკვე თომა აკვინელი ამბობდა, რომ შეიძლება შეიწყნარო ყოველივე კარგი, რაც წარმართთა წესებში არსებობს, და მშვიდობიანად აირიდო თავიდან ყოველივე ცუდი. განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა ამ პრინციპის გავრცელება იმათზეც, ვინც ერესში დაიბადა და არასოდეს ჰქონია კათოლიკური ეკლესიის ქვეშ ცხოვრების და, შესაბამისად, მისი უარყოფის გამოცდილება? პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით XVI საუკუნეში გადადგეს კათოლიკებმა, იეზუიტთა ორდენის წევრებმა: ლუვენის უნივერსიტეტის რექტორმა **იან ვან დერ მულენმა** და თეოლოგმა **მარტინ შელეკენსმა**, რომელიც **ბეკანუსის** სახელითაცაა ცნობილი. იმავე დროს ჰოლანდიელმა პროტესტანტებმა შექმნეს ტერმინოლოგია, რომელიც თავიდან არ იქნა აღიარებული, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეს ტერმინოლოგია გაიხსენეს და მან საკმაო წარმატება მოიპოვა. ამ სისტემის თანახმად, *თეზა* ეწოდება აბსოლუტურ პრინციპს, ხოლო *ჰიპოთეზა* — იმ განსაკუთრებულ ვითარებას, რომელიც თეზაში გამონაკლისის შეტანას უზრუნველყოფდა. ამგვარად, თეზის ფარგლებში შემწყნარებლობა დასაგმობია, მაგრამ მისი აღიარება შესაძლებელია ჰიპოთეზის სახით, რათა თავიდან არიდებული იქნეს უდიდესი ბოროტება. სწორედ უმცირესი ბოროტების პრინციპით იქნა შთაგონებული ავგუსტას (1555) და შემდეგ კი ვესტფალიის (1648) ზავი.

3. *რელიგიური და პოლიტიკური ერთიანობის განცალკევება*. თუ დოგმატური სფერო ყოველგვარ ერთიანობას გამორიცხავდა, განა არ შეიძლებოდა ამ ერთიანობისთვის საფუძველი წმინდად პოლიტიკურ სფეროში, სახელმწიფო ინტერესებში აღმოჩენილიყო? ამგვარი იდეა პირველად **თომას მორმა** გამოთქვა 1516 წელს თავის "უტოპიაში". აქ მოთხრობილია ერთი არარსებული ქვეყნის ისტორია, რომლის დამაარსებელმა, უტოპოსმა, ყოველგვარი რელიგიური პროპაგანდის ნება დართო მოსახლეობას, რადგანაც საკუთარ გამოცდილებაზე შეიგნო, რომ მის მოსვლამდე გაჩაღებულმა რელიგიურმა უთანხმოებამ მას ქვეყნის დაპყრობა გაუადვილა. თუმცა წიგნის საერთო ტონი ღიმილითაა განმსჭვალული, საფიქრებელია, რომ ავტორი სრულიად სერიოზულად ურჩევს იგივეს მის თანამედროვე მმართველებს.

ამავე დროს საფრანგეთში, დედოფლის, **ეკატერინე მედიჩის** კარზე არსებულმა პოლიტიკოსთა ჯგუფმა გააკრიტიკა ძველი პრინციპი: "ერთი სარწმუნოება, ერთი კანონი, ერთი მეფე" (Une foi, une lui, un roi). ამიერიდან მეფეს ეკრძალებოდა რელიგიურ უთანხმოებებში რაიმე აშკარად გამოხატულ პოზიციაზე დადგომა, რადგანაც ამგვარად მისი მფარველობა დააკლდებოდა ტახტის ქვეშევრდომთა მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო თვით ტახტისა და დინასტიის ბედი ზედმეტად მჭიდროდ დაუკავშირდებოდა ეკლესიას.


ერაზმ როტერდამელი


ჟან კალვინი

იგივე პრობლემა მოგვიანებით, იურიდიული თვალსაზრისით გააშუქეს და დაასაბუთეს გერმანელმა და ჰოლანდიელმა სამართალმცოდნეებმა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია **სამუელ პუფენდორფი** (1632-1694), **ქრისტიან ტომაზიუსი** (1655-1728), **ჰუგო ვან დერ გროოტი** (1583-1645). ეს მიმართულება, რომელიც ბუნებრივი სამართლის სკოლის სახელითაა ცნობილი, აღიარებს, რომ სინდისის თავისუფლება მოქალაქეთა ბუნებრივი უფლებაა, რომელსაც მმართველმა პატივი უნდა სცეს და თავისი მმართველობისას მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებს დაეყრდნოს. ერესი, თავის მხრივ, ინტელექტუალური შეცდომაა, რომლის ჩვეულებრივი დანაშაულის მსგავსად აღკვეთა სახელმწიფოს არ შეუძლია.

იგივე იდეა ფილოსოფიური მხრიდან განავითარეს ჰოლანდიელმა ებრაელმა, **ბარუხ სპინოზამ** თავის "თეოლოგიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში" და ინგლისელმა **ჯონ ლოკმა** "წერილში შემწყნარებლობისათვის", რომელიც 1685 წელს გამოვიდა ლათინურად და 1689 წელს ინგლისურად. ეს ტექსტი თავისი შინაარსით მრავალ მეცნიერს აძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ სწორედ ამ დროიდან ჩამოყალიბდა ევროპულ აზროვნებაში შემწყნარებლობა როგორც ღირებულება. ლოკის თანახმად სახელმწიფოს არანაირი საშუალება არ გააჩნია, გაარკვიოს, სახელდობრ რაა ჭეშმარიტება რელიგიის სფეროში, ხოლო საკუთარ ტერიტორიაზე გაბატონებული აღმსარებლობის აშკარა მხარდაჭერას უკვე კარგად ცნობილ უბედურებამდე მიჰყავს ერი. მაგრამ ინგლისური ფილოსოფიის მცდელობაც არ იყო თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან. მაგალითად, ლოკი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ითმენდეს თავის შიგნით ისეთ კონფესიას, რომელიც უცხოეთში მყოფ ხელმძღვანელს ექვემდებარება, თუნდაც მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით. ეს დებულება ირიბად ამართლებდა კათოლიკების დევნას.

ჯონ ლოკზე ორმოცდაათი წლით ადრე, ამერიკაში ემიგრირებულმა მღვდელმა, **როჯერ უილიამსმა** გამოაქვეყნა წიგნი "რელიგიური დევნის შესახებ" (1644), რომელიც ერთობ სკანდალური აღმოჩნდა, რადგანაც ისტორიაში პირველად აღიარებდა, რომ ეკლესიის სრული გამოყოფა სახელმწიფოსგან რელიგიურ ნიადაგზე აღძრული ძალადობის დასაძლევი ერთადერთი საშუალებაა.

3. *ადამიანის ღირსება*. საქმე ძალიან მარტივადაა: ადამიანის ცნობიერებაზე ძალადობა არ შეიძლება ისე, რომ არ დაზარალდეს თვით რწმენის შინაგანი ბუნება და ის არ გადაიქცეს კონფორმიზმის ფარისევლურ გამოვლინებად.

ამ თვალსაზრისით, სასარგებლო იქნებოდა ერთი რეალური ამბის გახსენება. 1685 წლიდან საფრანგეთის მეფე **ლუი XIV** ყველა ხერხით ცდილობდა კალვინისტების მოქცევას ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც მათ რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ამ მიზნით მეფემ შესაბამის რეგიონებში ჯარი წარგზავნა. 1685 წლის 6 სექტემბერს საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად კათოლიკობა მიიღო კალვინისტმა **პიერ დე გარისონმა**. პროფესიით ვექილმა, დე გარისონმა შეადგინა და საიდუმლოდ შეინახა თავისი გულწრფელი აღსარება, რომელშიც ხსნიდა მოქცევის მიზეზებს და განაცხადებდა კალვინისტური სარწმუნოებისადმი შინაგან ერთგულებას. კანონიერია ვიკითხოთ, რითია უარესი ადამიანური დრამატიზმით აღსავსე ეს დოკუმენტი იმ ჯვარზე, რომელიც გადმოცემით საიდუმლოდ ეკიდა გულზე სპარსეთში გადახვეწილ გიორგი სააკაძეს? ჰუგენოტი კათოლიკური აღმსარებლობის იურისდიქციას დაუბრუნდა ფორმალურად, რათა საკუთარი შვილების ჩამოხრჩობა არ ენახა. ვის სჭირდებოდა ამგვარი მოქცევა?

XVI საუკუნის დასასრულს მგზნებარე კათოლიკე, პოლონეთის მეფე, **სტეფანე ბატორი** წერდა : "მე ერის ხელმწიფე ვარ და არა სინდისისა. ღმერთმა სამი რამ დაიტოვა თავისთვის — არაფრისაგან ქვეყნიერების შექმნა, მომავლის ცოდნა და სინდისზე მეუფება". სტეფანეს პირველი მინისტრიც ეთანხმებოდა მეფეს : "ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი, პროტესტანტების კათოლიკური ეკლესიის წიაღში დასაბრუნებლად, მეორე ნახევარს კი დავიტოვებდი, რათა მათი მოქცევის სიხარული ვიგრძნო. მაგრამ თუ ვინმე მათზე ძალადობას მოისურვებს, მათ დასაცავად მთელს ჩემს სიცოცხლეს მივცემდი, რომ თავისუფალ სახელმწიფოში ადამიანთა ამგვარი დამონების მოწმე არ შევიქნა".

